ჩინეთის, როგორც „მეომარი მგლის“ პოლიტიკა მედიაში

(საქართველოს მაგალითი)

ანგარიში
აპრილი, 2023

სამოქალაქო იდეა

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

ავტორები:

ნათია კუპრაშვილი
ნინო ხელაძე
ნატალი ნემსაძე
ირმა ჭარაქაშვილი
ქეთევან გელაშვილი

რედაქტორები:

თინათინ ხიდაშელი
ანი კინწურაშვილი

დიზაინერი:

ანა ფრუიძე

ანგარიში მომზადებულია „სამოქალაქო იდეას“ დაკვეთით ჟურნალისტიკის რესურს ცენტრის მიერ.

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები ეკუთვნის მხოლოდ მათ და „სამოქალაქო იდეას“, არ ასახავს მხარდამჭერი ორგანიზაციების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი სხვა ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

პროპაგანდის მარგალიტები:

„შეერთებული შტატების ნების წინააღმდეგ სერიოზულად წასასვლელად, როგორც ჩანს, შარლ დე გოლის მასშტაბის ფიგურაა საჭირო. მას შეეძლო დოლარზე უარის თქმა, შეეძლო გაეტანა ნატოს შტაბ-ბინა და ამერიკული ბაზები თავისი ქვეყნიდან, დამოუკიდებლად მოლაპარაკებოდა ჩინეთსა და სსრკს“

(“ზაიდენი ევროპაში ბევრის უფლებას ამლევს თავს“, 29.11.2021, Sputnik საქართველო).

„ამერიკელი ხალხის ცხოვრება სწრაფად უარესდება, უპრეცედენტო ინფლაცია დოლარს დისკრედიტაციითა და ქვეყნის გაღარიებით ემუქრება. გადარჩენის ერთადერთ შანსად ისეთი მდიდარი ქვეყნების ძარცვა გამოიყურება, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი.“თამაშში“

(ვიქტორია ნიკიფოროვა, 13.12.2021, Sputnik საქართველო).

“ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს იყო ქვეყანა–ფანტომი, უკუნით მოცული ქვეყანა, საზარელი და სასაცილო მირაჟი, რომელიც თავისი ნაქარგი პერანგებით, მოვითა (უკრაინული ენით) და ჩირაღდნებიანი მსვლელობებით გამოჩნდა ძველ საბჭოთა გაზსადენებთან. იყო ქვეყანა–მილი, მაგრამ ახლა მილი დაცარიელდა და მთელი ეს სიბნელე კვამლივით გაიფანტა. დარჩა მხოლოდ „უქრეინი“ — ოკუპირებული ტერიტორია, ჩემოდანი სახელურის გარეშე, რომელსაც ბოლო დღეებში, სანამ გადააგდებენ, ამერიკელი მფლობელები ნაჩქარევად ტენიან ასაფეთქებელი ნივთიერებებით. ის პაიკიც კი არ არის — ის არის შაშის ქვა, რომელსაც რუსეთი და ამერიკა ამოძრავებენ თავიანთ დიდ თამაშში.“

(ვიქტორია ნიკიფოროვა, 13.12.2021, Sputnik საქართველო)

„ამერიკას დღეს დომინოს პრინციპით გავლენის დაკარგვა ემუქრება. შეუძლებელია ვაშინგტონი ვერ ხედავდეს, რომ კეთილი ტაივანელები სამალავებიდან გადანახულ ჩინურ დროშებს იღებენ, ხოლო გულწრფელი უკრაინელები რუსები არიან.“

(ვიქტორია ნიკიფოროვა, 13.12.2021, Sputnik საქართველო)

„აშშ ამ ქაოსით მდიდრდება. სანქციები ვერ აღადგენს მშვიდობას და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას"

(ჩჟაო ლიცზიანი - ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანი, 06.04.2022, ტელეკომპანია „იმედი“).

შესავალი

შესავალი 5

მიზანი 6

კვლევის საფუძვლები 7

- რატომ ჩინეთი? 7
- კვლევის მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები 9
- ძირითადი რეკომენდაციები 16
- თეორიული ჩარჩო 16
- კვლევის მეთოდოლოგია 21
- კვლევის შეზღუდვა 24
- კვლევის შეჯამება 25

კონტენტ-ანალიზის შედეგები – ინტერნეტმედია 27

- მედიაპლატფორმა: sinomedia.ge 27
- მედიაპლატფორმა: sinologia.ge 32
- მედიაპლატფორმა: chinesestories.ge 36
- მედიაპლატფორმა: Netgazeti.ge 38
- მედიაპლატფორმა: Sputnik-Georgia 39
  - ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ევროპა 41
  - ომი უკრაინაში 44
  - ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები 45

კონტენტ-ანალიზის შედეგები – ტელემედია 46

- „მთავარი არხი“ 46
  - მაგალითები და ამონარიდები 46
  - რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში ჩინეთის გაშუქება 48
  - პოზიტიური გაშუქება 49
- გადაცემა - „მთავარი მსოფლიოში“ 50
  - მაგალითები და ამონარიდები 50
- ტელეკომპანია „იმედი“ 53
  - მაგალითები და ამონარიდები - ტელეკომპანია „იმედი“ 54
  - უკრაინის ომი 56
  - ჩინეთის ელჩი 57
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 58
  - მაგალითები და ამონარიდები საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებიდან 59
  - ახალი ამბები: ჩინეთი და საქართველო 59

დადებითი ტონით გამორჩეული ინფორმაციები..... 60
უარყოფითი ტონი..... 61
უარყოფითი ტონი ტაივანი..... 61
უკრაინა და ჩინეთი..... 62
ნეიტრალური ტონის მაგალითები: 63
გადაცემა „ბიზნესპარტნიორი“..... 63
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მასთან აფილირებული ბიზნესსექტორის წილი (როგორც მედიის მფლობელობაში, ისე სარეკლამო ბაზარზე)..... 65
მფლობელობა 65
სარეკლამო ბაზარი 71

დანართი #1 75
,,ნეტგაზეთი “ 75
ახალი ამბები ჩინეთის შესახებ უკრაინის ომის კონტექსტში. 75
ექსპორტი, ვაჭრობა, საფინანსო-საბანკო ურთიერთობები 78
ტაივანი-ამერიკა-ჩინეთი 79
ზოგადი ხასიათის ახალი ამბები და სარეკლამო მასალა 80

დანართი #2 82

42° პარალელი..... 82
მაგალითები და ამონარიდები „42° პარალელიდან“..... 83
42°პარალელი - Quad - აშშ-იაპონია-ავსტრალია-ინდოეთის ახალი ოთხმხრივი უსაფრთხოების პლატფორმა Quad 83
42°პარალელი - ტაივანის კრიზისი 84
42°პარალელი - აშშ-ს ინფრასტრუქტურის აქტი 85
42°პარალელი - ახალი წითელი ცივილიზაცია 85
42°პარალელი - სრული გადაცემა 25.12.2021 85
42°პარალელი - ,,ახალი ეპოქა“ ჩინეთში 86
42°პარალელი - სრული გადაცემა 16.04.2022 - რუსეთ უკრაინის ომი და სანქციები4 88
42°პარალელი - სრული გადაცემა 25.06.2022 - რუსული ნავთობი და ჩინეთი 88

შესავალი

წინამდებარე კვლევაზე მუშაობის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, ჩინეთის სახელმწიფოს ან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაკავშირებული კომპანიების, მათი მოქალაქეების ან მედიასაშუალებების პირდაპირი გავლენა ქართულ მედიაბაზარზე განსაკუთრებით შთამბეჭდავი არ არის. მაგალითად, ქვეყანაში მედიაბაზარზე რეგისტრირებული 93 უცხოური კომპანიიდან მხოლოდ 8 არის რამე ფორმით აფილირებული ჩინეთთან. შესაბამისად, იბადება კითხვა: რატომ ვხარჯავთ რესურსებს და ჩვენი მკვლევარების დროს ამ სეგმენტის შესწავლისთვის? - პასუხი მარტივია.

საქართველოში, პრაქტიკულად, არ არსებობს ქართული მედიასაშუალება, რომელსაც მკვეთრად გამოხატული სარედაქციო პოლიტიკა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაკავშირებით. არ არსებობს იდეოლოგიური, ღირებულებებითი, პოლიტიკური ან სხვა ტიპის ნიშნულები, რომელიც გამოიყენება ამ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ახალი ამბების, მათი ლიდერების განცხადებების ან სი ძინპინის გადაწყვეტილებების შეფასებისას. შესაბამისად, ტრადიციული ქართული მედია უკიდურესად ზედაპირული, ეკლექტური და უსისტემოა, როდესაც საქმე ჩინეთთან დაკავშირებული ამბების გაშუქებას შეეხება. ინფორმაციაც უკიდურესად მწირია. კონკრეტული ხედვის არ არსებობის პირობებში, როდესაც ჩინეთიდან მომდინარე საფრთხეების გაცნობიერება არ არის საწყისი ქართულ-ჩინური ურთიერთობების ანალიზის დროს, მთელი კონტექსტი უკრაინის ომთან, ან მანამდე, პანდემიასთან დაკავშირებით არსებულ განწყობებს უკავშირდება. სხვა ტიპის ინფორმაცია, შესაძლოა, ვერც ვერასოდეს მოხვდეს ქართულ მედიასივრცეში.

შესაბამისად, თუკი ადამიანს აინტერესებს ჩინეთთან დაკავშირებული ინფორმაცია და იწყებს მის ძებნას ინტერნეტრესურსების გამოყენებით, სწორედ, ჩინეთის მოქალაქეების, კომპანიების ან ჩინეთში განათლებამიღებული სტუდენტების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები ხდება ინფორმაციის და ცოდნის მთავარი წყარო და რესურსი. მკვლევარებს, სტუნდენტებს, ჟურნალისტებს, სწორედ, ამ პორტალებისა და საინფორმაციო რესურსებიდან მოჰყავთ ციტატები და იყენებენ უტყუარ ინფორმაციად.

ჩინეთის პროპაგანდისტული მანქანის წარმატების საიდუმლოც აქ არის. საქართველოს ტიპის ქვეყნებში მისი მთავარი ამოცანა ჩინეთის

სახალხო რესპუბლიკის შესახებ დადებითი იმიჯის შექმნა და შენარ-ჩუნებაა. შესაბამისად, მუდმივად განახლებადი პოზიტიური პრო-პაგანდისტული ინტერნეტრესურსების არსებობა, მეინსტრიმულ მე-დიასაშუალებებთან თანამშრომლობის ნაცვლად, როდესაც ალტერ-ნატიულ ინფორმაციაზე წვდომა, პრაქტიკულად, არ არსებობს, ყვე-ლაზე ეფექტიანი და, იმავდროულად, მნიშვნელოვნად იაფი საშუალ-ებაა.

ალტერნატიული მედიარესურსების გაჩენის და საინფორმაციო ნაკადების ზრდის პარალელურად, ბუნებრივია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დღეს არსებული პოლიტიკის კორექტირება მოუწევს, მაგრამ, დღეს ამის აუცილებლობა ნამდვილად არ დგას დღის წეს-რიგში.

მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია, ქართული მედიის, როგორც შინა-არსობრივი, ისე სისტემური მიდგომით, გავაანალიზოთ ქართულ მედიაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენა და ამ გავლენის მასშტაბი და ხარისხი.

დღეს, მსოფლიოს წინაშე მდგომი გამოწვევების ფონზე, სახეზე გვაქვს გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის სისტემური და ძირეული ცვლილებები. პრაქტიკულად, ყველა საერთაშორისო ორ-განიზაციის სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად მზარდი გამოწვევების უმთავრეს მიზეზებს სამი სახელი შეიძლება ეწოდოს - **რუსეთი, ჩინეთი და ტერორიზმი.**

საქართველოს პოლიტიკურად დეკლარირებული და კონსტი-ტუციურად განმტკიცებული აქვს NATO-ში ინტეგრაციის გარდაუვალ-ობა და მიისწრაფვის წევრობისკენ. იმავდროულად, ჩინეთის სახალ-ხო რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია და აღრმავებს მასთან პარტნიორობას არა მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობებში, არამედ პოლიტიკის, განათლების, კულტურის და ბევრი სხვა მიმართულებით. გლობალურად მზარდი პოლარიზაცია და, იმავდროულად, მზარდი პარტნიორობა საქარ-თველოში ჩინეთის გავლენის ოპერაციების კვლევას საინტერესოს ხდის.

ვეყრდნობით დაშვებას, რომელსაც ნატოს ახალ წევრ სახელმ-წიფოში (2020) ჩრდილოეთ მაკედონიაში ჩატარებული კვლევები აჩვენებს - ,,ბევრი დეტალი მიუთითებს იმაზე, რომ არც ერთი ქვეყანა,

მიუხედავად იმისა, რამდენად პატარაა იგი, არ არის უმნიშვნელო ჩინეთის გლობალური სტრატეგიისთვის, გააძლიეროს საკუთარი პოზიცია, გააკონტროლოს გლობალური დისკურსი და უარყოს ყველა ნარატივი, რომელიც არ შეესაბამება ჩინეთის ხელისუფლების ინტერესებს“ (A. Krisinovska 2020). ეს გამოცდილება გვკარნახობს, რომ საჭიროა საკუთარი სტრატეგიების შემუშავება ჩინეთის გავლენის ოპერაციების განვითარების ეტაპზევე.

კვლევის საფუძვლები

რატომ ჩინეთი?

,,ყველაზე დიდი ციხე ჟურნალისტებისთვის“ - ასე უწოდებს „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და მათი ბოლო ანგარიშშიც (RSF 2022)[1] გვიყვება მედიის მიმართ ჩინეთის რეპრესიული პოლიტიკის შესახებ. ანგარიშის მიხედვით, დღეს უკვე 122 ჟურნალისტია დაპატიმრებული უშუალოდ ჩინეთში. RSF 2022 ხაზს უსვამს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკა მედიის წინააღმდეგ მოიცავს, არა მხოლოდ შიდა ოპერაციებს, არამედ ოპერაციებს ,,ინფორმაციის უფლების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში“ (RSF 2022).

როგორც Freedom House (2022)[2], ისე „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ჩინეთის მედიასისტემის ბოლოდროინდელ ანგარიშებში ხაზს უსვამენ, რომ პრეზიდენტმა სი ძინპინმა აღადგინა მაოისტური ეპოქის მედიაკულტურა, რომელიც ინფორმაციაზე წვდომას დანაშაულად მიიჩნევს, ხოლო, ინფორმაციის გარე მიწოდებას - კიდევ უფრო მძიმე დანაშაულად. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრეზიდენტი სი ძინპინი სისტემატურად ამკაცრებს კომუნისტური პარტიის კონ-

---

[1] იხ. რეპორტიორები საზღვრებს გარეშე 2022 ანგარიში, https://rsf.org/en/rsf-s-2022-world-press-freedom-index-new-era-polarisation

“China (175th), one of the world’s most repressive autocratic regimes, uses its legislative arsenal to confine its population and cut it off from the rest of the world, especially the population of Hong Kong (148th), which has plummeted in the Index” - ვკითხულობთ პრესრელიზში, რომელიც ორგანიზაციამ ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე გაავრცელა.

[2] იხილეთ Freedom House 2022 წლის პრესრელიზი, https://freedomhouse.org/article/china-despite-restrictions-citizens-conducted-hundreds-protests-across-china-recent-months

“Contrary to what the Chinese Communist Party wants the world to believe, individuals throughout China are standing up to Beijing’s machine of censorship and repression to make their voices heard,” - აღნიშნა Freedom House-ის პრეზიდენტმა, მაიკლ აბრამოვიცმა.

ტროლს მედიაორგანიზაციებზე ქვეყნის შიგნით და მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

2013 წელს, ანუ სი ძინპინის ხელისუფლებაში მოსვლისთანავეა მიღებული ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-18 კონგრესის მესამე პლენუმის სპეციალური კომუნიკე (chinafile.com 2013)[3], რომელიც დეტალურად განმარტავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ეპოქალ-ური მნიშვნელობის საფრთხეებს და მათი დაძლევის ტაქტიკასა და სტრატეგიებს.

კომუნიკე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად განსაზღვრავს: ,,ჟურნალ-ისტიკის დასავლური იდეის მხარდაჭერას" (chinafile.com 2013). პლენუმი მიიჩნევს, რომ სახეზეა ,,ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სადამფუძნებლო პრინციპის - **მედია და გამომცემლობები პარტიული დისციპლინის სამსახურში** - შერყევის მცდელობა".

ამ საფრთხის დაძლევის გზად კომუნიკეში განსაზღვრულია პარ-ტიის მიერ მედიაკონტროლის გამკაცრება, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა მედიასაშუალება უპირობოდ უნდა კონტროლდებოდეს იმ პირთა მიერ, რომლებიც ერთგულებენ და იზიარებენ პარტიის გენერალური მდივნის სი ძინპინის იდეოლოგიას.

კომუნიკე ითხოვს პროპაგანდის ,,ყველა დონისა და ტიპის მენეჯ-მენტის გაძლიერებას" იმისათვის, რომ ,,ყველა გზა მოეჭრას" იმგვარი იდეებისა და შეხედულებების გავრცელებას, რომელიც ეწინააღ-მდეგება პარტიულ იდეოლოგიას. იდეოლოგიურ საფრთხედ კი და-სახელებულია ,,დასავლური დემოკრატია" (chinafile.com 2013) და მასთან დაკავშირებული ლიბერალური ღირებულებები.

სი ძინპინის პოლიტიკა და მისი შესაძლო შედეგები დასავლეთმა და მათ შორის NATO-მ ანგარიშგასაწევ საფრთხედ მნიშვნელოვანი დაგვიანებით, მხოლოდ 2019 წლის დეკემბერში ლონდონის სამიტზე[4]

---

[3] იხილეთ დოკუმენტი 9-ის ინგლისური თარგმანი, https://www.chinafile.com/document-9-chinafile-translation

რომლის მე-5 პუნქტი მთლიანად ეთმობა მედიის მიმართ დასავლური ხედვის კრიტიკას: „"Defining the media as "society's public instrument" and as the "Fourth Estate;" attacking the Marxist view of news and promote the "free flow of information on the Internet;" slandering our country's efforts to improve Internet management by calling them a crackdown on the Internet; claiming that the media is not governed by the rule of law but by the arbitrary will of the leadership; and calling for China to promulgate a Media Law based on Western principles. [Some people] also claim that China restricts freedom of the press and bang on about abolishing propaganda departments. The ultimate goal of advocating the West's view of the media is to hawk the principle of abstract and absolute freedom of press, oppose the Party's leadership in the media, and gouge an opening through which to infiltrate our ideology."

[4] იხილეთ ამერიკის ხმის მიერ 2019 წლის ნატოს ლონდონის სამიტის შესახებ მომზადებული რეპორტაჟი, https://www.amerikiskhma.com/a/nato-summit-china/5225673.html

და იქ გამართულ შეხვედრებზე განსაზღვრა (ამერიკის ხმა. 2019). ყველა მომდევნო მაღალი დონის შეხვედრასა და ბოლოს 2022 წლის მადრიდის სამიტზე,[5] სპეციალურ კომუნიკესა და სტრატეგიულ დოკუმენტებში (NATO 2022) კი ჩაიწერა, რომ ჩინეთის ამბიციები, იძულების პოლიტიკა და ჰიბრიდული ოპერაციები წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ნატოს ინტერესების, ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისა და ღირებულებებისთვის. სხვა საკითხებთან ერთად, ნატო გაზრდილ საფრთხედ მოიხსენიებს რუსეთისა და ჩინეთის შესაძლო ალიანსს, განსაკუთრებით კი რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ.

კვლევის მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ პირდაპირ მხარდაჭერილი მედიები ფეხდაფეხ მიჰყვებიან სტრატეგიული კომუნიკაციის იმ ტაქტიკებს, რაზეც ამ კვლევის თეორიულ ჩარჩოში ვსაუბრობდით, კონკრეტულად:

ასევე, იხილეთ ლონდონის სამიტის შემდგომი დეკლარაცია, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_171584.htm, რომელშიც ვკითხულობთ: "We recognise that China's growing influence and international policies present both opportunities and challenges that we need to address together as an Alliance."

[5] იხილეთ ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf

"The People's Republic of China's (PRC) stated ambitions and coercive policies challenge our interests, security and values. The PRC employs a broad range of political, economic and military tools to increase its global footprint and project power, while remaining opaque about its strategy, intentions and military build-up.

The PRC's malicious hybrid and cyber operations and its confrontational rhetoric and disinformation target Allies and harm Alliance security. The PRC seeks to control key technological and industrial sectors, critical infrastructure, and strategic materials and supply chains. It uses its economic leverage to create strategic dependencies and enhance its influence. It strives to subvert the rules-based international order, including in the space, cyber and maritime domains. The deepening strategic partnership between the People's Republic of China and the Russian Federation and their mutually reinforcing attempts to undercut the rules-based international order run counter to our values and interests." - ვკითხულობთ 2022 წლის კონცეფციის სტრატეგიული გარემოს შესახებ სექციის მე-13 პუნქტში.

- ჩინეთის სრული წაშლა უარყოფითი კონტექსტის მატარებელი შინაარსებიდან (მაგალითად Covid 19-ის თემასთან კავშირში ვირუსის წარმოშობის ადგილის მოხსენიება);
- ჩინეთის უპირატესობის მუდმივი ხაზგასმა;
- ჩინეთის, როგორც განსაკუთრებით კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯის ფორმირება.

ქართულენოვან ონლაინმედიაში ჩინეთის ინტერესების გამტარი, ჩინეთისთვის პოზიტიური ინფორმაციები და ისტორიები არ-სებითად აღემატება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრიტიკის შემ-ცველ მედიამასალებს.



sinomedia.ge პანდემიის დაწყებისთანავე საგრძნობლად ამცირებს მედიააქტივობას, რაც სრულ თანხვედრაშია ჩინეთის ე.წ. ,,დაბალი ხილვადობის“ საინფორმაციო პოლიტიკასთან.

მიუხედავად პასიური მედიასაქმიანობისა sinomedia.ge იგივე პერი-ოდში აქტიურად აშუქებდა საქართველოსა და ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის, ვაჭრობის და ექსპორ-ტის საკითხებს, ისევე, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქ-ტუალურ თემებს, მათ შორის ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობას და ამერიკის მიერ ინიცირებულ ე.წ. „ჩიპების კანონს“ *(The US-China chip war).* სინომედიას მიერ მომზადებულ მკვეთრად პოზიტიურ მასალებს, ჩინეთის დადებითი იმიჯის შესაქმნელად და დასავლეთის იმიჯის შერყევის საპირწონედ, ქართულენოვან ონლაინმედიაში არ მოეპოვ-ება დამბალანსებელი რესურსები და წყაროები. საკუთრივ sinomedia.ge „დაბალი ხილვადობის“ პერიოდშიც კი მონდომებით, ცალმხრივად და ტენდენციურად აშუქებდა *აშშ-ტაივანის ურთიერთობებს.* ეს თემა

განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართულ მედიაში აშშ-ის წარ-მომადგენელთა პალატის სპიკერის, ნენსი პელოსის ვიზიტის კვალ-ობაზე.

sinologia.ge - გამოცემას სინომედიისგან ოდნავ განსხვავებული ნიშა უჭირავს და ჩინეთის შესახებ საერთაშორისო პოლიტიკის და კულ-ტურულ-ისტორიული ხასიათის მასალებს ამზადებს, რომელთა ნაწ-ილი მიმართულია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ისტორი-ის და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე ჩინეთის შესახებ შექ-მნილი წარმოდგენის ალტერნატივის ჩვენებისაკენ.

chinesestories.ge - ჩინეთის შესახებ მომზადებულ მასალებში, ძირ-ითადად, იყენებს კულტურულ-საგანმანათლებლო-ისტორიულ შინა-არსს, რაც კონტენტის რეიტინგებზე დაკვირვებით მკითხველებშიც პოპულარულია. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩინეთში განათ-ლების მიღების შესაძლებლობის შესახებ მედიამასალები.

ჩინეთის პროპაგანდისტულ ქართულენოვანი მედიების მიერ შექმნილ შინაარსს ვერ აბალანსებენ ადგილობრივი რესპექტაბელური მედიაორგანიზაციები, რისი მიზეზიც არის საკითხების ზედაპირ-ული გაშუქება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაშუქებასთან დაკავ-შირებით ჩამოყალიბებული სარედაქციო ხაზის არქონა.



ამ კუთხით საინტერესო მაგალითია ონლაინგამოცემა *„ნეტგაზეთი,“* რომელიც პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაში არასდროს უსვამდა ხაზს ვირუსის წარმოშობის ადგილს, რაც შესაძლოა სარე-დაქციო გადაწყვეტილებაზე მიუთითებდეს, რომ არ მოხდეს ჩინეთის და ჩინეთში მცხოვრებთა სტიგმატიზება და დისკრიმინაცია. მიუხედ-ავად იმისა, რომ „ნეტგაზეთზე“ გვხვდებოდა სიღრმისეული და თანმიმდევრული მასალები (მაგ: ტაივანის თემაზე მედიამ აუდიტ-

ორიას შესთავაზა კონფლიქტის ისტორია, მისი მხარეები და ჩინეთ-ამერიკის მიმდინარე ურთიერთობების მიმოხილვა) აქაც დომინანტურია ჩინეთთან დაკავშირებული ნეიტრალური და დადებითი ტონი. დადებითი ტონი დიდწილად მოდის სარეკლამო მასალებზე. აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ „ნეტგაზეთის“ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გამიჯნულია სარედაქციო შინაარსისგან, რეკლამაზე მითითებით. მაგრამ, არ ცვლის იმ შედეგს, რომ ქართულენოვანი დამოუკიდებელი მედიააქტორებიც კი ვერ აბალანსებენ და ვერ აწვდიან აუდიტორიას ჩინეთის პროპაგანდისტული სტრატეგიული კომუნიკაციის ფარგლებში მომზადებული ნარატივების გავლენით შექმნილი მასალის დამაბალანსებელ ამბებს.



საქართველოში ჩინეთის პოპულარიზაციის კიდევ ერთ პლატფორმად კრემლისტური მედია *„სპუტნიკ საქართველო“* გვევლინება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიყვება პეკინის ხაზს და ჩინეთის აქტიური პოპულარიზებისთვის, გარდა პოლიტიკური თემატიკისა, იყენებს სოციალურ (ჯანდაცვა, განათლება) და კულტურულ თემატიკას.

გავლენიან სატელევიზიო მედიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაშუქებისას დაბნეულობას ანაცვლებს ზედაპირულობა. გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „42 პარალელისა“, სრულიად ერთმნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებულ სატელევიზიო მედიას არ აქვს ჩამოყალიბებული სარედაქციო პოლიტიკა ჩინეთთან დაკავშირებულ გაშუქებასთან მიმართებაში. გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალური ან ნეიტრალურად პოზიტიურია. მედია უბრალოდ გვაწვდის იმას, რასაც იღებს სუბიექტებისგან ყოველგვარი ანალიზისა და დამატებითი კითხვების დასმის გარეშე.



ტელეკომპანია *„მთავარ არხს“* - არ აქვს ამ კუთხით გამოკვეთილი სარედაქციო პოლიტიკა, მისი საინფორმაციო ინტერესი არასდროს უკავშირდება კონკრეტულად ჩინეთს ან იქ მიმდინარე მოვლენებს. აღნიშნული თემატიკა საინტერესოა ტელევიზიისთვის, იმდენად, რამდენადაც იგი აქტუალური ხდება სხვა თემატიკასთან კონტექსტში, მაგალითად, პანდემია, ან უკრაინაში ომი და სხვა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ Covid 19-თან დაკავშირებით, არხი ერთგვარად მიყვება პეკინის ნარატივს და თითქმის არასოდეს საუბრობს ვირუსის წარმომავლობის ჩინეთთან კავშირზე. ამასთან, ზედაპირული გაშუქების გამო, კონტექსტისა და დამატებითი კრიტიკული ანალიზის გარეშე ავრცელებს მსგავს ნარატივებს: *“ვგმობთ ჩინეთის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ პოლიტიკურ პროვოკაციას - ევროპელი სოციალისტები".*



ტელეკომპანია *„იმედი“* - ერთადერთია განხილული მედიასაშუალებებიდან, სადაც პანდემიასთან დაკავშირებულ ახალ ამბებში (სულ 1,368 სიუჟეტი) ჩინეთი ყველგანაა მითითებული ამ წინადადებით: "ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო." ,,მთავარი არხის“ მსგავსად, არც „იმედს“ გააჩნია კონკრეტული სარედაქციო მიდგომა და ინტერესი, რის გამოც „იმედის“ აუდიტორია თანაბრად იღებს საინფორმაციო პროგრამებიდან ჩინეთის გამაშარჟებელ, დამცინავ, მაკრიტიკებელ და განმადიდებელ მასალებს.[6]

[6] იხ. IV. 2. ტელეკომპანია „იმედი“



საზოგადოებრივი მაუწყებელი - თუნდაც მხოლოდ საკანონმდებლო ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა იყოს სამაუწყებლო-საინფორმაციო ველზე ჩინეთთან დაკავშირებული ქაოტური და უსისტემო მედიანარატივების ალტერნატივა. სამწუხაროდ, საინფორმაციო გამოშვებები ,,იმედის" და ,,მთავარი არხის" დარად, არ გამოირჩევა მწყობრი სარედაქციო პოლიტიკით. ვხვდებით როგორც ,,ჩინეთის უცნაურობებს", ისე ტექნოლოგიურ სიახლეებზე და წინსვლაზე ინფორმაციას, თუმცა, კვლავაც ზედაპირულს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელია დაკვირვებისთვის შერჩეულ მედიებს შორის ერთადერთი, სადაც გვხვდება არა რომელიმე კონტექსტთან დაკავშირებული, არამედ, უშუალოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ მასალები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ანალიტიკური პროგრამა *,,42 პარალელი"* საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველკვირეული გადაცემაა და გაშუქება მკვეთრად პოზიტიურია. ჩინეთის პოლიტიკის, განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის მიერ დამყარებული წესრიგისა და კონტროლის განდიდება და დასავლური ლიბერალიზმის კრიტიკა, გადაცემაში რეგულარული თემებია. მაგალითად, ჟურნალისტის ტექსტები ასეთია:

- ჩინეთი არის ერთადერთი სახელმწიფო რომელსაც მიზნად აქვს დასახული შეცვალოს საერთაშორისო წესრიგი და, ამასთან, აქვს ამის პოტენციალი, რადგან ის მზარდი ეკონომიკური ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო ძალაა;
- თავად ფაქტი, რომ ჩინეთი კომპარტიის ხელმძღვანელობით, თავიდან მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ნაწილი გახდა, დასავლეთის ზეწოლის შედეგად არ დაიშალა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ბედი არ გაიზიარა, უკვე დიდი მიღწევაა;
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მისი მმართველი პარტიის სწრაფი კოლაფსის ნიშნები, რომელზეც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ბევრს საუბრობდნენ, არ ჩანს;

- **ჩინეთი მობილიზებული და კონსოლიდირებულია, საუკეთესოდ გაუმკლავდა კორონავირუსის პანდემიას, ხოლო მისი კონსერვატორული და ნაციონალისტური პოლიტიკა დასავლეთიდან მომავალი ლიბერალური წესრიგისთვის ცივილიზაციურ ალტერნატივად გამოიყენება.** და მაინც ეიფორია ჯერ ნაადრევია, **რამდენად წარმატებული იქნება ჩინეთი ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე უარის თქმის პირობებში, ჯერაც უცნობია.**

საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაკვირვება ადასტურებს, რომ საქართველოში ჩინეთის სტრატეგიული ინტერესები მიიღწევა და მათი მედიაპოლიტიკა წარმატებით მუშაობს, არა უშუალოდ ჩინეთის გადამხდელთა ფულით, არამედ, საკუთრივ საქართველოს მოქალაქეების დაფინანსებით შექმნილი მედიაკონტენტითაც, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ქართულენოვან მედიაშინაარსში ჩინეთის პოზიტიური გაშუქების სასარგებლოდ არსებულ დისბალანსს.

ჩინეთის კვალი ჩანს მაუწყებელთა მფლობელებსა და დამფინანსებლებს შორის. მედიის მფლობელ 233 კომპანიას შორის სამი კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდანაა, ხოლო, ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე რეკლამის განმთავსებელ 2,427 სუბიექტს შორის 8 კომპანია არის ჩინეთთან დაკავშირებული, მათგან ერთი ფიქსირდება მსხვილ გადამხდელთა რეესტრშიც. შესაძლოა, ეს რიცხვები ვინმეს მცირედ მოეჩვენოს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს 195 სახელმწიფოს შორის მხოლოდ 10-მდე (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სხვა) გვხვდება საქართველოში მედიის მფლობელთა და ან დამფინანსებელთა შორის, სხვა სურათს დავინახავთ.



ძირითადი რეკომენდაციები

- ჩინეთის გავლენის ოპერაციების შეფასება და სისტემური პასუხი უნდა განხორციელდეს გავლენების განვითარების საწყის ეტაპებზე. შესაბამისად, შესამუშავებელია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- საჭიროა საქართველოში მოქმედი ჟურნალისტების და მედიამენეჯერების ცნობიერების ამაღლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ. საჭიროა საგანმანათლებლო მოდულების შემუშავება და დანერგვა.
- საჭიროა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ სიღრმისეული, კრიტიკული მედიამასალების წარმოების ხელშეწყობა, მაგალითად, კონკურსების გზით.
- საჭიროა თანამშრომლობა სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ მეტი ცოდნა და გამოცდილება ჩინეთის გავლენის ოპერაციებთან გამკლავების კუთხით.
- საჭიროა ამ კუთხით კვლევების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა.

თეორიული ჩარჩო

წინამდებარე კვლევის მიზანია, ქართული მედიის, როგორც შინაარსობრივი, ისე სისტემური მიდგომით, ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგიის კონტექსტში გაანალიზოს ქართულ მედიაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენა და ამ გავლენის მასშტაბი და ხარისხი.

ქართული მედიის შინაარსობრივი/კონტენტ-ანალიზის ამოცანაა, შეისწავლოს - როგორ შუქდება ჩინეთი ქართულ მედიაში, როგორ სრულდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული ამოცანა - პროპაგანდითა და ,,კულტურულ ფრონტზე" ტაქტიკური მიდგომებით, მიაღწიოს საზოგადოებრივი აზრის ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის სასურველი სახით ფორმირებას და საზოგადოებრივი აზრის კონტროლს.

მედიის სისტემური ანალიზის ამოცანაა, გამოიკვლიოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მასთან აფილირებული ბიზნესაქტორების წილი, როგორც მედიის მფლობელობაში, ისე - სარეკლამო ბაზარზე. ასევე, საქართველოს მაგალითზე გააანალიზოს, როგორ ურთიერ-

თქმედებაშია მედიის მარქსისტული მოდელი მედიის დასავლურ მოდელთან.

კვლევის თეორიულ საფუძვლებად გამოვიყენეთ არაერთი მედია-თეორია, როგორც ე.წ. პრესის ოთხი თეორია (კომუნისტური მედიასისტემის ჩათვლით), ისე პოლარიზებული პლურალიზმის თეორია. გამოვიყენეთ „ფრეიმინგის“ თეორიაც[7], რომელიც დაგვეხმარა, მესიჯებისა და ხერხების გამოკვეთაში, რომელსაც მედია იყენებს მანიპულატორების სახით. ასევე, გამოვიყენეთ დღის წესრიგის[8] თეორია, რომელიც დაგვეხმარება ინფორმაციის იერარქიული წყობის ანალიზში, რაც კვლევაში ასევე განხილულია - როგორც მანიპულატორი - პროპაგანდის ერთ-ერთი ხერხი.

კვლევა სტრატეგიულ კომუნიკაციას განიხილავს, როგორც მულტიდისციპლინურ სფეროს, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს, აქტორებს და ფორმებს, ასევე მიზნებს, მაგრამ, რაც მთავარია, ის მოიცავს პრინციპებსა და ღირებულებებს. სწორედ, პრინციპებსა და ღირებულებებს შორის სხვაობა წარმოადგენს უმთავრეს სირთულეს, რადგან განსაზღვრების საწყისი ნიშნულები პრინციპულად განსხვავებულია. მაგალითად, რა არის სტრატეგიული კომუნიკაცია? ერთნი ,,სტრატეგიულ კომუნიკაციაში“ პრინციპულად დაუშვებლად მიიჩნევენ ტყუილს, მაგრამ, არსებობენ ,,სხვები“, რომლებიც ამას დასაშვებად მიიჩნევენ.

პიტერ პომერანცევის მიხედვით, არსებობს მხოლოდ ორი ტიპის საზოგადოება, **,,სადაც მთავრობებს ეშინიათ ხალხის, რასაც ჩვენ დემოკრატიებს ვუწოდებთ და სადაც ხალხს ეშინია მათი ავტორიტარული მთავრობებისა“** (პომერანცევი, 2022). ჩინეთი, სწორედ, ამ მეორე ტიპს განეკუთვნება.

---

[7] ფრეიმინგის თეორიას მასკომუნიკაციაში მკვლევარები იყენებენ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ხერხის /მიდგომის აღსანიშნად. იგულისხმება - მეტაფორა, მაგალითი, მნიშვნელოვანი ფრაზა, ვიზუალური გაფორმება (Gamson, Lasch, 1983). ფრეიმინგის თეორია გულისხმობს, რომ მედია და ჟურნალისტები გარკვეულ ჩარჩოში აქცევენ ინფორმაციის. გოფმანი (1974) ჩარჩოს უკავშირებდა მეტყველების, კომუნიკაციის ხელოვნების საშუალებებს.

[8] 1972 წლის სტატიაში მაქსველ მაკომბზი და დონალს შოუ განიხილავდნენ მედიაში ახალი ამბების განთავსებასა და აუდიტორიის მოთხოვნებს შორის კავშირს. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე,რომ ის ამბები რომლებიც განთავსებული იყო მნიშვნელოვან ადგილზე სხვადასხვა მედიაწყაროს მიერ, აუდიტორიის მიერ მიიჩნეოდა უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ის ამბები, რომლებიც შედარებით არაპოპულარულ ადგილზე თავსდებოდა. ეს კვლევები ჩამოყალიბდა როგორც დღის წესრიგის ჰიპოთეზა, ხოლო მოგვიანებით ეწოდა პრესის დღის წესრიგის თეორია. (,,the agenda-setting function of the mass media”; Maxwell McCombs, Donald Shaw)

ჩინეთის მედიასისტემის შესახებ კვლევებსა და სტატიებში (ChinaFile 2014)[9] ვხვდებით მსჯელობას ჩინეთის სახალხო რეს-პუბლიკაში ორი კონკურენტული კონცეფციის შესახებ, რომლებიც პერიოდულად ანაცვლებს ერთმანეთს.

პირველი კონცეფცია პრესის დასავლური თეორიის მოდიფიკაციას წარმოადგენს. იგი პრესას უყურებს არა როგორც **დამოუკიდებელ, საზოგადოების მოდარაჯეს, არამედ, როგორც მაკონტროლებელს, რომელმაც უნდა დააბალანსოს სახელმწიფო, რელიგიური და კორ-პორატიული ძალაუფლების ჭარბი გავრცელება.**

მეორე კონცეფცია კი გვამცნობს, რომ **ხელოვნება, კულტურა და მედია პარტიის ექსკლუზიური „მეგაფონებია“**.

დასავლური მოდელის ფართო გავრცელების პერიოდად ითვლება ოთხმოციანი წლები, როდესაც ჩინეთში პრესის კანონის გადახედვაც კი დაიწყეს (ChinaFile 2014). ეს იყო ჩინეთისთვის პოლიტიკური რეფორმების ხანა, თუმცა დასავლური კონცეფცია, ოფიციალურად, არც მაშინ ყოფილა კოდიფიცირებული და პრესის ლენინური თეორია ჩინეთში არასდროს არავის უარუყვია.

რეფორმების პერიოდში შეიცვალა სახელმწიფო ინდუსტრიული ქარხნების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომერციული საწარმოებისა და სახალხო სასოფლო-სამეურნეო კომუნების სისტემა, მაგრამ, არავინ შეხებია მედიის კონტროლისა და მართვისთვის შექმნილ ისეთ სისტემებს, როგორიცაა *ცენტრალური პროპაგანდის დეპარტამენტი* და *პრესის, პუბლიკაციების, რადიოს, კინოსა და ტელევიზიის სახელმწიფო ადმინისტრაცია*.

მედიის და ნარატივების კონტროლი სი ძინპინის მმართველობის პერიოდში ახალ საფეხურზე ავიდა, რაც აისახა როგორც შიდა სისტემებზე, ასევე გარე გავლენის ოპერაციებზეც.

სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა „Covid 19-ის“ კრიზისის დადგომისა და ვირუსის ჩინეთთან დაკავშირების გამო. ახალმა გარემოებამ ჩინეთის სტრატეგიული კომუნიკაციის ამოცანები მნიშვნელოვნად გაართულა და ჩინეთის გავლენის ოპერაციების წარმოების პოლიტიკა სტრატეგიულ ცვლილებებს დაექვემდებარა. პანდემიამდელ ტაქტიკას ხშირად ახასიათებენ ჩინური ანდაზით, „თუ საკმაო დროს გაატარებ მდინარის პირას, დაინახავ, როგორ

[9] იხილეთ ChinaFile-ში გამოქვეყნებული კომენტარები, https://www.chinafile.com/conversation/how-read-chinas-new-press-restrictions , რომელშიც საუბარია ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ დაწესებულ ახალ რეგულაციებზე, რომელიც ეხება ჩინელი ჟურნალისტების მხრიდან უცხოეთის პრესისთვის ინფორმაციის გაზიარებაზე დაწესებულ შეზღუდვებს.

ჩამოატარებს წყალი შენი მტრის გვამს“, ან ,,მთავარია დაბალი ხილვადობის შენარჩუნება და დრო სწორი შესაძლებლობისთვის“[10]. ამ ანდაზებით მკვლევრები ახასიათებენ ჩინეთის მიდგომას მკვეთრად არ აჩვენოს საკუთარი განზრახვები და ძალა საერთაშორისო ასპარეზზე და სიმშვიდით მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. თუმცა, დღეს მკვლევრები ამბობენ, რომ ეს **,,დაბალი ხილვადობის“** მიდგომა შეიცვალა ე.წ. **„მეომარი მგლის დიპლომატიით“** (wolf warrior diplomacy)[11]. ცვლილება კი, პირველ რიგში, იმით გამოიხატება, რომ ჩინეთი აქტიური ქმედების პოლიტიკაზე გადავიდა და აგრესიული სტრატეგიით ცდილობს, წაშალოს Covid 19-თან დაკავშირებული ანგარიშებიდან ვირუსის ჩინური კვალი და გააქროს ვირუსის წარმომავლობის კონტექსტში ჩინეთის მოხსენიება.

ჩინეთის გავლენის ოპერაციები, მათ შორის მედიის ნაწილში, მკვლევართა აზრით, უპირველესად გულისხმობს ,,დასავლური ნარატივების“ დაკნინებას, გადღაბნა-მინიმიზაციას. ამ კუთხით ჩინეთის სტრატეგიული კომუნიკაციის აქტივობებს ადარებენ რუსეთის პროპაგანდას. მსგავსება რუსეთსა და ჩინეთს შორის არის იმ კუთხითაც, რომ ორივე ქვეყანა იყენებს მედიაზე კონტროლის მკაცრ მექანიზმებს, მაქსიმალურად ზღუდავს რა გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა ქვეყნის გარეთ, სწორედ, გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის ღიაობას და სხვა დემოკრატიულ ინსტრუმენტებს იყენებენ საკუთარი პროპაგანდისტული ნარატივების გასავრცელებლად (Lea Gabriele, quoted in Gilsinan, 2020).

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩინეთსა და რუსეთს შორის განსხვავებაც ბევრია. ჩინეთისთვის ქვეყნის შიგნით პრესის მკაცრი კონტროლის მიზანია:

- პარტიული დისციპლინის უზრუნველყოფა;
- სი ძინპინის, ანუ ბელადის კულტის მდგრადობის შენარჩუნება.

ქვეყნის გარეთ სტრატეგიული კომუნიკაციის ტაქტიკური სვლები გამიზნულია ჩინეთის, როგორც პასუხისმგებლიანი გლობალური ძალის მქონე სახელმწიფოს იმიჯის შექმნაზე, ისევე, როგორც ჩინეთის კონსტრუქციული როლის, „ჩინური წარმატების“ პოპულარიზაციისა და ჩინელების უპირატესობის წარმოჩენისკენ. შესაბამისად, ჩინური

---

[10] 韬光养晦 - ტაო გუანგ იან ჰუი (tao guang yang hui) - არის ჩინური იდიომა, რომელსაც მიაკუთვნებენ დენ სიოპინგს (Deng Xiaoping), რომელიც გაიგივებულია ჩინეთის ტაქტიკასთან - ღიად არ აჩვენოს თავისი ძალა საერთაშორისო ასპარეზზე და მაინც მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

[11] Wolf Warrior Diplomacy, გამონათქვამი ფილმიდან (站狼 - ჟან Lang), რომლის მთავარი გმირის გზავნილია: ვინც შეურაცხყოფს ჩინეთს, გადაიხდის ფასს.

პროპაგანდა ემყარება ჩინეთის დადებითი იმიჯის ფორმირებას, რასაც ახერხებს

- ✓ მძლავრ ტექნოლოგიურ მიღწევებზე,
- ✓ „გულუხვ“ საკრედიტო პოლიტიკაზე და
- ✓ უნიკალურ კულტურაზე აქცენტით.

მთავარი განსხვავება რუსული პროპაგანდისტული მანქანისგან, სწორედ, ეს არის. განსხვავებით ჩინეთისგან, **კრემლის ოპერაციები არა რუსეთის რეპუტაციის შენებაზე, არამედ, მოწინააღმდეგე ქვეყნის რეპუტაციის შელახვაზე არის აწყობილი.**

შეგვიძლია, ამგვარ პრაქტიკას ვუწოდოთ „ორმაგი სტანდარტის მიდგომები“, რომლის ანალიზის საფუძვლად საკმარისი არ არის აქამდე არსებული კომუნიკაციისა და მედიის თეორიები, მათ შორის, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი „პრესის ოთხი თეორია“, ან მაგალითად ჰელინისა და მანჩინის[12] პოლიტიკური ნარატივების (ჰელინი, მანჩინი, 2015) პარალელურად დანახული მედიასისტემები: დემოკ-რატიული კონსერვატიზმის, ლიბერალური და პოლარიზებული პლურალიზმის მოდელების სახით. ყველა ეს თეორია სახელ-მწიფოების შედარებისას ემყარება ქვეყნების შიდა პოლიტიკური სისტემების ანალიზს (როგორიცაა ქვეყნების შიგნით არსებული მედიაგარემო, გამოხატვის თავისუფლების ხარისხი, საინფორმაციო სივრცე და მასზე კონტროლის მექანიზმები). ვითარება კი რთულდება მაშინ, როცა დიქტატორული და ავტორიტარული რეჟიმების მიერ განხორციელებული საინფორმაციო ოპერაციების სამიზნეები არიან უცხო, დემოკრატიული სახელმწიფოები და მათი საზოგადოებები.

რადგან ავტორიტარული ქვეყნები უმეტესად იყენებენ „ორმაგი სტანდარტის მიდგომებს“ ჩვენ ვერ დავახასიათებთ ჩინეთს, როგორც მხოლოდ „კომუნისტურ - ავტორიტარულ მოდელს“, ამგვარი დახას-იათება არასრულყოფილი იქნება. უფრო ზუსტი იქნება ჩინეთის სისტემა დავახასიათოთ, როგორც **„სხვისი დეფექტური დემოკრატია, საკუთარი კომუნისტურ-ავტორიტარული სისტემის სამსახურში“.**

ჩვენი კვლევის განხორციელების დროს ემპირიული მასალების ანალიზისას, სწორედ, ამ მიდგომით ვიხელმძღვანელეთ.

---

[12] დანიელ ჰელინი და პაულო მანჩინი ,,მედიასისტემების შედარებას“ გვთავაზობს, ,,პრესის ოთხი თეორიის„ კრიტიკისთვის. პოლარიზებული პლურალიზმის მოდელთან ერთად ავტორები გამოყოფენ ლიბერალურ მოდელს, როგორც ბრიტანეთის, ირლანდიისა და ჩრდილო ამერიკის მაგალითს და კორპორატისტული დემოკრატიის მოდელს (გერმანია). ავტორები ეყრდნობიან ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებასა და ემპირიული მასალის ანალიზს და მათივე განაცხადით, მათი კონცეფცია უფრო ემპირიულია, ვიდრე ნორმატიული.

კვლევის მეთოდოლოგია

კონტენტ-ანალიზი:	რაოდენობრივი და თვისებრივი
დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022[13]
მონაცემების წყარო:	ინტერნეტი, საძიებო სისტემების და ინსტრუმენტების გამოყენებით, კვლევისთვის შესაბამისი ✓ საკვანძო სიტყვების საშუალებით (ჩინეთი, ჩინური, ჩინეთის ბაზარი, სი ძინპინი, PRC, ჩინური ვაქცინა, სინო), ✓ საკვლევი დროის პერიოდით დავიწროებით და ✓ ჩვენთვის საინტერესო მედიასპექტრის დაკონკრეტებით.

შერჩევის მიდგომა ითვალისწინებდა საქართველოს პოლარიზებულ მედიასისტემას და გვაზღვევდა კონტენტ-ანალიზის მიგნებათა ცდომილებისგან. ჩვენი დაკვირვების არეალში მოხვდა ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სატელევიზიო არხები (ვისარგებლებთ TMI და TVMR-ის მონაცემებით), რომელთა შორისაც შევარჩიეთ ხელისუფლებისთვის ერთი კრიტიკული *„მთავარი არხი“* და ერთი მხარდამჭერი *„იმედი“* ტელევიზია.

ასევე კვლევაში ჩავრთეთ *„საზოგადოებრივი მაუწყებელი“*, რომელიც ჩვენი კვლევისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებებში (მუხლი 16)[14] პირდაპირაა განსაზღვრული, რომ მაუწყებელი ვალდებულია ,,უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის

[13] კვლევისთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთი ხასიათდება მნიშვნელოვანი პროცესებით, ერთი მხრივ, მისი პირველი ნაწილი ჯერ კიდევ პანდემიის აქტიურ პერიოდს ემთხვევა (დაშვებით, რომ მან გავლენა იქონია გაშუქების პრაქტიკაზეც), ხოლო, მეორე ნაწილი უკრაინაში რუსეთის აგრესიული ინტერვენციით გამოწვეულ ომის ფაზას.

[14] იხილეთ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=66

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ - ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია“.

სატელევიზიო მედიაზე არჩევანი გავაკეთეთ იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ტელემედია დომინანტ საინფორმაციო საშუალებად რჩება საქართველოში[15].



მეინსტრიმ სატელევიზიო მედიისგან დამოუკიდებლად, ასევე შევისწავლეთ ონლაინგამოცემებიც, რომლებიც საძიებო სიტყვების სიმრავლის კუთხით გამოიკვეთა. ამ შემთხვევაშიც, დაკვირვების ობიექტების შერჩევა მოხდა ერთმანეთისგან ტიპოლოგიურად განსხვავებულობის პრინციპით: *„ნეტგაზეთი“* netgazeti.ge (როგორც სხვადასხვა მონიტორინგის შედეგებით[i] (https://mediamonitor.ge/) მაღალი ჟურნალისტური სტანდარტებით გამორჩეული ონლაინ პლატფორმა), *chinesestories.ge*, *sinologia.ge* Sinology და *sinomedia.ge* Sinmedia (როგორც ჩინეთის მხრიდან მხარდაჭერილი მედია) და *„სპუტნიკ საქართველო“*, როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ მხარდაჭერილი აქტორი.

[15] იხილეთ IRI-ს მიერ 2022 წლის სექტემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები. ლინკი: https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia-september-2022/

რაოდენობრივი მედიამონიტორინგისთვის გამოვიყენეთ რიცხობრივი საზომები და ინდიკატორები, რომელთა დათვლა და ანალიზიც შესაძლებელია.

შერჩეული ემპირიული მასალის გაანალიზების შედეგად, შეფასდა ასევე გაშუქების ტონი, რომლითაც შესაბამისი სუბიექტი იყო წარმოდგენილი – პოზიტიური, ნეიტრალური ან ნეგატიური. პოზიტიური და ნეგატიური რეიტინგები მიუთითებს იმაზე, თუ როგორ შთაბეჭდილებას უქმნის ესა თუ ის ინფორმაცია მაყურებელს ინტერესის სუბიექტის შესახებ, მიეწოდება ამბავი პოზიტიურად თუ ნეგატიურად, თუ მხოლოდ ნეიტრალური ფაქტების სახით.

მოძიებული მედიამასალები დახარისხდა თემატურად, რათა საშუალება გვქონოდა დაგვენახა, რაოდენობრივად, რომელი თემები გახდა მედიისთვის საინტერესო ჩინეთთან დაკავშირებით (მაგ. ჯანდაცვა, ბიზნესი, პოლიტიკა და სხვა).

თვისებრივი ანალიზისას ყურადღება გამახვილდა ,,დასავლური მოდელით“ აღიარებულ ჟურნალისტურ სტანდარტებზე და იმ მეთოდებზე, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო პროპაგანდისთვის. კერძოდ:

- ✓ ყალბი ინფორმაცია
- ✓ ფაქტების დამახინჯება
- ✓ დაუბალანსებელი გაშუქება
- ✓ უსამართლობა
- ✓ უზუსტობა
- ✓ მიკერძოებული დამოკიდებულება
- ✓ ვიზუალიზაცია და სხვა.

მედიის სისტემურ ანალიზს საფუძვლად დაედო სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვიკვლიეთ ქართულ მედიაში ჩინური მფლობელობის წილი.[16]

სისტემური კვლევის ფოკუსში ასევე მოექცა საქართველოს მედიაბაზარიც. აქ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვყავით ჩინეთთან დაკავშირებული ან ჩინეთის ფიზიკური ან იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული ბიზნესკომპანიები, რომლებიც რეკლამის განმთავსებლები არიან ქართულ მედიაბაზარზე.

---

[16] ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ავტორიზებული და ლიცენზირებული პირების მფლობელობა, მათ შორის გავაანალიზეთ საჯარო, ღია წყაროებში არსებული შესაბამისობის დეკლარაციები

კვლევის შეზღუდვა

მედიის სისტემური ანალიზისთვის ჩვენ ამ ეტაპზე არ გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მეთოდი, რაც საჭიროა სამაგიდო და კონტენტ-ანალიზის შედეგად მიღებული მიგნებების დამატებითი შემოწმებისთვის

ჩვენი კვლევა არ შეხებია სოციალური მედიების კვლევას, სადაც ჩინეთი საკუთარი სოც. მედია ქსელებით არის წარმოდგენილი (მაგ. Tik Tok) და არსებითად მნიშვნელოვანია გავლენის ოპერაციების კვლევისთვის.

კვლევა არ მოიცავს ქართულ მედიაში უშუალოდ ჩინეთში დამ-ზადებული მედიაკონტენტის (მაგალითად მხ. ფილმები, ანიმაცია, სერიალები და ა.შ) გამოყენების და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაუწყებლების ტრანზიტის კვლევას, რაც ასევე მნიშვნელოვანია კომ-უნიკაციის სფეროში გავლენის ოპერაციების სრული კვლევისთვის.

კვლევის შეჯამება

საქართველოს პოლარიზებული მედიაგარემოს გათვალისწინებით, არსებული კვლევის ფარგლებში მიმოვიხილეთ ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე არხები: „მთავარი არხი“, ტელეკომპანია "იმედი" და საზოგადოებრივი მაუწყებელი.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ჩინეთის გაშუქების კუთხით კვლევის ძირითად მიგნებებს:

„მთავარი არხის“ შემთხვევაში, ჩინეთთან დაკავშირებული უცხოური სიახლეების გაშუქებისას ტელევიზია ეყრდნობა ისეთ გამოცემებს, როგორებიცაა: CNN, NYT, The Telegraph, The Wall Street Journal და სხვა. ჩინეთი გვხვდება მსოფლიო ლიდერების განცხადებებში, რასაც მედია ასევე აქტიურად აშუქებს. „მთავარი არხის“ საინფორმაციო ბადეში რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში ჩინეთი, ძირითადად, ნეგატიური ტონითაა წარმოჩენილი და ის "რუსეთის პარტნიორად" არის მოხსენიებული, მაგრამ, ამის პარალელურად გვხვდება ისეთი მასალებიც, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ჩინეთმა რუსეთს თვითმფრინავების სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე უარი უთხრა. ასევე, მედია ავრცელებს ინფორმაციას იმის თაობაზეც, რომ ჩინეთი თანამშრომლობას წყვეტს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან. „მთავარი არხის“ ინტერნეტმედიის მონიტორინგისას არ გამოკვეთილა, რომ მას გაწერილი პოლიტიკა ჰქონდეს ჩინეთთან მიმართებით. მოცემული მედია ჩინეთს დიდი დოზით აშუქებს იმ შემთხვევაში თუ ის მნიშვნელოვან მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

ისევე, როგორც სხვა არხების შემთხვევაში ვერც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამებში ვერ ვხვდებით ანალიზს, ან სიღრმისეულ მასალებს. ახალი ამბები, ძირითადად, რომელიმე კონკრეტული პირის განცხადების გაშუქებით შემოიფარგლება. მასალებში არ არის წინაისტორია, არ არის საპასუხო კომენტარები. ვერ ვიტყვით, რომ საინფორმაციო სამსახურს ჩინეთის გაშუქებასთან მიმართებით სარედაქციო პოლიტიკა აქვს. მედია თემების აქტუალობის მიხედვით აშუქებდა საკითხებს, მაგალითად, ჩინეთი ფიგურირებდა ისეთ თემებში, როგორიცაა პელოსის ვიზიტი ტაივანში, ომი უკრაინაში, ავღანეთიდან აშშ-ს გამოსვლა და ა. შ. ახალი ამბები მზადდებოდა პეკინის ოლიმპიური ჩემპიონატის შესახებ და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. დადებითი ტონი, ძირითადად, შეიმჩნევა სამეცნიერო თემებთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული სამი მედიაწყაროდან „იმედზე“ ყველაზე ხშირად ვხვდებით ე.წ. „კლიკების“ მომგროვებელ ახალ ამბებს. მსგავსი შინაარსის ახალი ამბები ყველა ცალსახად ნეგატიური, ან დადებითი ტონის მატარებელი არ არის და

ზოგიერთი, განსაკუთრებით მათი გავრცელების სიხშირის გათვალისწინებით, შეიძლება, მოსახლეობაში აჩენდეს ჩინეთისა და ჩინელების მიმართ დამცინავ ან ქსენოფობიურ დამოკიდებულებას. თუმცა, უკრაინის ომის კონტექსტში იქმნება შთაბეჭდილება, რომ „იმედი“ ჩინეთის მაგალითს იყენებს საქართველოს ხელისუფლების სანქციებთან დაკავშირებული პოლიტიკის გასამართლებლად და გასამყარებლად. შესაბამისად, ტელეკომპანია ფართოდ აშუქებდა ჩინეთის მაღალჩინოსნების სანქციების მნიშვნელობის დამაკნინებელ განცხადებებსა და მიმართვებს. ქართული მედია აქტიურად აშუქებს ქართველი პოლიტიკოსების შეხვედრებს ჩინეთის ელჩთან. აღნიშნული ტენდენცია შესამჩნევია როგორც ტელეკომპანია „იმედის“, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშიც. საქართველოჩინეთის ურთიერთობებზე მომზადებული მასალები ხშირად ეყრდნობა საქართველოს მთავრობის ან სამინისტროების პრესრელიზებს. შესაბამისად, ტონი მუდმივად დადებითია და განპირობებულია თავად პრესრელიზში მოცემული განწყობებით, რომელიც მედიას თითქმის უცვლელად გადმოაქვს საკუთარ მასალებში. ამგვარი ურთიერთობების ამსახველი ინფორმაციები შეიცავს უბრალოდ შეხვედრების ფაქტის აღწერას, მადლიერებას რომელიმე კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის, ობიექტების ერთობლივ გახსნას და სხვა.

რაც შეეხება ინტერნეტმედიას - იმ მედიაპლატფორმების (sinomedia.ge, sinologia.ge, chinesestories.ge) გარდა, რომლებიც პირდაპირ უწევენ პროპაგანდას ჩინეთს და მათი მთავარი მიზანი, სწორედ, ჩინეთის სახელმწიფოს საქართველოში პოპულარიზაციისკენ არის მიმართული, ასევე, გამოვიკვლიეთ ისეთი მედიაპლატფორმებიც, რომელთა ინფორმაციული სპექტრი უფრო ფართოა და არ არის მხოლოდ ჩინეთზე ორიენტირებული. მედიაპლატფორმა „ნეტგაზეთის“ შემთხვევაში, ანალიტიკას ჩინეთის ფაქტორის თაობაზე ვხვდებოდით უმეტესად ტაივანის და უკრაინის ომის თემატიკაზე მომზადებულ მასალებში. თუმცა რეგიონული დატვირთვა და საქართველოში ჩინური ინვესტიციების თუ ჩინეთში ექსპორტის მაჩვენებლის შესახებ მომზადებული ინფორმაციები არ ხასიათდება განსაკუთრებული სიღრმითა და ანალიზით. თითქმის არ არის საუბარი ფართო კონტექსტზე, ჩინეთის სტრატეგიულ პოლიტიკურ ინტერესებზე სამხრეთ კავკასიაში, ან საქართველოში. „ნეტგაზეთისგან“ განსხვავებით, კრემლისტური მედია „სპუტნიკ საქართველო“ გვევლინება საქართველოში ჩინეთის პოპულარიზაციის პლატფორმადაც, რომელიც ჩინეთს აუდიტორიისთვის უკიდურესად დადებით ტონში წარმოაჩენს. აქტიურ რუსულ პროპაგანდასთან ერთად „სპუტნიკ საქართველო“ არის ჩინეთის ინტერესების გამტარი საშუალება, რომელიც დასავლეთის დისკრედიტაციასთან ერთად ახალი გეოპოლიტიკური ცენტრის შექმნის საკუთარ ვერსიას უწევს პროპაგანდას.

კონტენტ-ანალიზის შედეგები – ინტერნეტმედია

მედიაპლატფორმა:	sinomedia.ge
დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022[17]
Facebook გვერდი:	https://www.facebook.com/sinomedia.ge (7.4K likes • 7.5K followers)
მონიტორინგის მასალების თემატიკა:	✓ პოლიტიკა: ტაივანი, ამერიკა-ტაივანის ურთიერთობა; ✓ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა, ნენსი პელოსის ვიზიტი ტაივანში და სხვა; ✓ დიპლომატია, საქართველოსთან თანამშრომლობა; ✓ ბიზნესი, ეკონომიკა, ვაჭრობა.

მედიაპლატფორმა, მონიტორინგის პერიოდის დიდი ნაწილის განმავლობაში (2021 წელი), სტანდარტული ინტენსივობისაგან განსხვავებით, პასიურად აქვეყნებდა მასალებს. აღნიშნული პერიოდი უკავშირდება ახალი კორონა ვირუსის პანდემიის დაწყების მეორე წელს. მიუხედავად პასიური მედიასაქმიანობისა, დაკვირვების პერიოდში მედია აქტიურად აშუქებდა საქართველოსა და ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის, ვაჭრობის და ექსპორტის თემებს. საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, მათ შორის ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობას და ამერიკის მიერ ინიცირებულ „ჩიპების კანონს“. (The US-China chip war)[18]

---

[17] კვლევისთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთი ხასიათდება მნიშვნელოვანი პროცესებით, ერთი მხრივ, მისი პირველი ნაწილი ჯერ კიდევ პანდემიის აქტიურ პერიოდს ემთხვევა (დაშვებით, რომ მან გავლენა იქონია გაშუქების პრაქტიკაზეც), ხოლო, მეორე ნაწილი უკრაინაში რუსეთის აგრესიული ინტერვენციით გამოწვეულ ომის ფაზას.

[18] იხილეთ ინფორმაცია BBC-ზე, “US-China chip war: America is winning https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-64143602 ასევე, CNN, “The US-China chip war is spilling



ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, კონტენტი პლატფორმაზე გამოქვეყნებულია 2017 წლის შემდეგ. 2021 წელი, ინტერნეტგამოცემის საქმიანობაში ერთ–ერთი ყველაზე პასიური პერიოდია. ვებგვერდზე არის შექმნილი რამდენიმე კატეგორია, რის მიხედვითაც დახარისხებულია შინაარსი, თუმცა ვებგვერდზე ასევე შეხვდებით კატეგორიას - „კონსულტაცია“, რომელიც, ქვეკატეგორიების მიხედვით, აუდიტორიას სთავაზობს ინფორმაციას ფრენების, ჩინეთის ვიზის, საბუთების ლეგალიზაციის, ჩინეთის და საქართველოს უნივერსიტეტების და მათი პროგრამების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ნაწილი რამე კონკრეტულ ინფორმაციას და შინაარსს არ შეიცავს ან რამდენიმე წელია, არ განახლებულა.

Sinomedia, როგორ წესი, მკითხველს აწვდის ცალმხრივ ინფორმაციას. ვებგვერდზე განთავსებული მასალის ავტორები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ან კომუნისტურ პარტიასთან ასოცირებული წყაროებით ხელმძღვანელობენ, რესპონდენტებიც დაინტერესებული მხარეები არიან და ციტატებიც, სწორედ, ამგვარი წყაროებიდან მოჰყავთ. ბუნებრივია, დაინტერესებულ, მაგრამ კონკრეტული თემატიკის არმცოდნე მკითხველს შთაბეჭდილებაც შესაბამისად ექმნება. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს პლატფორმაზე გამოქვეყნებული მასალებიდან.

---

over to Europe”, 2022 https://edition.cnn.com/2022/11/25/tech/us-china-chip-war-spillover-europe-intl-hnk/index.html

„სინომედიას“ ავტორების შესახებ:

აკაკი ბალანჩივაძე

2019 წელს ჩინური ენის ხიდის შეჯიბრებების მონაწილე, რომლის ფარგლებშიც გაემგზავრა მოკლევადიანი ვიზიტით ჩინეთში. აქტიურად მონაწილეობს „ალტე უნივერსიტეტთან“ არსებულ კონფუცის ინსტიტუტის ღონისძიებებში. 2016 წლიდან სწავლობს ჩინურ ენას.

მარი გიორგობიანი

„თავისუფალი უნივერსიტეტის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, „თავისუფალ უნივერსიტეტში“ დაფუძნებული კონფუცის ინსტიტუტის სტუდენტი და ენის კონკურსების გამარჯვებული.

ე.წ. „ჩიპების“ თემა

2022 წლის 19 აგვისტოს პლატფორმაზე გამოქვეყნდა ინფორმაცია ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული ჩიპების და მეცნიერების აქტის[ii] შესახებ.



sinomedia.ge სტანდარტების შესაბამისად, მასში მხოლოდ კომ-ერციის სამინისტროს განცხადება არის ციტირებული. ასევე საუბარია ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც აღნიშნული კანონის მიმართ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებს აქვთ. ზოგადად არის ნათქვამი, რომ მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება უნდა ხდებოდეს *„შესაბამისი წესებისა და ღიაობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციული პრინციპების შესაბამისად“*, რათა უზრუნ-

ველყოფილი იყოს *„გლობალური ინდუსტრიული და მიწოდების ჯაჭვების უსაფრთხოება“* და თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი გლობალური კავშირების *„ფრაგმენტაცია“*. მთელი ეს კონცეპტუალური წუხილი ისეა გადმოცემული, რომ ერთი სიტყვა არ წერია სინამდვილეში რას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რომელ წესს ან რეგულაციას ეწინააღმდეგება ამერიკული კანონი. ამბის ამ ფორმით გადმოცემა ბუნებრივად უქმნის მკითხველს ნეგატიურ განწყობას და ქმნის ვარაუდს, რომ კანონი დემოკრატიის ყველა ამ ფუნდამენტურ პრინციპს ეწინააღმდეგება.

ბუნებრივია, ჩინეთის პროპაგანდისტული წყაროების განცხადებების პარალელურად თავად ამერიკელი კანონმდებლების ამოცანების, ან კანონის მიღების მიზეზების შესახებ არაფერია ნათქვამი.

ამერიკა – ტაივანის თანამშრომლობა

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩინეთის პროპაგანდის მანქანისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ტაივანის, უფრო მეტად კი აშშ-ტაივანის ურთიერთობებს შეეხება.

პლატფორმაზე ამ თემას რამდენიმე მასალა და საინფორმაციო სვეტი ეძღვნება.

მაგალითად, 2022 წლის 19 აგვისტოს გამოქვეყნდა საინფორმაციო სვეტი ,,ტაივანის საქმეთა ოფისის სპიკერი გმობს აშშ-ტაივანის სავაჭრო შეთანხმებას"[iii]. მკითხველი ინფორმაციას კვლავაც იღებს მხოლოდ ცალმხრივად, ჩინეთის პრიზმიდან. სტატიაში მოყვანილია ტაივან-ამერიკის თანამშრომლობის ჩინეთის მთავრობის მკვეთრი კრიტიკა. უფრო მეტიც, სტატიაში ციტირებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ტაივანის საქმეთა ოფისის სპიკერის, მა სიაოკუანგის, მუქარა:

> *“მან ასევე გააფრთხილა ტაივანის დემოკრატიული პროგრესული პარტიის ხელისუფლება, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის შენიღბვის ქვეშ გარე ძალებთან შეთანხმებისა და საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის კუნძულზე მაცხოვრებელი ხალხის ინტერესების ღალატის გამო, ანგარიშსწორების წინაშე აღმოჩნდება.”*

ამავე თემაზე მომზადებულ კიდევ ერთ მასალაში, რომელიც ორიოდე თვით ადრე გამოქვეყნდა, მხოლოდ ჩინეთის მთავრობის პოზიციას ვეცნობით, თუმცა სხვა საინფორმაციო სვეტის მასალებისგან განსხვავებით, ავტორს ამჟამად უფრო სიღრმისეული მიდგომის პრეტენზია აქვს, და შესაბამისად, მთავრობის წევრთა მიერ გამოთქმულ კრიტიკასთან ერთად მოყვანილია ისტორიული მონაცემებიც, ამერიკის მიერ „ერთი ჩინეთის“ პრინციპის აღიარების შესახებ. კვლავაც ვერ ვხვდებით ამერიკის მთავრობის ან ტაივანის წარმომადგენელთა პოზიციებს.

ერთი წყაროს პრინციპით აგრძელებს მედია მუშაობას ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტის გაშუქების დროსაც[iv], სადაც, ბუნებრივია, ჩინეთის მთავრობის მიერ გამოთქმული კრიტიკა და მუქარანარევი განცხადებები სჭარბობს.

კულტურა

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობა ფართოდ არის წარმოჩენილი პოლიტიკურ-კულტურული თემების განხილვის დროს:

შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნა პეკინში, საქართველოს მთავრობის წევრებთან შეხვედრა, შეხვედრები პარლამენტის თავმჯდომარესთან და სხვადასხვა დეპუტატებთან, ასევე საპარტნიორო ფონდის წარმომადგენელთან და სხვა.[v]

მედიაპლატფორმა:	sinologia.ge
დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022
დამფუძნებელი:	შალვა ჩიხლაძე
მონიტორინგის მასალების თემატიკა:	✓ კულტურა, ლიტერატურა, Lifestyle; ✓ ისტორია, არქიტექტურა; ✓ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა ✓ ჩაის კულტურა და საქართველო; ✓ პოლიტიკა, ერთიანი სარტყელი; ✓ ჩინეთი-ფილიპინები, კონფლიქტები, საერთაშორისო პოლიტიკა, ტერორიზმი

> *"მიზანია, გააცნოს და სხვა თვალით დაანახოს მკითხველს ჩინეთმცოდნეობის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: პოლიტიკა, კულტურა, ისტორია, ეკონომიკა და სხვა. პლატფორმა ატარებს აკადემიურ ხასიათს, სადაც პოპულარულ სამეცნიერო ენაზე განთავსებულია მცირე ზომის სტატიები, რომელიც შეიცავს კვლევის ელემენტებს. მისი კარი ღიაა ყველა მსურველთათვის."*

მედიაპლატფორმა *„სინოლოგია"* ჩინეთის შესახებ მომზადებულ მასალებში აუდიტორიას სთავაზობს საერთაშორისო პოლიტიკის და კულტურულ-ისტორიული ხასიათის მასალებს, რომელთა ნაწილი მიმართულია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ისტორიის და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე ჩინეთის შესახებ შექმნილი წარმოდგენის ალტერნატივის ჩვენებისაკენ.

პლატფორმა, ვებგვერდზე დატანილი ინფორმაციის მიხედვით, ფუნქციონირებს 2020 წლიდან და მასზე მასალებს აქვეყნებენ ქართველი სინოლოგები და მკვლევრები. პლატფორმა არის საგანმანათლებლო და ანალიტიკური. იგი მკითხველს სთავაზობს სიღრმისეულ, ანალიტიკური ხასიათის მასალებს ჩინეთის პოზიციონირების და როლის შესახებ გლობალურ პოლიტიკაში, ერთგვარად ქმნის ალტერნატიულ შინაარსს, რომლის მიხედვითაც ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური გავლენები არის თავდაცვითი პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მას, მის ირგვლივ ინტერესების და მისი კონფლიქტებისაგან დასაცავად სჭირდება და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ისეთივე საფრთხეს როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანია.

სტატიაში ***„გერმანიის იმპერია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა: ისტორიული პარალელი თუ უბრალო პარანოია?“*** მოცემულია შედარებითი ანალიზი პირველ მსოფლიო ომამდელ ევროპაში გერმანიის გავლენებსა და საფრთხეებზე და ჩინეთის რეალობის შესახებ. ავტორი აყალიბებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მკითხველს ხშირად უქმნიან ყალბ წარმოდგენას, რომ ჩინეთის პოლიტიკა დემოკრატიისთვის მაღალი რისკების მატარებელია, რაც გადაჭარბებული, გაზვიადებული და კონკრეტული ინტერესებით წახალისებულია.[19] ავტორი სტატიის დასკვნაში აცხადებს, რომ „გავრცელებული“ მოსაზრება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აღიქმება საფრთხისშემცველ და საშიშ მოთამაშედ, რომელიც არსებულ საერთაშორისო სისტემას აგრესიულად დაუპირისპირდება, არის წინასწარ შექმნილი განწყობა, რომელსაც აკლია რეალური დასაბუთება. *„მეტიც, ბევრი*

---

[19] სინოლოგია, „გერმანიის იმპერია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა: ისტორიული პარალელი თუ უბრალო პარანოია?“, 2022
https://sinologia.ge/germaniis-imperia-da-chinethis-sakhalkho-respublika-istoriuli-paraleli-thu-ubralo-paranoia/
ამონარიდი სტატიიდან: „გასაკვირი არცაა, რომ ჩინეთ-გერმანიის შედარება დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს დასავლურმა აკადემიურმა თუ პოლიტიკურმა წრეებმა... ამიტომაც, 1914 წელთან გავლებულ პარალელებს ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. მათი მოსაზრებით, უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით კი სი ძინპინის მმართველობაში მოსვლის შემდგომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აგრესიული გაძლიერებით აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი სიტუაცია გარკვეულწილად ემსგავსება ვილჰელმ II-ის დროინდელ გერმანიასა და იმ რეალობას, რამაც ევროპა პირველ მსოფლიო ომამდე მიიყვანა. შესაბამისად, ამ მოსაზრებით, ჩინეთი დღეს იგივე საფრთხეს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიისთვის, რასაც მეორე რაიხი – Pax Britannica-სთვის. მოვლენების ამ საკმაოდ პესიმისტურ აღქმას მალევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ჩინეთ-გერმანიას შორის არსებული მსგავსებები გაზვიადებულია და ამ მსგავსებაზე აქცენტების გაკეთება რეალობას დამახინჯებულად წარმოაჩენს.“

სინოლოგის მოსაზრებით, ჩინეთის "დიდი სტრატეგია" თავისი არსით თავდაცვითია (Kelly, 2014. b)".

ასევე პორტალზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჩინეთის ანტიტერორისტულ პოლიტიკას. ავტორების მიხედვით ქვეყანა თალიბანთან მოლაპარაკებებშია ჩართული, იმ რისკების თავიდან ასარიდებლად, რომელიც ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის „წარუმატებლად დასრულებას" შეიძლება მოჰვეს.

„2001 წელს ამერიკის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებული გლობალური ომი ავღანეთში წარუმატებლად დასრულდა – ქაბულის ხელისუფლების თალიბანის წევრების მიერ დაკომპლექტებამ რეგიონში დიდი გეოპოლიტიკური ძვრები გამოიწვია და რეგიონული მოთამაშეები არა ერთი პოტენციური საფრთხის წინაშე დააყენა, რომელთაგან ყველაზე მეტად საგულისხმო ავღანეთის „ტერორისტულ ჰაბად" გადაქცევაა" - ვკითხულობთ სინოლოგიის ვებგვერდზე, ოთარ ჭიღლაძის ავტორობით, 2022 წლის 4 აპრილს გამოქვეყნებულ მასალაში.[20] აქვე ვკითხულობთ, რომ „მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარებისთვის პოზიტიური მიმართულების მისანიჭებლად ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვანგ ი, შეხვდა თალიბანის ხელისუფლების წარმომადგენლებს, სადაც მხარეებმა თანამშრომლობის შესაძლებლობა გამოხატეს."

რისკების კონტექსტში ანალიტიკურ მასალაში მოყვანილია 2021 წელს ყუნდუზში „ისლამური სახელმწიფო – ხორასნის" (ISKP) მიერ ორგანიზებული აფეთქება. ISKP-ის განცხადებით, თვითმკვლელი ტერორისტი უიღურელთა ეთნოსს განეკუთვნებოდა და მომხდარი აფეთქება მიზნად ისახავდა თალიბანის დასჯას, ჩინეთთან ურთიერთობების განმტკიცებისთვის, სინძიანის რეგიონში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით (Pantucci, 2021)."

მედია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს და მკითხველს სთავაზობს (google drive-ს ბმულის მეშვეობით პლატფორმაზე განთავსებულია

[20] სინოლოგია, „ჩინეთის პოლიტიკა ტერორიზმის წინააღმდეგ: საერთაშორისო განზომილება", 2022
https://sinologia.ge/chinethis-politika-terorizmis-cinaaghmdeg-saerthashoriso-ganzomileba/

ელ. პუბლიკაცია[21]) „სინოლოგია, ერთი სარტყელი, ერთი გზა“ საერთაშორისო კონფერენციის ვრცელ პუბლიკაციას, რომელიც 2019 წელს, საქართველოში ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზის[22]“ და საელჩოს თანამშრომლობით გაიმართა. კონფერენციის მასალების ციტირება ხშირად გვხვდება სხვადასხვა ანალიტიკური თუ განმარტებითი მასალების გაცნობისას.

საერთაშორისო პოლიტიკასთან ერთად, sinologia.ge წერს ჩინურ-ქართული ურთიერთობების ისტორიის და საერთო კულტურის შესახებ, რისთვისაც ასევე გამოყენებულია ჩაის კულტურა (მცირე აღწერილობით, ვებგვერდზე არის ხელმისაწვდომი ელ. წიგნი[vi]). ჩინურ-ქართული ურთიერთობის კონტექსტში საუბარია სხვადასხვა ისტორიულ პირებზე, რომლებმაც ჩინეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივ-პოლიტ-იკურ ცხოვრებაში.

სტატია ,,ქართველები ჩინეთში“ მოიცავს ისტორიებს იმ ქართველ-ების შესახებ, რომლებმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესში. მათ შორის მოცემულია ისტორია, მაო ძედუნის აღზევებ-აში ქართველი კომინტერნის წევრი ლომინაძის როლის შესახებ, ისევე როგორც სტალინის პირველი ცოლის ძმის ალექსანდრე სვანიძის მოღვაწეობის შესახებ.[23]

---

[21] იხ. „სინოლოგია, ერთი სარტყელი, ერთი გზა“ საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2019 წელი https://drive.google.com/file/d/1sZus5KpkNOdyMK1Ecd3rDEkva2B0AhuT/view

[22] საქართველო - ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“ - XX საუკუნის 80-იან წლებში, ლიოუ ყანდარელ-კუანგვენის (მთარგმნელი/მკვლევარი/ცენტრის ამჟამინდელი პრეზიდენტი) ინიციატივით დაფუძნდა საქართველო – ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება „აბრეშუმის გზა“, რომელსაც 1992 წელს გადაერქვა სახელი და ეწოდა საქართველო – ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“. 1999 წლიდან დღემდე, ცენტრი ფუნქციონირებს როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. https://www.companyinfo.ge/ka/corporations/670438 , https://tsu.ge/assets/media/files/22/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%202021%20(1).pdf

[23] ამონარიდი სტატიიდან „ქართველები ჩინეთში“: „კიდევ ერთი ქართველი, რომელმაც საინტერესო კვალი დატოვა ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო კომინტერნის წევრი ბესარიონ ლომინაძე. 1927 წელს დასრულდა სამწლიანი ეროვნული თანხმობა კომუნისტურ და ნაციონალისტურ პარტიას შორის და მათ შორის ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამ პერიოდში კრემლმა ინსტრუქტაჟისთვის მიავლინა კომინტერნის ახალი დელეგაცია ბესარიონ ლომინაძისა და ჰეინც ნეუმანის ხელმძღვანელობით... ლომინაძისა და ნეუმანის ჩართულობით ახალგაზრდა მაო ძედუნი დროებით წევრად შევიდა პოლიტბიუროში, რითაც მისი გავლენა საგრძნობლად გაიზარდა... კიდევ ერთი ქართველი ბოლშევიკი, რომელიც ჩინეთის სამოქალაქო ომში კრემლის უშუალო წარმომადგენელი იყო ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძე გახლდათ. სვანიძე სტალინის პირველი ცოლის ძმა იყო, რომელიც სხვადასხვა დროს გავლენიან თანამდებობას იკავებდა. 1934 წელს როგორც

მედიაპლატფორმა:	chinesestories.ge
დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022
Facebook:	https://www.facebook.com/profile.php?id=100063558728011
შესწავლილი მასალების თემატიკა:	✓ განათლება; ✓ გაცვლითი პროგრამები ჩინეთში; ✓ ისტორია; ✓ ეკონომიკა; ✓ ფილოსოფია; ✓ რელიგია.

მედიაპლატფორმა ჩინეთის შესახებ მომზადებულ მასალებში, ძირითადად, იყენებს კულტურულ-საგანმანათლებლო-ისტორიულ შინაარსს, რაც კონტენტის რეიტინგებზე დაკვირვებით აუდიტორიის მიერაც მაღალი მიმღებლობით ხასიათდება.

ვებგვერდზე დატანილი ინფორმაციის შესაბამისად, ის დამზადებულია 2021 წელს, თუმცა ვებგვერდისაგან განსხვავებით მასზე განთავსებულ თითქმის არცერთ მასალას არ აქვს გამოქვეყნების თარიღი.[24] ვებგვერდზე, ძირითადად, ქვეყნდება სიღრმისეული მასალები შემდეგ თემატიკაზე:

- ✓ განათლება ჩინეთში;
- ✓ სტიპენდიები და გაცვლითი პროგრამები ჩინეთში;
- ✓ ჩინეთის ისტორია და ფილოსოფია;
- ✓ ეკონომიკა და ისტორია გეოპოლიტიკურ ჭრილში;
- ✓ მარქსისტული იდეოლოგიის მიმოხილვა და ა.შ.

სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი და დესპანი, სვანიძე სინძიანში ჩადის და იქაურ სამხედრო მმართველს შენგ შიცაის რეგიონის ეკონომიკურ, ფინანსურ და სამხედრო მოდერნიზებაში დირექტივებს აძლევს.“ სრულიად სტატია იხ. https://sinologia.ge/kharthvelebi-chinethshi-xx-saukunis-pirvel-nakhevarshi/

[24] მონიტორინგისათვის გამოყენებულია ვებგვერდზე მითითებულ სოციალურ ქსელში განთავსებული მასალები, Facebook-ზე გამოქვეყნების თარიღებით. აქვე, სოციალურ ქსელში განთავსების დრო, შესაძლოა, ზუსტად არ ემთხვეოდეს მასალის მომზადების და ვებგვერდზე გამოქვეყნების დროს.

ვებგვერდი არ მუშაობს სტანდარტული მედიაპლატფორმის ფორმატში. თუმცა ცალკეული მასალების ნახვების მაჩვენებელი ვებგვერდსა თუ Facebook გვერდზე მიუთითებს, რომ მისი გავრცელება მაღალია. მაგ: ინფორმაციას ჩინეთში განათლების მიღების შესახებ მხოლოდ ვებგვერდზე აქვს 4,019 ნახვა და როგორც მოსალოდნელიც იყო, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ვებგვერდის, სწორედ, ის კატეგორია, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ჩინეთში **საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ**. კერძოდ, სტიპენდიების, უნივერსიტეტების და კურსდამთავრებულთა გამოცდილების თაობაზე. პლატფორმაზე ასევე მრავლად არის გაცვლით და სასტიპენდიო პროგრამებში მონაწილე სტუდენტების პოზიტიური შეფასებები და შთაბეჭდილებები[vii].

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები აქვს პუბლიკაციებს ჩინეთის ისტორიის, ასევე, ჩინეთში არსებული სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების[viii] ან 1919 წლის „ოთხი მაისის მოძრაობის “ შესახებ და სხვა.



მედიაპლატფორმა:	Netgazeti.ge
დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022
მონიტორინგის მასალების თემატიკა:	✓ უკრაინის ომი; ✓ ვაჭრობა, ექსპორტი, ეკონომიკა; ✓ ტაივანი; ✓ რკინიგზა; ✓ კორონავირუსი, ვაქცინაცია.

მედიაპლატფორმა, მუშაობს აღიარებული ჟურნალისტური ეთიკური ნორმების დაცვით. გამოქვეყნებულ მასალას არ ახლავს სიძულვილის ენა, სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია, დაუდასტურებელი წყაროები და ა.შ. სარეკლამო შინაარსის მასალებს კი ახლდა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ აღიარებული სტანდარტით განთავსებული მინიშნება, რომ შინაარსი არის სარეკლამო.[ix] ხშირ შემთხვევაში ჩინეთთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები იყო სანდო საერთაშორისო მედიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებზე დაყრდნობით მომზადებული.

რაც შეეხება ანალიტიკას ჩინეთის ფაქტორის თაობაზე, მას ვხვდებოდით უმეტესად ტაივანის და უკრაინის ომის თემატიკაზე მომზადებულ მასალებში, თუმცა, რეგიონული დატვირთვა და საქართველოში ჩინური ინვესტიციების თუ ჩინეთში ექსპორტის მაჩვენებლის შესახებ მომზადებული ინფორმაციები არ ხასიათდება განსაკუთრებული სიღრმითა და ანალიზით. თითქმის არ არის საუბარი ფართო კონტექსტზე, ჩინეთის სტრატეგიულ პოლიტიკურ ინტერესებზე სამხრეთ კავკასიაში, ან საქართველოში.

რაც შეეხება განგრძობად გაშუქებას, მედია ცდილობდა აქტუალური თემების მიდევნებას, მათ შორის: ვაქცინაცია, რუსეთის ომი უკრაინაში, ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტი, გაშუქდა თანმიმდევრულად და აუდიტორიისთვის სრული კონტექსტის მიწოდებით. მათ შორის, ტაივანის ქეისში მედიამ აუდიტორიას შესთავაზა კონფლიქტის ისტორია, მისი მხარეები და ჩინეთ-ამერიკის მიმდინარე ურთიერთობების კონტექსტი.

მონიტორინგის შედეგებში ჩანს, რომ „ნეტგაზეთი“ აკვირდება ჩინეთის როლს რუსეთის აგრესიულ ომში, თუმცა, ნაკლებად გვხვდება ანალიტიკური სტატიები.

კორონავირუსთან დაკავშირებულ ინფორმაციაში „ნეტგაზეთი“ თითქმის არასდროს უსვამდა ხაზს ვირუსის წარმოშობის ადგილს, რაც შესაძლოა სარედაქციო გადაწყვეტილებაზე მიუთითებდეს, არ მოხდეს ჩინეთის და ჩინეთში მცხოვრებთა სტიგმატიზება.[x]

მედიაპლატფორმა:	Sputnik-საქართველო
დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022
მონიტორინგი განხორციელდა	მედიის ახალი ამბების მიმართულებით
მონიტორინგის მასალების თემატიკა:	✓ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია; ✓ ტაივანი; ✓ ავღანეთიდან აშშ-ს ჯარების გასვლა; ✓ COVID 19 და ახალი შტამი; ✓ „სენსაციური“ საოჯახო ჩინური მედიცინა და უებარი მცენარეები; ✓ ელექტრომობილები; ✓ „უკმაყოფილება“ ბაიდენის ადმინისტრაციასა და ევროპას შორის; ✓ უკრაინის ომი; ✓ პეკინის ოლიმპიადა; ✓ ფოტოკონკურსი, განაცხადის ჩინურ ენაზე შევსების შესაძლებლობებით; ✓ კოსმოსი.

კრემლისტური მედია „სპუტნიკ საქართველო“ გვევლინება საქართველოში ჩინეთის პოპულარიზაციის პლატფორმადაც, რომელიც ჩინეთს აუდიტორიისთვის უკიდურესად დადებით ტონში წარმოაჩენს. აქტიურ რუსულ პროპაგანდასთან ერთად, „სპუტნიკ საქართველო“ არის ჩინეთის ინტერესების გამტარი საშუალება, რომელიც დასავლეთის დისკრედიტაციასთან ერთად, ახალი გეოპოლიტიკური ცენტრის შექმნის საკუთარ ვერსიას უწევს პროპაგანდას. ამ მიზნისთვის გამოცემა იყენებს პოლიტიკური ანალიზის შემცველ მანიპულაციურ სტატიებთან ერთად, მსუბუქად საკითხავ კონტენტს. სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას გამომცემლობის ინტერესის სპექტრზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ *„სპუტნიკ საქართველო“,* მონიტორინგის პერიოდში ჩინეთთან კავშირში წერდა როგორც, მაგალითად, კოსმოსის თემატიკაზე, ასევე ჩინური ახალი წლის ტრადიციების შესახებ, და კალიგრაფიის და ფერწერის კონკურსზე[xi].

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული გვერდისთვის ჩინეთი იყო აქტიური გაშუქების თემა და არა მხოლოდ პირდაპირი პოლიტიკური შინაარსის მქონე საკითხებში. ჩინეთს, მედია აქტიურად წარმოაჩნდა, როგორც სახალხო მედიცინის, სასარგებლო მცენარეულის და ჯანმრთელობის მოვლის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და საუკუნოვანი ისტორიის კულტურად.

,,სპუტნიკ ჯორჯიაზე“ დაკვირვებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საანგარიშო პერიოდში იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ცალსახად დადებით კონტექსტში ახსენებს, თემატიკისა და საინფორმაციო მოვლენების მიუხედავად. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის მასალა, რომელშიც პეკინის ზამთრის ოლიმპიადის ბოიკოტზეა საუბარი. სტატიაში ავტორები გვერდს ვერ უვლიან დიპლომატიური ბოიკოტის მრავლობით შემთხვევებსა და მიზეზებს. სხვა მაგალითებთან ერთად საუბარია ავსტრალიის მთავრობის მიერ აქცენტირებულ აუღიარებლობის საკითხზეც[xii].

გარდა დადებით ტონში გაშუქებისა, „სპუტნიკ საქართველოს“ გვერდებზე გამოქვეყნებულ მასალებში, რომლებიც გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ჩინეთის პოზიციებს ასახავს, ჩინეთი გამოყვანილია როგორც ძლევამოსილი, უშიშარი და სწრაფად განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც „ამერიკის არ ეშინია.“ [xiii]

ვკითხულობთ გამომცემლობის მიერ ციტირებულ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან იმის განცხადებაში.

> *„ჩინეთი მიესალმება აშშ-თან თანამშრომლობას, თუმცა არც მასთან დაპირისპირების ეშინია და კონფრონტაციის შემთხვევაში „გამარჯვებამდე იბრძოლებს.“*

გარდა გლობალური საკითხებისა, *„სპუტნიკ საქართველო“* საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებსაც აქტიურად აშუქებდა. გამომცემლობის რაკურსში მოექცა კონკურსი სახელწოდებით *„ერთად დავწეროთ ჩინეთი–საქართველოს მეგობრობის ახალი თავი და დავხატოთ ორი ქვეყნის ნათელი მომავალი“*, რომელიც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების, ორ ერს შორის მეგობრობისა და კავშირების გაძლიერების აღსანიშნად იმართება.

თუმცა „სპუტნიკ საქართველომ“ საანგარიშო პერიოდში ასევე გამოაქვეყნა FBI-ს გაფრთხილებაც, ჩინეთის ჯაშუშობის შესახებ. *„FBI-ს შეფის თქმით, ჩინელი ჯაშუშები ყველგან ადევნებენ თვალს კომპანიებს“*, მასალაში ავტორს მოყვანილი არ აქვს ჩინეთის ოფიციალური პოზიცია, თუმცა ციტატების შერჩევაც მიუთითებს ჩინეთის შეუზღუდავ რესურსებზე აკონტროლონ ირგვლივ ყველაფერი *„დიდ თუ პატარა ქალაქებში, დაწყებული Fortune 100-ის რეიტინგში შესული კომპანიებით, დასრულებული სტარტაპებით, მათ აინტერესებთ ყველაფერი — ავიაცია, ხელოვნური ინტელექტი, ფარმაცევტული პროდუქტები*[xiv] *თუ სხვა.“*

ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ევროპა

„სპუტნიკ-საქართველო“ აქტიურად წერს ცვალებად საერთაშორისო გარემოზე, საერთაშორისო პოლიტიკაზე და სტრატეგიულ საფრთხეებზე. შესაბამისად, ჩინეთის საკითხი მუდმივად არის მისი ანალიტიკის განყოფილების ინტერესის საგანი. ანგარიშში გაგაცნობთ რამდენიმე მსგავს სტატიას, რომელთა გამოქვეყნებაც მონიტორინგის პერიოდს ემთხვევა.

ანალიტიკურ სტატიაში, ***„ნატოს გიჟური სტრატეგია: რუსეთისა და ჩინეთის ორმაგი შეკავების გზაზე“***[xv] - ავტორი ნატოს უკრაინის გაძლიერების სტრატეგიას უწუნებს, თუმცა, იქვე გვხვდება ნატოს ჩინეთის პოლიტიკის კრიტიკაც.

> *„ცოტა გასაკვირია მათი თავდაჯერება იმაში, რომ დასავლეთს შესწევს ძალა დაამარცხოს რუსეთი, მაშინ, როცა ნებისმიერი*

რეალისტისთვის გასაგებია, რომ მოსკოვი არ აპირებს უკან დახევას და დასახულ მიზნებზე უარის თქმას.
კიდევ უფრო საინტერესოა ნატოს მიზნები და სტრატეგია, რომელიც 2030 წლამდეა გათვლილი. თუ რუსეთი მთავარი საფრთხეა, მთელი ძალა მასთან ბრძოლისკენ უნდა იყოს მიმართული. მაგრამ ... კონცეფციაში პირველად გაჩნდა ჩინეთი, თუმცა ჯერ მტრის სახით არა. "

პროპაგანდისტული მედია გეოპოლიტიკური საკითხებზე წერისას, აშშ-სა და ნატოს დემონიზაციას ცდილობს და წარმოაჩენს მათ სუსტ და დამარცხებისთვის განწირულ გეოპოლიტიკურ აქტორებად. პროპაგანდისტული მიზნებისთვის მათი ფავორიტი თემა ავღანეთის ომია.

სტატიაში ***„რუსეთმა და ჩინეთმა აზია შეცვალეს - აშშ მას კარგავს"***[xvi] განვითარებულია მოსაზრება, რომ აზიასა და აზიურ პრობლემებს თავად აზიელებმა უნდა მიხედონ - მათ შორის, რუსეთმაც, როგორც „ძლევამოსილმა ევრაზიულმა სახელმწიფომ".

„ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გასვლის შემდეგ სრულდება რეგიონის საქმეებში პირდაპირი გარეშე ჩარევის ეპოქა - და სწორედ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია აიღებს მის უსაფრთხოებაზე სრულ პასუხისმგებლობას. "

„როგორი დიდი წინააღმდეგობაც არ უნდა იყოს მის ცალკეულ წევრებს {შანხაის გაერთიანების} შორის, პრაქტიკულად ყოველთვის არის შესაძლებელი ურთიერთხელსაყრელი გადაწყვეტილების თუ არა, კონფრონტაციის გამომრიცხავი ვარიანტის გამონახვა - განსაკუთრებით, თუ გარეშე, არააზიურ ძალებს არ მიეცემათ კონფლიქტების პროვოცირების შესაძლებლობა. რასაც ამჟამად ცდილობს აშშ ინდოეთში, QUAD-ის (უსაფრთხოების საკითხებზე ოთხმხრივი დიალოგი აშშ-ის, იაპონიის, ავსტრალიისა და ინდოეთის მონაწილეობით) ოთხეულის ფორმატში მისი ჩათრევის გზით, ფორმატში, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ანტიჩინური მიზნები ამოძრავებს. იმედია, შტატების ავღანური ეპოპეა ინდოეთს დაანახვებს რეგიონულ საკითხებზე ამერიკელებთან ერთად მუშაობის მთელ საფრთხეს. "

კიდევ ერთ პუბლიკაციაში ***„პუტინს ტუნდრა ეწვის – ბაიდენმა რუსეთისა და ჩინეთის ლიდერები გააკრიტიკა“***. *„სპუტნიკ საქართველო“* მკითხველს სთავაზობს აშშ-ს პრეზიდენტის მიერ რუსეთის და ჩინეთის პირველი პირების კრიტიკას და აქვე, სთავაზობს ალტერნატიული, მეორე მხარის პოზიციასაც, რომელიც თან დასავლეთის ლიდერებს შორის შეუთანხმებლობის დემონსტრირებას ახდენს, და თან დადებითად წარმოაჩენს რუსეთის და ჩინეთის ლიდერებს, რომლებმაც „კორონავირუსის პანდემიის გამო უარი თქვეს გლაზგოში წასვლაზე“.[xvii]

„სპუტნიკ საქართველო“ ხშირად აქვეყნებს ავტორისეულ მოსაზრებებს, რომლებიც მიკერძოებით, არაეთიკური ეპითეტებით და სუბიექტური მოსაზრებებით, ატარებს რუსეთის პროპაგანდისტულ ნარატივს, დიდი ამერიკულ-ევროპული დაპირისპირების შესახებ, ასევე ამერიკის გაღარიბებისა და დასუსტების შესახებ, განსაკუთრებით ჩინეთსა და რუსეთთან შედარებით.

> *„ამერიკელი ხალხის ცხოვრება სწრაფად უარესდება, უპრეცედენტო ინფლაცია დოლარს დისკრედიტაციითა და ქვეყნის გაღარიბებით ემუქრება. გადარჩენის ერთადერთ შანსად ისეთი მდიდარი ქვეყნების ძარცვა გამოიყურება, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი“.*[xviii]

> *„შეერთებული შტატების ნების წინააღმდეგ სერიოზულად წასასვლელად, როგორც ჩანს, შარლ დე გოლის მასშტაბის ფიგურაა საჭირო. მას შეეძლო დოლარზე უარის თქმა, შეეძლო გაეტანა ნატოს შტაბ-ბინა და ამერიკული ბაზები თავისი ქვეყნიდან, დამოუკიდებლად მოლაპარაკებოდა ჩინეთსა და სსრკ-ს.“*[xix]

კიდევ უფრო „შთამბეჭდავია“ მასალები „დაკნინებულ/დასუსტებული“ ამერიკისა და დასავლური დემოკრატიების ფონზე ჩინეთის „ძლევამოსილების“ შესახებ. მაგალითად, გამომცემლობა მთელი წლის მანძილზე გვთავაზობდა სხვადასხვა მასალებს ჩინური იუანის გამყარების შესახებ.

> მსოფლიოს ქვეყნები ეცდებიან სხვა ვალუტებზე გადავიდნენ, მათ შორის, ჩინურ იუანზე.[xx]

„რუსეთისა და ბელარუსის საკრედიტო ორგანიზაციებიც დაფიქრდნენ დასავლურ ვალუტაზე უარის თქმის საკითხზე. „ვითიბიმ“, ერთადერთმა რუსულმა ლიცენზირებულმა ბანკმა, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე ოპერაციებს აწარმოებს, „ალფა-ბანკთან“ ერთად რუსებს შესთავაზა ანგარიშებისა და ანაბრების იუანში გახსნა“[xxi].

უკრაინის ომი

უკრაინაში რუსულ აგრესიამდე ორიოდე თვით ადრე (გამოქვეყნებულია 2021 წლის 29 ნოემბერს) *„სპუტნიკ საქართველო“*, ამერიკულ-ევროპული თანამშრომლობის მიმოხილვისას (მოსაზრება, ალექსანდრ ხაბაროვი) ავითარებს ნარატივს, რომ აშშ-მ საფრანგეთი და გერმანია „ქვეყანა-ფანტომი“[25] უკრაინით ჩაანაცვლა, რომელიც „ასაფეთქებელი ნივთიერებებით“ არის „დატენილი“[xxii] და „უკრაინული დეტონატორით“ თამაშობს.

„შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია უკან გადაწია დამხმარე როლის შემსრულებელი ფრანგები და გერმანელები, თავისი ფრთის ქვეშ აიყვანა კიევი, ახლა კი უკრაინული დეტონატორით თამაშობს. იქ რომ რამე მოხდეს, მთელ ევროპას შეექმნება პრობლემა.“[xxiii]

მასალა, რომელიც გამოქვეყნებულია ომის დაწყებამდე თითქმის ორი თვით ადრე, მკაფიოდ მიუთითებს რუსეთის გეგმებზე უკრაინასთან დაკავშირებით და ამ დაპირისპირების მასშტაბის ამერიკა-რუსეთის კონფლიქტამდე ესკალაციაზე. *„სპუტნიკ საქართველოს“* გამოქვეყნებულ მოსაზრებაში ავტორი მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს:

„ეს არის ისტორია აშშ–რუსეთის ურთიერთობებზე.... შესაბამისად, თანამედროვეობის მთავარი კითხვა: რას ფიქრობენ ამაზე ამერიკელები, აპირებენ თუ არა ისინი ბრძოლას „უქრეინისთვის“, და თუ აპირებენ, რამდენად სერიოზულად?“

[25] იხ. სარედაქციო მოსაზრება (ავტორი: ვიქტორია ნიკიფოროვა), სადაც უკრაინის ეპითეტად ავტორი იყენებს სიტყვათშეთანხმებას „ქვეყანა-ფანტომი“. ავტორი, უკრაინასთან დაკავშირებით, არაერთ დისკრიმინაციულ, დამამცირებელ და არშემდგარი სახელმწიფოს შესატყვის განსაზღვრებას იყენებს.

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები

„სპუტნიკ საქართველო“ საანგარიშო პერიოდში წერდა ჩინეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების და პოლიტიკური განცხადებების შესახებ. *„ჩინეთის პრემიერი: ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები სტაბილურად ვითარდება“.*

> *„პოლიტიკური ნდობა მხარეებს შორის იზრდება, სხვადასხვა სფეროში შეინიშნება თანამშრომლობის წინსვლა, ხოლო მოქალაქეთა შორის ურთიერთობები და კულტურული გაცვლა სულ უფრო მტკიცე ხდება.“*[xxiv]

ელექტრომობილების ინდუსტრიაში ჩინეთის ინვესტიცია, „ჰუალინგის“ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გაფართოება და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები, და სხვა არაერთ მსგავს მასალას გვთავაზობს გამომცემლობა, საანგარიშო პერიოდში[xxv].

„სპუტნიკ საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ჭარბად ეთმობა სივრცე ტექნოლოგიებს, ასევე ჩინეთ-საქართველოს მთავრობათა კავშირს და როგორც წესი, მსგავს თემებს სრულად დადებითი ტონი გასდევს, როგორც ჩინეთის ისე საქართველოს მთავრობის მიმართ.

„ჩემი დავალებით, ჩვენ უკვე დავიწყეთ ახალი მოლაპარაკებები ინვესტორ კომპანიასთან. ქარხნის დიდი ნაწილი ჩამოტანილია ადგილზე და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს პროექტი მივიყვანოთ ბოლომდე... აქ ძალიან მალე დავიწყებთ ელექტრო ავტომობილების გამოშვებას“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა (24 ოქტომბერი, 2021). [xxvi]

„ქართულმა ჰოლდინგმა AiGroup-მა შესაბამისი მემორანდუმი ჩინურ კონსორციუმ Changan Automobile-თან გააფორმა (2019 წლის მარტში).[xxvii] *მხარეები შეთანხმდნენ, რომ მშენებლობა 24 თვეში დასრულდებოდა. მაგრამ პროცესი პანდემიის გამო გაიყინა, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა. „გარკვეული ხარვეზებიც იყო ამ პროექტთან დაკავშირებით. როგორც ვიცი, ვერ შეიკრა ეს პაკეტი, როგორც უნდა გამოსულიყო. ამას დაემატა პანდემია, გადაწია ეს პერსპექტივა. ახლა ჩვენ გვაქვს მცდელობა, რომ ჩინურ კომპანიებთან განვაახლოთ ეს პროექტი“, – განაცხადა პრემიერმა (30 აპრილი, 2022).*[xxviii]

კონტენტ-ანალიზის შედეგები – ტელემედია

„მთავარი არხი“

„მთავარი არხის“[26] ვებგვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო, მონიტორინგი მოიცავს 02.03.2022 - 28.08.2022 დროის მონაკვეთს. „მთავარი არხის“ ვებგვერდზე არ არის კალენდარული ძიება, ამიტომ მონიტორინგი განხორციელდა საძიებო ველის გამოყენებით, თეგებით ძებნისას მოცემულ კონტენტზე. აღნიშნულ პერიოდში მედიამ ვებგვერდზე ჩინეთთან დაკავშირებით 102 მასალა გამოაქვეყნა, ზოგიერთ მათგანს თან ერთოდა ვიდეოც. გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალურია.

ნეიტრალური - 75;
ნეგატიური- 26;
პოზიტიური - 2.

მაგალითები და ამონარიდები

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჩინეთი, ძირითადად, უცხოეთთან დაკავშირებულ მასალებში ფიგურირებდა, საქართველოსთან მიმართებით გვხვდება შემდეგი მასალები:

- კობთან, გვირაბის სამშენებლო სამუშაოების დროს, ჩინეთის მოქალაქე დაიღუპა[xxix]

---

[26] მთავარი არხი რუსთავი 2-ის ყოფილმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ და ამავე არხის თანამშრომლების ნაწილმა 2019 წელს დააარსეს. მთავარი არხი ეთერში 2019 წლის 9 სექტემბერს გავიდა. მაუწყებლობს მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც ღია ეთერით, ისე თანამგზავრით, საკაბელო ოპერატორებისა და IP ტელევიზიების საშუალებით. ნიკა გვარამია ამჟამად [2023 წლის მარტის მდგომარეობით] პატიმრობაშია, სასამართლომ იგი დამნაშავედ ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" ხელმძღვანელობის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ცნეს. ვებგვერდზე განთავსებული 2022 წლის 29 აპრილის შესაბამისობის დეკლარაციის მიხედვით (https://bit.ly/3Z6u4vt), არხზე 12 %-იანი წილის მფლობელია ნიკა გვარამია, 2 % ფლობს საქართველოს უნივერსიტეტი, ბაკურ ჯახია - 37 %, BGIM LTD - 39 % - BGIM LTD-ის 100 %იანი წილის მფლობელი კი ზაზა ოქუაშვილი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პოსტ-საარჩევნო[საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნები] მედიამონიტორინგის ანგარიშის მიხედვით (https://bit.ly/3JtoLjK), მაუწყებელი მკვეთრი კრიტიკით გამოირჩევა ხელისუფლების მიმართ და მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილისადმი.

- II კვარტალში უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 4%-ით შემცირდა, ადგილობრივი ექსპორტი 34.1%-ით გაიზარდა - საქსტატი,
- ხომ არ დადგა დრო, Мир-ის სისტემას შევუერთდეთ?! - დეპუტატი ინჯია და სხვა.

საქართველოსთან მიმართებით საინტერესოა საინფორმაციო მასალა, რომელსაც მედია ევროპელი სოციალისტების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე დაყრდნობით გვთავაზობს.

„ვგმობთ ჩინეთის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ პოლიტიკურ პროვოკაციას - ევროპელი სოციალისტები“ - მასალაში[xxx] ფაქტობრივად პირდაპირაა გადმოტანილი პარტიის ვრცელი განცხადება, ყოველგვარი შესავლის, განმარტების ან ანალიზის გარეშე, შესაბამისად მკითხველს ნაკლებად ექმნება შთაბეჭდილება, თუ რაზეა საუბარი. მსგავსი ზედაპირული მიდგომა ჩინეთის თემატიკის განხილვის დროს მედიასაშუალებისთვის დამახასიათებელია.

ჩინეთთან დაკავშირებული უცხოური სიახლეების გაშუქებისას ტელევიზია ეყრდნობა ისეთ გამოცემებს, როგორებიცაა: CNN, NYT, The Telegraph, The Wall Street Journal და სხვა. ჩინეთი გვხვდება მსოფლიო ლიდერების განცხადებებში, რასაც მედია ასევე აქტიურად აშუქებს.

„მთავარი არხი“ თანმიმდევრულად აშუქებდა ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტს და ამ კუთხით ჩინეთის პოზიციონირებას. ამ თემის ირგვლივ მომზადდა რამდენიმე ვრცელი ვიდეომასალაც, რომლებიც თან ერთოდა ახალი ამბების ტექსტებს. აღსანიშნავია, რომ ამ ვიდეომასალებში ჟურნალისტის ტონი ჩინეთის მიმართ მკვეთრად უარყოფითია, მაგალითად:

> *„ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, გამოეხმაურა ყოფილი კომუნისტი, ანუ მოქმედ კომუნისტებს გამოესარჩლა ყოფილი კომუნისტი სერგეი ლავროვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ამბობს, რომ აშშ ახლა ტაივანში პროვოკაციებს ახორციელებს.“ [3:12 - 3:24]*[27]

> *„ამის ინტერესი აქვს ჩინეთს, ღია კომუნისტურ ჩინეთს, სადაც ავტოკრატია მეფობს და ისინი ღიად რუსეთის მხარდაჭერას აცხადებენ“. [5:20- 5:29]*[28]

[27] იხ. „ჩინეთ-ტაივანი სამხედრო კონფლიქტის ზღვარზე | ვითარება და ბოლო ცნობები ტაივანიდან“, https://mtavari.tv/news/94265-chinet-taivani-samkhedro-konpliktis-zghvarze

> *„კონფლიქტის ფონზე ერთი ქვეყანა კომუნისტების ხელშია, მეორე კი დემოკრატიულად უპრეცედენტოდ განვითარდა და ტექნოლოგიური გიგანტია. თუ ტაივანს ჩინეთი ხელში ჩაიგდებს მაშინ, მას მთელი მსოფლიოს დაშანტაჟება შეუძლია. [1:46 - 1:56]*[28]

> *„ახლა ჩინეთი პროვოკაციებს პროვოკაციებზე აწყობს, აზიურ ავიაკომპანიებს განუცხადეს, რომ ტაივანის ცა არ გამოიყენონ, რადგან ის საფრთხისშემცველია.“ [2:29 - 2:36]*[29]

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილ მასალაში თავად ჩინეთის მხარის მიერ გაკეთებული კომენტარი ან განცხადება არ არის.

რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში ჩინეთის გაშუქება:

ომთან დაკავშირებით მედიაგაშუქებაში აქტიურად ვხვდებით საერთაშორისო აქტორების [მაგალითად, ნატოს გენერალური მდივანი, ევროკომისიის პრეზიდენტი, აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლების და სხვა.] ციტატებს, სადაც ჩინეთი “რუსეთის პარტნიორად” არის მოხსენიებული. მაგალითად:

> *„ჩინელი ინვესტორების სკეპტიციზმი რუსეთში ინვესტიციებზე, გაზეთის თანახმად, მიუთითებს მათ შიშზე, რომ მოექცევიან უკრაინაში შეჭრის შემდეგ დაწესებული სანქციების ქვეშ, მიუხედავად პეკინისა და მოსკოვის "უსაზღვრო მეგობრობის" შესახებ მტკიცებისა, რაც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ხდებოდა.” - ტექსტი ახალი ამბიდან.*

> *„[რუსეთი] დღეს არის ყველაზე პირდაპირი საფრთხე მსოფლიო წესრიგისთვის უკრაინის წინააღმდეგ გარგაროსული ომით, მისი შემაშფოთებელი შეთანხმებით ჩინეთთან და მათი მოწოდებით ახალი, ძალიან თვითნებური საერთაშორისო ურთიერთობებისკენ,“ - ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი.*

> *„პეკინი შეუერთდა მოსკოვს და ეჭვქვეშ აყენებს დამოუკიდებელი ქვეყნების უფლებას აირჩიონ საკუთარი გზა,“ - ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.*

---

[28] იხ. "აშშ-ის ბრძოლა ავტოკრატიის დასამარცხებლად | ნენსი პელოსის ვიზიტი ტაილანდში და ჩინეთის უწყვეტი მუქარა", https://bit.ly/3ADmSgz

„მთავარი არხის“ საინფორმაციო ბადეში რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში ჩინეთი, ძირითადად, ნეგატიური ტონითაა წარმოჩენილი და ის "რუსეთის პარტნიორად" არის მოხსენიებული, მაგრამ, პარალელურად გვხვდება ისეთი მასალებიც, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ჩინეთმა რუსეთს თვითმფრინავების სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე უარი უთხრა. ასევე მედია ავრცელებს ინფორმაციას იმის თაობაზეც, რომ ჩინეთი თანამშრომლობას წყვეტს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან.

პოზიტიური გაშუქება:

რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში მედია ავრცელებს ისეთ ამბავსაც, რომელშიც აღნიშნულია ჩინეთის მთავრობის მიერ გაწეული ფულადი დახმარება უკრაინისადმი. ამის საილუსტრაციოდ მასალაში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის დმიტრო კულებას ციტატაა მოყვანილი, სადაც ის მადლობას უხდის ჩინეთის მთავრობას და მას უკრაინისთვის უსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტორად ყოფნას სთავაზობს.[xxxi]

> *“მე მადლობელი ვარ ჩინეთის წითელი ჯვრის ორგანიზაციისა, რომელმაც უკრაინას 5 მილიონი იუანის ოდენობის ჰუმანიტარული დახმარება მიაწოდა და მადლობას ვუხდი ჩინეთის მთავრობას, რომელიც ამ დახმარების გაგრძელების სურვილს გამოთქვამს“, - უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი.*

„მთავარი არხის“ ინტერნეტმედიის მონიტორინგისას არ გამოკვეთილა, რომ მას გაწერილი პოლიტიკა ჰქონდეს ჩინეთთან მიმართებით. მედია ჩინეთს დიდი დოზით აშუქებს იმ შემთხვევაში თუ ის მნიშვნელოვან მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, როგორც იყო ტაივანის საკითხი.

მსგავსი საინფორმაციო ნაკადების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თუკი არ არსებობს მწყობრი ანალიტიკა და მკითხველს/მაყურებელს არ მიეწოდება სრულყოფილი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებისა და გეოპოლიტიკური კონტექსტის შესახებ, შესაძლებელია მხოლოდ მშრალმა საინფორმაციო გარემომ უფრო მეტად დაბნეულობა და გაურკვევლობა გამოიწვიოს და ვერ დააკმაყოფილოს საზოგადოების ინფორმირების მოთხოვნა.

გადაცემა – „მთავარი მსოფლიოში“

თვისებრივი ანალიზისთვის დამატებით მონიტორინგს დაექვემდებარა ტელეკომპანია „მთავარის“ ყოველკვირეული საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამა ,,მთავარი მსოფლიოში“, რომელიც საანგარიშო პერიოდში გადიოდა ეკა კვესიტაძის ავტორობით და წამყვანობით. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე წამყვანის და სტუმრების მოსაზრებები, ძირითადად, ეყრდნობოდა პირად პოზიციებს. ჩინეთი არ იყო გადაცემის განსაკუთრებული ინტერესის სფერო და მასზე მხოლოდ ირიბად, უმეტესად უკრაინის პრობლემატიკაზე მსჯელობისას საუბრობდნენ, თუმცა, კრიტიკულად.

დაკვირვების პერიოდი:	01.09.2021 – 01.09.2022
მონიტორინგს დაქვემდებარებული მასალების რაოდენობა:	38(გადაცემების უმეტესობა ორნაწილიანი იყო - ჯამში -73)
მონიტორინგის მასალების თემატიკა:	✓ უკრაინის ომი; ✓ საქართველოს ევროინტეგრაცია ✓ ევროკავშირის სტატუსის მინიჭება ✓ კორონავირუსი, ვაქცინაცია

ამონარიდები და მაგალითები ,,მთავარი მსოფლიოში“

2021 წლის 18 სექტემბრის გადაცემის თემატიკა ეხებოდა ვაქცინაციას. 45-წუთიანი გადაცემის განმავლობაში ჩინეთი ნახსენები იყო ერთხელ - 5:40- 6:00 პერიოდში - 20 წმ-ით.

გადაცემის ფარგლებში მომზადებულ რეპორტაჟში ავტორი ამბობს:

> *“ბრიტანელების მსგავსად 12-დან 15 წლამდე ბავშვების აცრა სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს, დანიამ და ესპანეთმა, მაგალითად, უკვე ბავშვების დიდი ნაწილი აცრეს და მათ არც საფრანგეთი ჩამოუვარდა. სადაც 12-დან 17 წლამდე ადამიანების 66%-მა ერთი დოზა მიიღო, 52% კი სრულად არის ვაქცინირებული. 12 -15 წლის ბავშვების აცრა ასევე დაიწყო აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, შვედეთსა და ნორვეგიაში. ჩინეთმა კი სულაც 3 წლის ასაკიდან დაიწყო ბავშვების ვაქცინაცია. “*

ჩინეთის ხსენება (ძირითადად, უარყოფით ტონში) იწყება უკრაინის ომის გაშუქების პარალელურად.

2021 წლის 27 ნოემბრის გადაცემაში ,,რომელიც უკრაინა-რუსეთის არსებულ ურთიერთობებს ეხებოდა, წამყვანი ამბობს: 20:19 - 21:21 წთ- „რუსეთი აშანტაჟებს ბაიდენის ადმინისტრაციას რომ თუ თქვენ არ გინდათ თქვენთვის არასასურველ თემებზე ვითანამშრომლოთ ჩინეთთან მოგიწევთ დათმობები, დღეს ამერიკისთვის მთავარი გამოწვევაა ჩინეთი, რუსეთს არ მიიჩნევდა თანასწორ პრობლემად, ჩინეთი არის გრძელვადიანი და რასაკვირველია უზარმაზარი პრობლემა. მაგრამ მოკლევადიან გამოწვევებს ქმნის რუსეთი. ამერიკის ადმინისტრაციას აქვს არჩევანი - რუსეთის მხრიდან არსებულ მყისიერ გამოწვევას უპასუხოს თუ, იმ იმედით რომ მთავარია რუსეთმა არ ითანამშრომლოს ჩინეთთან წავა დათმობებზე.“ - აქ რუსეთთან ერთად ჩინეთი ნახსენებია უარყოფით კონტექსტში.

2021 წლის 4 დეკემბრის გადაცემა - გადაცემის თემა - იქნება თუ არა ომი უკრაინაში. მოწვეული სტუმარი ბათუ ქუთელია ამბობს- 8:51 - 9:10 წთ- *„თუ სტრესი გადავა იმაზე, რომ ავტორიტარიზმი არის მთავარი საფრთხე დემოკრატიის, მაშინ რეალპოტიკის, ძალთა ბალანსის ან დიდი სტრატეგიის გათვლების, რომ მოდი ახლა რუსეთთან ვითანამშრომლოთ რომ ჩინეთი არის მნიშვნელოვანი საფრთხე, ეს დღის წესრიგიდან გაქრება. თუმცა ეს აიწონა დაიწონა ჯერ ბოლომდე გადახრილი არ არის. ამერიკის მთავარი ამოცანა არის რომ რუსეთის და ჩინეთის კავშირი არ შედგეს და სწორედ ამიტომ გათვლა ხდება რუსეთთან თანამშრომლობაზე“* - რუსეთთან ერთად ჩინეთი ნახსენებია უარყოფით კონტექსტში.

2021 წლის 18 დეკემბრის გადაცემა - პირველი ბლოკი 9:48 – წამყვანი ამბობს - *„არის მოსაზრება რომ დასავლეთს და ამერიკას რუსეთი სჭირდება ჩინეთთან, როგორც ყველაზე გრძელვადიან გამოწვევასთან საბრძოლველად“*

მეორე ბლოკი - სტუმარი გია ხუხაშვილი ამბობს - 31:48 წთ - *„ვაშინგტონში ესმით, რომ თუ რუსეთს გაუვიდა უკრაინაში, ეს იქნება სიგნალი ჩინეთისთვის, აიღოს ტაივანი. ამას აშშ არ დაუშვებს, რადგან ეს იქნება მათი უსაფრთხოების სისტემის ჩამოშლა.“* - რუსეთთან ერთად ჩინეთი ნახსენებია უარყოფით კონტექსტში.

2022 წლის 5 თებერვლის გადაცემა - 3:56 - 4:23- რეპორტაჟის ავტორი ამბობს - *„კრემლი დიპლომატიური გზების ძიებას ჯერ კიდევ განაგრძობს. გუშინ ვლადიმერ პუტინი პეკინში იმყოფებოდა, სადაც ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნას დაესწრო და ჩინეთის*

პრეზიდენტ სი ძინპინსაც შეხვდა. არცთუ ხანგრძლივი მოლაპარაკ-ებების შემდეგ მხარეებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. ჩინ-ეთის ლიდერი უერთდება მოსკოვის მოთხოვნას ნატოს არგაფართო-ების შესახებ, ხოლო მისი რუსი კოლეგა ტაივანზე ჩინეთის სუვერენ-იტეტს აღიარებს.“ - რუსეთთან ერთად ჩინეთი ნახსენებია უარყოფით კონტექსტში.

2022 წლის 19 თებერვლის გადაცემა - 23:51- ხუხაშვილი ამბობს: *„ამ ყველაფრის უკან არის მესამე განაკი ჩინეთი. ატლანტიკურ საბჭოზე ცოტა ხნით ადრე იყო ჩინური საკითხის ძალიან საინტერესო გან-ხილვა. იქ იყო ექსპერტად ავსტრალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამბობდა, რომ რასაც არ უნდა ცდილობდეს პუტინი ჩინეთს თავისი გაგება აქვს საერთაშორისო ურთიერთობების და დროის. ჩინეთს ახლა არ უნდა საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავება. ის რომ პუტინის უკრაინულ ამბიციებს გადაყვეს მსოფლიო სტაბ-ილურობა. ეს ჩინეთს არ აწყობს. კვესიტაძე - ჩინეთს არ აწყობს რუს-ეთის გაძლიერება. ის კონკურენტია. ხუხაშვილი - თუ რუსეთს გაუ-ვიდა უკრაინაში ჩინეთი ამას ისე უყურებს, რომ მასაც გაუვა ტაივან-თან, ექსპერტების დასკვნა იყო რომ ტაივანი ჩინეთისთვის დიდი პრობლემაა და ჩინეთი მზად არის, ეს პრობლემა გადადოს დიდი ხნით მომავალში, რასაც პუტინი და რუსეთი ვერ ახერხებს.“* - რუსეთთან ერთად ჩინეთი ნახსენებია უარყოფით კონტექსტში.

2022 წლის 9 ივლისის გადაცემის თემა იყო რუსეთისგან ენერგო-დამოუკიდებლობის მოპოვება და ამ პროცესში ცენტრალური აზიის როლი. გადაცემის მეორე ბლოკში თემაზე სასაუბროდ მოწვეული იყო ნონა მამულაშვილი (საკვლევი პერიოდისთვის „ერთიანი ნაციონ-ალური მოძრაობის“ წევრი), საკითხის განხილვისას რესპონდენტმა ჩინეთი, რუსეთთან ერთიან კონტექსტში უარყოფით ჭრილში მო-იხსენია. - *„თუ არ მოხდა ურთიერთობების სტაბილიზაცია და გარ-კვევა, მაშინ ავღანეთის გვერდის ავლით უნდა მოხდეს ენერგო-რესურსების გატანა. ეს არის ცენტრალური აზიისთვის უმტკივნეულ-ესი პროცესი, იმიტომ, რომ ერთი მხრივ, არ იციან თალიბანის მიმართ რა პოლიტიკა უნდა გაატარონ და საშიშია და, მეორე, მხრივ, ჩინეთის ინტერესები და რუსეთი, რომელმაც აჩვენა, რომ ის ყველაფერზე წამსვლელია.“*

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის თემატიკას ცალკე პროგრამები არ ეთმობა, სხვადასხვა გლობალურ თემაზე მსჯელობისას ჩინეთის რო-ლი, პოლიტიკა და პოზიციონირება ყურადღების მიღმა არ რჩება და გადაცემის მაყურებელს ანალიზის მოსმენის შესაძლებლობა ეძლევა.

ტელეკომპანია „იმედი“

ერთიანი და ცალსახა სარედაქციო პოლიტიკა ჩინეთთან მიმართებით არც ტელეკომპანია იმედის[29] შემთხვევაში ჩანს. თუმცა, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ჩინეთის როგორც უარყოფით, ისე დადებით გაშუქებას, ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა თემას, ტელეკომპანია იყენებს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების დადებით კონტექსტში წარმოსაჩენად.

„იმედის“ მონიტორინგი მოიცავს სრულ საკვლევ პერიოდს. მონიტორინგს დაექვემდებარა 1,368 მასალა. გაშუქების ტონის რაოდენობრივი ანალიზისას ჩვენ არ გავითვალისწინეთ წმინდად ინფორმაციული ხასიათის 1,081 მასალა, რომლებშიც ჩინეთი მხოლოდ ერთი წინადადებით იყო მოხსენიებული. მაგალითად, ,,ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო." - ეს წინადადება აღწერაში ეწერა covid 19-თან დაკავშირებულ, ფაქტობრივად, ყველა ახალ ამბავს. წინადადება თავისი არსით ნეიტრალურია და ერთგვარად ფაქტის კონსტატაციას წარმოადგენს. შესაბამისად, დანარჩენ მასალაში გაშუქების ტონი გადანაწილდა შემდეგნაირად:

ნეგატიური:	36
ნეიტრალური:	237
პოზიტიური:	10

[29] ტელეკომპანია "იმედი" 2001 წელს დაარსდა და 2003 წლის 15 მარტიდან მაუწყებლობს. „იმედის“ ვებგვერდზე განთავსებული 2022 წლის შესაბამისობის დეკლარაციის მიხედვით (https://bit.ly/40opEkA), არხის გენერალური დირექტორია მარიამ ლომიძე. დეკლარაციის მიხედვითვე, შპს ტელეკომპანია იმედის 100 %-იანი წილის მფლობელია " ჯორჯიან მედია ფროდაქშენ გრუფი - Georgian Media Production Group. თავად ამ კომპანიის რომ 100 % წილის მფლობელია Media Finance Group, ამ უკანასკნელის ბენეფიციარი მესაკუთრეები კი არიან: ირაკლი ოთარ რუხაძე, ბენჯამინ ალბერტ მარსონი და იგორ ალექსეევი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პოსტსაარჩევნო [საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნები] მედიამონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, ტელეკომპანია მკვეთრად გამოხატული სახელისუფლებო არხია. *"იმედი ხელისუფლებისადმი მიკერძოებით გამოირჩევა. აქ მმართველი გუნდი დადებითად იყო წარმოჩენილი და ამ არხზე ოპოზიცია მაქსიმალურად დისკრედიტირებულია."*

მაგალითები და ამონარიდები – ტელეკომპანია ,,იმედი“

ჩინეთთან დაკავშირებული მასალები ვებგვერდზე მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესაბამისად გვხვდება. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული სამი მედია წყაროდან „იმედზე“ ყველაზე ხშირად ვხვდებით ე.წ. „კლიკების“ მომგროვებელ ახალ ამბებს. მსგავსი შინაარსის ახალი ამბები ყველა ცალსახად ერთგვაროვანი პოზიციის მატარებელი არ არის და ზოგიერთი, განსაკუთრებით მათი გავრცელების სიხშირის გათვალისწინებით, შეიძლება მოსახლეობაში აჩენდეს ჩინეთისა და ჩინელების მიმართ დამცინავ ან ქსენოფობიურ დამოკიდებულებას.

- ჩინეთში ტელეარხებს „არასაკმარისად მასკულინური“ გარეგნობის მქონე კაცების ჩვენება აუკრძალეს;[xxxii]
- 55 წლის ჩინელი 40 წელია, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში ჩარიცხვას ცდილობს;[xxxiii]
- ჩინეთში McDonald’s-ში ველოტრენაჟორები დააყენეს, რათა კლიენტები ჭამის დროს სპორტით დაკავდნენ;
- ჩინეთში, 80-ზე მეტი სირაქლემა ფერმიდან გაიპარა და ქალაქის ქუჩებში „გაიჭრა“. მასალას თან ერთვის ვიდეო;
- ჩინეთში ბავშვებს TikTok-ის ანალოგით სარგებლობის დღიური ლიმიტი დაუწესეს;[xxxiv]
- ჩინეთში კრიპტოვალუტით ფინანსური ოპერაციები აიკრძალა;[xxxv]
- შანხაის „დისნეილენდში“ ჩაკეტეს 33 863 ადამიანი, მას შემდეგ რაც ერთ-ერთ სტუმარს კორონავირუსი დაუდასტურდა;[xxxvi]
- ჩინეთში ოჯახმა 14 წლის წინ გატაცებული შვილი იპოვა;[xxxvii]
- ჩინეთში შექმნეს პროგრამა, რომელიც დაკავებულისთვის ბრალის წაყენების თაობაზე გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს;

ასევე, ქვემოთ მოყვანილი ახალი ამბები მკითხველში, შესაძლოა, იწვევდეს უნდობლობის განცდას ჩინური ტექნოლოგიების მიმართ. ვუშვებთ, რომ ახალი ამბების გავრცელება სარედაქციო პოლიტიკის ნაწილი არ იყო, თუმცა ზეგავლენა მკითხველზე მაინც მოსალოდნელია.

- ჰაკერების ფორუმზე ცნობილი ხდება, რომ ჩინეთის პოლიციიდან მილიარდზე მეტი ადამიანის მონაცემები გავრცელდა, რაც შეიძლება, ისტორიაში მონაცემების ყველაზე მასშტაბური გაჟონვა იყოს;
- FBI მოუწოდებს ამერიკელ სპორტსმენებს, პეკინის ოლიმპიადაზე საკუთარი მობილური ტელეფონები არ წაიღონ;

- ლიეტუვის თავდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, ჩინური სმარტფონები გადააგდონ და თავი შეიკავონ მათი შეძენისგან;
- კოსმოსში გაშვებული ჩინური რაკეტის ნამსხვრევები დედამიწაზე ჩამოცვივდა;
- NASA: რაკეტის ნაწილი, რომელიც მთვარეს უნდა შეეჯახოს, კოსმოსში გაუშვა არა SpaceX-მა, არამედ - ჩინეთმა;
- ჩინელმა ცენზორებმა ,,მინიონების“ ფინალი შეცვალეს და სხვა.

ეპითეტი „ჩინური“ დამაკნინებლადაა მოხსენიებული სხვადასხვა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა გამოსვლებში:

ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი პარტია "საქართველოსთვის" წევრზე გიორგი ხოჯევანიშვილზე:

> *"ღალატის ფორმულამ, ბოლი გახარიამ [საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე] გამოაგორა თავისი მორიგი ჩინური ვერსია და ცოტა დაუფარავად, ოდნავი სითამამით ჩაერთო ნაცების კამპანიაში - ოღონდ ოცნების ხელისუფლებას არ მისცენ კანდიდატის სტატუსი და ყველაფერი წყალსაც წაუღია."*[xxxviii]

> *"ეს ჩინური გახარია (ჯერ გახარია რა არის და მერე - მისი ჩინური ვერსია)."*

მედიას ასევე პირდაპირ აქვს გადმოტანილი ლევან ნიკოლეიშვილის ციტატა ექს. პრემიერის, გიორგი გახარიას მიერ დაფუძნებული პარტიის „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის კახა ქემოკლიძის შესახებ, რომელსაც არანაირი განმარტება არ ახლავს და ჩინეთი გამოყენებულია კვლავაც ნეგატიურ ეპითეტად.

> *"ეს ჩინური გახარია, პარტიის მთავარი კლოუნი „აპრავებს“ 16 ადამიანით საკრებულოს სხდომის ჩატარებას მაშინ, როდესაც კვორუმს 17 ხმა სჭირდება"*[xxxix]

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს განცხადებები ლევან ნიკოლეიშვილს რომელიმე გადაცემაში ან ჟურნალისტთან პირდაპირი ეთერით საუბრისას არ გაუკეთებია, მედია საშუალებამ ნიკოლეიშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტზე დაყრდნობით საკუთარი

ინიციატივით გადაწყვიტა აღნიშნული მასალის აქცენტირება და სპეციალური სიუჟეტები მოამზადა.

უკრაინის ომი

უკრაინის ომის კონტექსტში იქმნება შთაბეჭდილება, რომ „იმედი“ ჩინეთის მაგალითს იყენებს საქართველოს ხელისუფლების სანქციებთან დაკავშირებული პოლიტიკის გასამართლებლად და გასამყარებლად. შესაბამისად, ტელეკომპანია ფართოდ აშუქებდა ჩინეთის მაღალჩინოსნების სანქციების მნიშვნელობის დამაკნინებელ განცხადებებსა და მიმართვებს.

მაგალითად, ფართოდ გაშუქდა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის 2022 წლის 20 მარტის განცხადება, სადაც იგი გვიმტკიცებდა, რომ ისტორიამ არაერთხელ აჩვენა, რომ სანქციების დაწესება „შეშით ცეცხლის ჩაქრობას ჰგავს და პრობლემის გადაჭრის ნაცვლად ვითარებას აუარესებს“. ასევე სწორედ ამგვარი განცხადებების გაშუქებისას იყენებს „იმედი“ ირიბი პროპაგანდის მეთოდებს. ტელეკომპანია ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლების გამოყენებით, ხელს უწყობს საზოგადოებაში პროპაგანდისტული გზავნილების გავრცელებას დასავლეთის მზაკვრული ამოცანებისა და ჩანაფიქრის შესახებ, რომ (1) რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში "დაწესებული სანქციების ხარჯზე ამერიკა მდიდრდება"[xl], ან (2) სანქციებს არ შესწევს უნარი დაასრულოს ომი[xli] და პირიქით, სანქციების შემოღება აშშ-ს მხრიდან ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავს, და სხვა.

> *“პატარა ქვეყნები არ უნდა გამოიყენონ პაიკებად... ისინი {დიდი ქვეყნები} პატარა ქვეყნებს კატის თათად აქცევენ და მარიონეტულ ომებში საბრძოლველადაც კი იყენებენ. შეგიძლიათ დააკვირდეთ იარაღის დილერებს, ბანკირებს და ნავთობის მაგნატებს, რომლებიც ამ ომებიდან სარგებელს ნახულობენ, როცა პატარა ქვეყნების მოსახლეობას ომის ჭრილობები რჩება, რომელთა შეხორცებასაც წლები დასჭირდება. ეს არის უაღრესად ამორალური და უპასუხისმგებლო”.*[xlii]

პლატფორმაზე გამოქვეყნებულ ახალ ამბებში ვკითხულობთ შემდეგს:

> *„თუ აშშ-ს უკრაინაში შექმნილი კრიზისის მოგვარება სურს, მათ უნდა შეწყვიტონ ცეცხლზე ნავთის დასხმა და რუსეთისთვის დამატებითი სანქციების დაწესება,“- განაცხადა ჩჟაო ლიცზიანმა - ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა“.*[xliii]

ჩინეთის ელჩი

ქართული მედია აქტიურად აშუქებს ქართველი პოლიტიკოსების შეხვედრებს ჩინეთის ელჩთან. აღნიშნული ტენდენცია შესამჩნევია როგორც ტელეკომპანია „იმედის“ ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშიც. საქართველო ჩინეთის ურთიერთობებზე მომზადებული მასალები ხშირად ეყრდნობა საქართველოს მთავრობის ან სამინისტროების პრესრელიზებს. შესაბამისად, ტონი მუდმივად დადებითია და განპირობებულია თავად პრესრელიზში მოცემული განწყობებით, რომელიც მედიას თითქმის უცვლელად გადმოაქვს საკუთარ მასალებში. ამგვარი ურთიერთობების ამსახველი ინფორმაციები შეიცავს უბრალოდ შეხვედრების ფაქტის აღწერას, მადლიერებას რომელიმე კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის, ობიექტების ერთობლივ გახსნას და სხვა.

- ლევან დავითაშვილი საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული ფორუმის მონაწილეებს ვიდეომიმართვით მიესალმა;
- ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის ელჩთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა;
- ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო მადლობელია აშშ-ის, ევროკავშირის, ჩინეთის და ვაქცინების მწარმოებლების, რომლებმაც მოგვაწოდეს მარაგები ქართველი ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად.



მონიტორინგის პერიოდში [01.09.2021- 01.09.2022] საზოგადოებრივი მაუწყებლის[30] ვებგვერდზე ჩინეთთან დაკავშირებული 409 მასალა გამოქვეყნდა. ვებგვერდზე ხელმისაწვდომი იყო კალენდარული არქივი. მასალები საკვლევი პერიოდის და თეგების მითითებით შეგროვდა.

ტონები ჩინეთთან დაკავშირებულ 409 მასალაზე ასე გადანაწილდა:

321 - ნეიტრალური;

64 - ნეგატიური;

24 - პოზიტიური.

ისევე, როგორც სხვა არხების შემთხვევაში ვერც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამებში ვერ ვხვდებით ანალიზს, ან სიღრმისეულ მასალებს. ახალი ამბები ძირითადად რომელიმე კონკრეტული პირის განცხადების გაშუქებით შემოიფარგლება. მასალებში არ არის წინაისტორია, არ არის საპასუხო კომენტარები. ვერ ვიტყვით, რომ საინფორმაციო სამსახურს ჩინეთის გაშუქებასთან მიმართებით სარედაქციო პოლიტიკა აქვს. მედია თემების აქტუალობის მიხედვით აშუქებდა საკითხებს, მაგალითად ჩინეთი ფიგურირებდა ისეთ თემებში, როგორიცაა: პელოსის ვიზიტი ტაივანში, ომი უკრაინაში, ავღანეთიდან აშშ-ს გამოსვლა და ა. შ. ახალი ამბები მზადდებოდა პეკინის ოლიმპიური ჩემპიონატის შესახებ და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე.

დადებით ტონს ვხვდებით ბიზნესის სიახლეების გაშუქებისას, ამ კუთხით, გარდა საინფორმაციო მასალებისა ცალკე გამოვყავით გადაცემა ,,ბიზნესპარტნიორი“.

---

[30] საზოგადოებრივი მაუწყებელი „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა. ამჟამად არხის გენერალური დირექტორია თინათინ ბერძენიშვილი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პოსტ-საარჩევნო[საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნები] ვკითხულობთ, ***"საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელ არხს, რუსთავი 2-სა და „იმედს“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს".*** ანგარიშის მიხედვით, არხი ლოიალურია ხელისუფლების მიმართ და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე ხაზგასმის გარეშე აშუქებს.

საინფორმაციო გამოშვებებისგან განსხვავებით ჩინეთის სიღრმისეული და იმავდროულად დადებითი გაშუქებით გამოირჩეოდა ყოველკვირეული ანალიტიკური პროგრამა ,,42 პარალელი“, რომლიდან ამონარიდებიც ცალკე დანართად (დანართი #2) არის წარმოდგენილი.

მაგალითები და ამონარიდები საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებიდან

ახალი ამბები: ჩინეთი და საქართველო

საქართველოსთან დაკავშირებულ ახალ ამბებში ჩინეთი გვხვდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მთავრობის ოფიციალური პირების შეხვედრა ჩინეთის ახლადდანიშნულ ელჩთან, ორი ქვეყნის ოფიციალური პირების სატელეფონო საუბრები და სხვა.

- ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის ელჩთან, ლი იანთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა; [xliv]
- ილია დარჩიაშვილსა და ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა; [xlv]
- ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს - ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობების განვითარების დინამიკა დადებითია[xlvi];
- შალვა პაპუაშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს შეხვდა;
- ლევან დავითაშვილი ჩინეთის ელჩს შეხვდა;
- ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის ახალ ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა;[xlvii]
- ფინანსთა მინისტრი ხუციშვილი ჩინეთის ახალ ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა, და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი მასალებიდან მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში წერს, მედია რომ ინფორმაციას კონკრეტული სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს, ასეთია ინფორმაციები ლევან დავითაშვილისა და ლაშა ხუციშვილის შეხვედრების შესახებ. ამგვარ ახალ ამბებს დადებით ტონს სძენს ისეთი ჩანართები როგორებიცაა, მაგალითად:

- *"ჩინეთიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 750 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა";*
- *"ჩინეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა ხუთეულშია და მიმდინარე წელს იანვარ-ივნისის სავაჭრო ბრუნვამ საქართველოსა და ჩინეთს შორის 922 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.";*
- *"ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის დადებით დინამიკას."*

<u>მსგავსი ინფორმაციები აუდიტორიას პოზიტიურ განწყობას უქმნის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არაფერი განსაკუთრებულის მთქმელი იყოს, ვინაიდან ეს რიცხვები არავითარ წარმოდგენას არ გვიქმნის იმაზე გაიზარდა თუ შემცირდა ინვესტიცია ან სავაჭრო ბრუნვა, როგორი იყო მოლოდინი ურთიერთგაგების მრავლობით მემორანდუმებით და შესრულდა თუ არა ისინი საერთოდ, 750 მილიონი დოლარი ჩინური ინვესტიცია როგორ გამოიყურება სხვა ქვეყნებთან შედარებით კონტექსტში და სხვა.</u>

ჩინეთი ხშირად არის ნახსენები საქსტატის ანგარიშზე მომზადებულ ახალ ამბებშიც:

- 2021 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოსთვის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა ჩინეთი იყო, ყველაზე დიდი იმპორტიორი კი თურქეთი;[xlviii]
- საქსტატის მონაცემებით, იანვარ-აგვისტოში ადგილობრივი ექსპორტი ჩინეთში 26.0 პროცენტით გაიზარდა, და სხვა.

კვლევისთვის საყურადღებოა ისეთი მასალებიც, როგორიცაა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ - "ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკურ-ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, ჟურნალისტებისთვის მედიასემინარი გაიმართა." ასევე - "ჩინეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად, კალიგრაფიასა და ფერწერაში კონკურსი ტარდება[xlix], ვინაიდან ამგვარიო ღონისძიებები ჩინეთის რბილი ძალის მოქმედების გამოხატულებაა და შესაბამისად საინტერესოა ყველა ინფორმაცია რომელიც მედიით გადაიცემა და მრავლობით ეფექტს ქმნის.

დადებითი ტონით გამორჩეული ინფორმაციები

დადებითი ტონი, ძირითადად, შეიმჩნევა სამეცნიერო თემებთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში - *#1tvმეცნიერება* - ამ კატეგორიის ფარგლებში.

ახალ ამბები ძირითადად შეეხება ჩინელი მეცნიერების გამოგონებებს ან ჩინურ ხელსაწყოებს, რომლებიც მთვარის ზედაპირს იკვლევს და ა. შ.

- ჩინეთის „ხელოვნურმა მზემ" პლაზმის სინთეზის მსოფლიო რეკორდი მოხსნა[l]
- ჩინეთის მავალმა მთვარეზე აღმოჩენილ „უცნაურ კუბს" ახლო ფოტოები გადაუღო

- ახალმა, ჭკვიანმა კონტაქტურმა ლინზამ შეიძლება სიბრმავის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი განკურნოს[li]
- NASA-მ მთვარეზე ადამიანების გაგზავნა 2025 წლამდე გადადო
- ჩინეთის ხომალდმა მარსის ახალი ფოტოები გადაიღო

უარყოფითი ტონი

განსხვავებით ზემოთ მითითებული მასალებისგან სადაც, ჩინეთზე პირდაპირ საუბრისას მხოლოდ გაშუქების დადებითი ტონია, უარყოფითი და კრიტიკული ტონი, ძირითადად, გვხდება ჩინეთის ირიბი გაშუქებისას, მაგალითად:

- ლიეტუვის თავდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, ჩინური სმარტფონების შეძენისგან თავი შეიკავონ; [lii]
- სოციალური ქსელი „ლინკედინი“ ჩინეთში აღარ იმუშავებს; [liii]
- ისრაელის მედია - ჩინეთის საელჩოს მიერ ისრაელის მინისტრებისთვის გაგზავნილ საჩუქრებში საეჭვო ჯაშუშური მოწყობილობები აღმოაჩინეს[liv];
- დონალდ ტრამპი - ჩინეთის პრეზიდენტი მკვლელია, პეკინმა კორონავირუსის წარმოშობისთვის რეპარაციები უნდა გადაიხადოს;[lv]
- „დიდი სლემის“ ტურნირების 18-გზის ჩემპიონი - მრცხვენია რუსეთსა და ჩინეთში ოლიმპიადების გამო #1TVSPORT;[lvi]
- NBA-ის კალათბურთელი - ვლადიმირ პუტინი და სი ძინპინი მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენენ #1TVSPORT;
- ენტონი ბლინკენი - გრძელვადიან პერსპექტივაში, გლობალური უსაფრთხოებისთვის ჩინეთი უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე რუსეთი.

მედია აშუქებდა ჩინელი ჩოგბურთელი შუაი პენგის ამბავსაც, რომელსაც უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევდნენ მას შემდეგ, რაც მან სახელმწიფო საბჭოს ყოფილი ვიცე-პრემიერი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა.

უარყოფითი ტონი ტაივანი

ტაივანის საკითხის გაშუქებას საზოგადოებრივი მაუწყებელი დროს უთმობდა და იყო თანმიმდევრულიც, თუმცა არა სიღრმისეული. მედია ცალკეულ ახალ ამბებად აშუქებდა ტაივანის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის ლიდერების განცხადებებს მსგავსი ახალი ამბები მხოლოდ ციტატების გადმოტანით შემოიფარგლებოდა. მაგალითად, აგვისტოს თვეში ჩინეთთან დაკავშირებული 45 ახალი ამბებიდან 30 ტაივანის თემაზე იყო.

თემის გასაშუქებლად მედია, ძირითადად, ეყრდნობა ისეთ უცხოურ გამოცემებს, როგორიცაა CNN, BBC, ასევე თეთრი სახლის და ჩინეთის სამთავრობო უწყებები.

ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტთან დაკავშირებით მედია საქართველოში ჩინეთის ელჩის განცხადებაზეც წერს.

"მსოფლიოში მხოლოდ ერთი ჩინეთი არსებობს და ტაივანი მისი ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია"[lvii] - აცხადებს ჩინეთის ელჩი საქართველოში თავის ვრცელ განცხადებაში, და იქვე აკრიტიკებს *"შეერთებული შტატების პროვოკაციულ ქმედებებს".*

> *„შეერთებული შტატები, თავის მხრივ, ტაივანის გამოყენებით ცდილობს ჩინეთის შეკავებას, ტაივანის კოზირს იყენებს ჩინეთის განვითარების შესაჩერებლად, იგი მუდმივად ამახინჯებს ცვლის და არასწორად გადმოსცემს ერთი ჩინეთის პრინციპს, სულ რაღაც ბოლო წელიწადნახევარში შეერთებულმა შტატებმა ტაივანს მოწინავე შეიარაღება უკვე ხუთჯერ მიჰყიდა".*

თუმცა ამის საპასუხოდ მასალაში რაიმე სახის განმარტება, აშშ-ის პოზიცია ან საკითხის წინა ისტორია ნაჩვენები არ არის, რაც არაფრით განსხვავდება ღიად რუსული პროპაგანდის გამტარებელი „სპუტნიკ-საქართველოს" მიდგომებისგან.

უკრაინა და ჩინეთი

საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალ ამბებს ამ თემაზეც აქტიურად აშუქებდა, თუმცა, არც ამ შემთხვევაში ყოფილა სიღრმისეული მიდგომების მცდელობა. ვხვდებით როგორც ნეიტრალურ, ისე ნეგატიურ გაშუქებას.[lviii]

2022 წლის 23-24 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებელი წერს ნატოს საგანგებო სამიტზე მიღებული კომუნიკეს შესახებ, რომლის მიხედვითაც ალიანსი პრეზიდენტ პუტინს, უკრაინაში ომის დაუყოვნებლივი დასრულებისკენ მოუწოდებს.

მასალაში დიდი ნაწილი ეთმობა ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ციტატას, სადაც სტოლტენბერგი რუსეთთან ერთად ჩინეთის პოლიტიკაზეც საუბრობს და შეშფოთებას გამოთქვამს ჩინეთის მთავრობის პოზიციონირებაზე რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში. იქვე მოუწოდებს მას, შეწყვიტოს კრემლის დეზინფორმაციული ნარატივის გავრცელება.

„პეკინი შეუერთდა მოსკოვს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ დამოუკიდებელი ერების უფლებას, აირჩიონ საკუთარი გზა. ჩინეთი უზრუნველყოფს რუსეთის პოლიტიკურ მხარდაჭერას, მათ შორის უხეში ტყუილებისა და დეზინფორმაციის გავრცელებით. "[lix] - ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.

ნეიტრალური ტონის მაგალითები:

- ჩინეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა;[lx]
- შარლ მიშელი - მოვუწოდეთ ჩინეთს, დაგვეხმაროს უკრაინაში ომის დასრულებაში, რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის სასტიკ დარღვევაზე თვალი არ უნდა დახუჭოს.[lxi]

გადაცემა „ბიზნესპარტნიორი“

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ბიზნესპარტნიორში" შინაარსი მზადდება საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, ბიზნეს აქტივობებზე. უკრაინის ომის პერიოდში ბევრი მასალა გვხვდებოდა იმაზე, თუ რა გავლენა ჰქონდა ომს და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს საქართველოს ეკონომიკაზე, ექსპორტის ბაზრებზე და სხვა. ამ თემასთან დაკავშირებით ჩინეთი ნახსენები არ ყოფილა.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში უშუალოდ ჩინეთზე მომზადებული მასალები ნაკლებად გვხვდება. ჩინეთი, ძირითადად, ნახსენებია ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა ჩინეთი - საექსპორტო ბაზარი ქართული ღვინოსთვის, სატვირთო კონტეინერებისა და ტვირთის ტრანსპორტირება, სატვირთო მატარებლის ამოქმედება ჩინეთ-საქართველოს შორის და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ ყველა შინაარსში ჩინეთისადმი ტონი დადებითიდან - ნეიტრალური იყო.

მაგალითად: 2021 წლის 6 და 13 სექტემბერს გადაცემა დაეთმო მეღვინეობის თემას. 6 სექტემბრის რეპორტაჟში[lxii] საუბარი იყო იმის შესახებ, რომ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის მიუხედავად ღვინის საექსპორტო ფასი კვლავაც დაბალია ჩინეთში. ხოლო, 13 სექტემბერს გადაცემა მომზადდა ბაზრის საექსპორტო შესაძლებლობების შესახებ. ავტორი გვიყვებოდა იმ დიდ პოტენციალზე, რომელიც ჩინეთის ბაზარს გააჩნია, და შესაბამისად, ქართული ღვინის ამ ბაზარზე დამკვიდრებაზე, თუმცა იქვე შემოგვთავაზეს ერთ ერთი რესპონდენტის სკეპტიციზმი სტაბილურობის თაობაზე - „პერსპექტიულ ბაზრად

განიხილავენ ჩინეთის ბაზარს, მაგრამ რაღაც კითხვის ნიშნები მაინც არსებობს ჩინეთის ბაზრის ათვისებასთან დაკავშირებით".

ღვინის ექსპორტთან და მზარდ ბაზართან[lxiii] დაკავშირებულ თემებს დაეთმო ასევე 2021 წლის დეკემბერში ორი გადაცემა.

მონიტორინგის პერიოდში 29 დეკემბრის გადაცემაში გვხდება თემა საქართველოში ჩინურ - არაბული ინვესტიციების შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ლოჯისტიკური ჰაბის ჩამოყალიბებისთვის 50 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიციას ითვალისწინებს.

გადაცემაში ხშირად გვხვდება მსგავსი ახალი ამბები და კონკრეტული პროექტების შესახებ ინფორმაციები. მაგალითად 2021 წლის 22 სექტემბერს „ბიზნესპარტნიორი“ იუწყებოდა ჩინეთსა და საქართველოს შორის საჰაერო ტვირთბრუნვის გაორმაგების შესახებ და სხვა.

„ბიზნესპარტნიორი“ საკუთარ ეთერს ხშირად უთმობს გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე საუბარს და, შესაბამისად, ჩინეთი ხშირად არის დისკუსიის ფოკუსში სხვადასხვა თემაზე საუბრისას. ასე, მაგალითად, 2021 წლის 15 ნოემბერს, #LIVE[lxiv] დაეთმო მსოფლიოში მიწოდების ჯაჭვის კრიზისს და საქართველოზე მის გავლენას. რაღათქმა უნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მრავლობითად მოექცა წამყვანისა და სტუმრის ინტერესის ობიექტში. მაგალითად საუბარი შეეხო ჩინეთ-ამერიკის „ეკონომიკური ომს“, პანდემიის გავლენას, ასევე ვაქცინაციის მაჩვენებლებს ჩინეთში, და სხვა.

> *"პანდემია, მოდი ვთქვათ, ასე დაიწყო ჩინეთის მხრიდან და შესაბამისად ყველა ეს პროცესი განვითარდა, სწორედ, ჩინეთიდან, ასევე ეკონომიკური ზრდაც დაიწყო ჩინეთიდან"*

> *,,ვინაიდან ეს პანდემიური პროცესები დაიწყო და საკმაოდ დიდი რისკი გაჩნდა იმისა, რომ ჯანმრთელობაზე დიდი ეფექტი შეიძლება ჰქონოდა წამყვანმა საზღვაო ხაზებმა უბრალოდ გააუქმეს სერვისები ჩინურ პორტებში. შეგახსენებთ, რომ ჩინეთში იმყოფება უდიდესი 10 პორტი, შესაბამისად, ამით მის მნიშვნელობას მინდა ხაზი გავუსვა, გარდა ამისა, დიდი კოლაფსი განიცადა სახმელეთო გადაზიდვებმა დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით“.*

„ბიზნესპარტნიორის“ 2021 წლის 26 ნოემბრის გადაცემა #LIVE[lxv] მსოფლიოს ნავთობის სტრატეგიულ მარაგებს შეეხებოდა და, ბუნებრივად, გადაცემის კონტექსტში ბევრჯერ იყო ჩინეთი ნახსენები...

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მასთან აფილირებული ბიზნესსექტორის წილი

(როგორც მედიის მფლობელობაში, ისე სარეკლამო ბაზარზე)

მფლობელობა

მედია მფლობელობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მასთან აფილირებული ბიზნესსექტორის წილი, შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით, დამუშავდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე არსებული მონაცემთა ბაზის დეტალური კვლევის შედეგად. მონაცემები გადამოწმდა შესაბამისობის დეკლარაციებითა და სამეწარმეო რეესტრის მიხედვით.

ჯამში დავამუშავეთ **233 მედიაკომპანიის** (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ გამოცემები, და სხვა) მონაცემი. შესწავლის შედეგად მედიამფლობელთა შორის 233 კომპანიიდან **სამი** აღმოჩნდა აფილირებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. ეს კომპანიებია:

შპს „კორტესი-გიდაგო“

(ს/კ 204907985)

დაფუძნებულია:	01/12/1997
კომპანიის დირექტორი:	**მიხეილ ტარახჩევი** (პ/ნ 01024024195)

კომპანიის მესაკუთრეთა წილი:

51% **შპს „GBTIMES OY“** - ფინეთი - 2153821-3,
- 100% **“FutuVision Holding”** ს/კ 188626-8;
  - 91.8% - **Yinong**, ჩინეთი, პ/ნ G61682672;
  - 1.9% - **Samu Tuomisto**, პასპორტის N - PZ3139079,
  - 6.3% - **Futuvision investment LTD ID** 2221901-1;
    - 90%- **Zhao Yinong** პ/ნ G61682672;
    - 10% **Zhao Sofia zhuouqun** G30107596;

46% - **შპს MS Group** - 404941756;
- 50% მიხეილ ტარახჩევი 01024024195,
- 50% **ლენსი ჰუილან ჯია** - G61683631; FP2428068/ფინეთი[31]

[31] China International Culture Communication Center-ის წარმომადგენელი სკანდინავიურ ქვეყნებში. https://www.linkedin.com/in/lancy-jia-b0347886/?originalSubdomain=fi

3% სპორტული რადიო ჯაკო - 205248016;

- 50%-ჯამლეტ ხუხაშვილი (პ/ნ: 01013000662)
- 25%-მიხეილ ხუხაშვილი (პ/ნ: 01015001481)
- 25%-გიორგი მახარაშვილი (პ/ნ: 01009006954)

განმარტება: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები ფიქსირდებიან როგორც 51%-იანი (საკონტროლო პაკეტი) წილის მფლობელ კომპანია „GBTIMES OY"-ში და ამ უკანასკნელის დამ-ფუძნებელ კომპანიაში, ისე 46%-იანი წილის მქონე კომპანია შპს „MS Group"-ში.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია „FutuVision Holding" (ს/კ 188626-8) 91.8% წილის (საკონტროლო პაკეტის) და „Futuvision investment LTD" (ს/კ 2221901-1) 90% წილის (საკონტროლო პაკეტის) მფლო-ბელი Zhao Yinong განმარტავს, რომ „China Radio International"[32] მისი ევროპული მედია ჯგუფის ,,ძალიან დიდი კლიენტია". მისი თქმით, ეს რადიო ყოველ წელს „რამდენიმე მილიონ ევროს'' ხარჯავს იმისთვის, რომ ადგილობრივი აუდიტორიისთვის რადიოშოუები შეიქმნას.[33]

ფინური მედია კომპანიის ოპერირების ძირითად სფეროს, „China Radio International"-ის სახელით, ჩინეთის პროპაგანდისტული პროგ-რამების გავრცელება წარმოადგენს. ამასთან, თავად Zhao Yinong ინტერვიუში განმარტავს, რომ ჩინეთის სახელმწიფოს როლის გამ-ლიერებასთან ერთად, მისი მედიაკომპანია ქვეყნის საზღვრებს გასცდებოდა და რომ ის მის კომპანიასა და აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებულ „ამერიკის ხმას" შორის ვერანაირ განსხვავებას ვერ ხედავს.[34]

Zhao Yinong ასევე გახლდათ თაღლითურ სქემებში ეჭვმიტანილი პირი. პოლიციის განმარტებით, მას შესაძლოა, თაღლითობა ჩაედინა 2012-2015 წლებში. ასევე, არსებობს სასამართლოს ჩანაწერები, რომ-ლებიც Zhao Yinong მოიხსენიებს, როგორც 2012-2016 წლებში დამამ-ძიმებელ თაღლითობაში ეჭვმიტანილს.[35]

შპს ,,კორტესი-გიდაგოს" დირექტორი მიხეილ ტარახჩევი, რომელ-იც მოცემული მედიაკომპანიის გარდა, ფიგურირებს ამ თავში ნახ-სენებ სხვა იურიდიულ პირებთან, დაკავშირებულია ჩინეთთან

[32] მოცემული რადიო ჩინეთის მფლობელობაშია. https://www.reuters.com/article/us-china-radio-partners-idUSKCN0SR1KS20151102

[33] https://www.reuters.com/article/us-china-radio-partners-idUSKCN0SR1KS20151102

[34] https://www.reuters.com/article/us-china-radio-partners-idUSKCN0SR1KS20151102

[35] https://yle.fi/a/3-11040415

აფილირებულ ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა შპს „ჯიბითაიმს ჯორჯია“ (ს/კ: 405083323)[36] და შპს „აგროპარკი“.[37][38] ამასთან, მიხეილ ტარახჩევი გახლდათ ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკისა და კულ-ტურის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

მიხეილ ტარახჩევმა არაერთხელ ისაუბრა საქართველო-ჩინეთის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მან ერთ-ერთ გადაცემაში ახსენა, თუ რამდენად ყურადსაღებია საქართველოსთვის, თავისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, აზიის, კონკრეტულ-ად ჩინეთის, არ დავიწყება. მან ხაზი გაუსვა იმას თუ რამდენად აუცილებელია ტურისტული თვალსაზრისით ჩინეთთან ურთიერ-თობის გაზრდა, რაც მათ შორის გამოიხატება გამარტივებული სავიზო რეჟიმით. მიხეილ ტარახჩევმა ასევე განმარტა ჩინეთის ციფრულ ბაზარზე ჩართულობის მნიშვნელობა.

ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ვიცე პრეზი-დენტი მოცემულ ინტერვიუში ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორი მეგობრული ქვეყანაა ჩინეთი და როგორ არასდროს ყოფილა ის აგრესორი. ამასთან, იგი ხაზს უსვამს ჩინეთის, როგორც საქართველოსთვის სანდო პარტნიორის როლს, რაც გულუხვი გრან-ტებითა და ფინანსური დახმარებით გამოიხატება. მიხეილ ტარახჩევი ამბობს, რომ მისი აზრით ჩინეთი გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშ-ვნელოვან ღერძსაც წარმოადგენს. [39]

გარდა ამისა, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, მიხეილ ტა-რახჩევი აღნიშნავდა: „დღეს მსოფლიომ დაინახა, რომ ჩინეთმა საკ-მაოდ დიდი ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ სხვა სახელ-მწიფოებში ვირუსი ინტენსიურად არ გავრცელებულიყო. რა თქმა უნდა, (ჩინეთს) ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან იზოლაციაში მოაქცია 11 მილიონიანი ქალაქი, შემდგომ კი, იზო-ლაცია პროვინციის დონეზეც მოხდა...“ აქვე საუბრობს ვირუსის გავრცელების ფარგლებში, მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე და საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქვეყნის პოლიტიკის მიმართ და აღნიშნავს: ,,დღევანდელმა ჩვენმა საზოგადოებამ გაუძლო ამ

---

[36] დირექტორი-მიხეილ ტარახჩევი, 60% წილი-შპს GBTIMES OY, 40%-შპს MS Group.

[37] დირექტორი-მიხეილ ტარახჩევი, ამასთან 10% წილი. 40%-ჩუნლუნგი ჩაი, ჩინეთი, პ/ნ: 01008049566. 40%-კონსტანტინე ტარახჩევი (პ/ნ: 01024035088). 10%-მიხეილ ხუხაშვილი (პ/ნ: 01015001481).

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე ტარახჩევი და მიხეილ ტარახჩევი ცესკოს მონაცემების მიხედვით ერთ მისამართზე ფიქსირდებიან.

[38] https://www.companyinfo.ge/ka/people/6438

[39] https://www.youtube.com/watch?v=9iX6uuHU6gY

გამოწვევას და ნამდვილად არ გამოამჟღავნა რასისტული დამოკიდ-ებულება.“[40]

ბატონი ტარახჩევი რეალურად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესების საუკეთესო გამტარებელი და ერთ ერთი მთავარი პრო-პაგანდისტია.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ ტარახჩევი და მიხეილ ხუხა-შვილი ფიქსირდებიან არა მარტო შპს „კორტესი-გიდაგოს“ მეწილეთა შორის, არამედ, პარტნიორები არიან შპს „აგრო პარკშიც“.

აღსანიშნავია, რომ კომპანიას მიღებული აქვს B7 ლიცენზია და ლიცენზიის საგანს წარმოადგენს შემდეგი:

- გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი – თბილისის სატე-ლევიზიო ანძა;
- სიხშირე (მჰც) – 96.3; - ბრენდული სახელით რადიო „ჯაკო“ - სპორტული მიმართულება. რადიოს ფეისბუქის გვერდის მიხედ-ვით, 2022 წლის ნოემბრის შემდეგ ის აღარ მაუწყებლობს. რადიო „ჯაკო“ არის შპს „კორტესი გიდაგოს“ 3%-ის მფლობელი.
- მოდულაცია - FM;
- პოლარიზაცია V/H – V;
- გასხივება - წრიული;
- გადამცემის სიმძლავრე (ვტ) – 1000;
- გეოგრაფიული კოორდინატები - N 41°41'44" E 44°47'6";
- ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ) – 100მ;

მაუწყებლობის ენების ლიცენზია არის - ქართული, რუსული, ინ-გლისური და ჩინური.

აღსანიშნავია, რომ შპს „კორტესი გიდაგოს“ მაუწყებლობის ლიცენ-ზია გაცემულია 2015 წელს და მოქმედია 2025 წლამდე. პირველად, მოცემული კომპანია ლიცენზიის მისაღებად კონკურსში 2005 წელს ჩაერთო და გაიმარჯვა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ „კერძო სპეციალიზ-ებულ (სპორტულ) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 6 მაისის N292 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ კონკურსში, 2005 წლის 19 აგვისტოს N569/10 გადაწ-ყვეტილებით, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კორტესი გიდაგო“.

[40] https://www.facebook.com/sinogeorgia/videos/1415559585294025/

შპს „ემ ეს გრუპი“

(ს/კ: 404941756)

დაფუძნებულია:	20/04/2012
კომპანიის დირექტორი:	**კონსტანტინე ტარახჩევი** 01024035088

კომპანიის მესაკურეთა წილი კი გადანაწილებულია შემდეგნაირად:
50% მიხეილ ტარახჩევი 01024024195,
50% ლენსი ჰუილან ჯია, G61683631; FP2428068.
ეს ორი ადამიანი ფლობს 46%-იან წილს შპს „კორტესი გიდაგოში“.
ლიცენზია - B194
მაუწყებლობის თემატიკა: სამედიცინო/სპორტული
ბრენდული დასახელება: **რადიო „მუზა** Fm 95.9“.
დაფუძნებულია საქართველოს ყოფილი პირველი ლედის (2004-2013 წლები) **სანდრა რულოვსის**[41] მიერ.
მაუწყებლობის ენები: ქართული, ინგლისური, რუსული, აფხაზური.
ლიცენზია გაცემულია 2017 წელს და ვალიდურია 2027 წლამდე. რადიოს მაუწყებლობა ამჟამად შეჩერებულია.
ლიცენზიის საგანი :

- გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი: თბილისი, სატელევიზიო ანძა;
- სიხშირე (მჰც) 95.9;
- მოდულაცია FM;
- პოლარიზაცია V / H V;
- გასხივება წრიული;
- გადამცემის სიმძლავრე (ვტ) 1000;
- გეოგრაფიული კოორდინატები 41°41'44.70"N 44°47'6.40"E;
- ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ) 140;
- ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ) 5.

[41] საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს.

შპს „ჰამბურგი“

(ს/კ:405179925)

დაფუძნებულია:	06/12/2016
კომპანიის დირექტორი (2019 წლის ბოლო ამონაწერის მიხედვით):	**ნანა ალავიძე** პ/ნ: 35001075000

მესაკუთრე: მიხეილ ტარახჩევი (პ/ნ: 01024024195), რომელიც პირდაპირ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნულ ორ კომპანიაში. 2018 წლის ამონაწერის მონაცემებით, მიხეილ ტარახჩევი ფიქსირდება დირექტორად, ხოლო მფლობელად, შპს **„MS Group“** ს/კ 404941756, რა დროსაც 50%-იანი წილის მფლობელია **ჯია ჰუილან** - G61683631, დარჩენილ 50%-ს კი მიხეილ ტარახჩევი ფლობს.
მაუწყებლობის ტიპი: კერძო რადიომაუწყებლობის №B110;
ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2021 წლის 28 ოქტომბრამდე;
მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, ინგლისური;
მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები: FM 98.5
ბრენდული სახელწოდება - რადიო „შოკოლადი“
ლიცენზიის მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო, 2021 წელს შეწყვიტა მაუწყებლობა, ხოლო 2022 წლიდან შეწყვეტილი აქვს ლიცენზია.

სარეკლამო ბაზარი

მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ქართულ სარეკლამო ბაზარზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მასთან აფილირებული ბიზნესსექტორის წილის შესასწავლად დამუშავდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბაზები, რომელშიც აისახება მაუწყებელთათვის რეკლამის დამკვეთი ყველა კომპანია და ფიზიკური პირი.

კვლევის პირველ ეტაპზე დამუშავდა **2,427 სარეკლამო განმთავსებლის** მონაცემი. 2,427 კომპანიიდან 2,334 საქართველოშია რეგისტრირებული. 93 უცხოური კომპანიიდან **8** აფილირებულია ჩინეთთან.

სს „Hualing international special economic zone“

ს/კ: 404934381

დაფუძნებულია:	15/03/2012
კომპანიის დირექტორი:	**სიაოწინ შაო** პ/ნ: 01092004214[42]

სს „Hualing international special economic zone“ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2012 წელს, რა დროსაც მისი დირექტორი იყო **კე ვანგ** (პ/ნ: 60391000162). მის შემდგომ კომპანიის დირექტორი გახდა ჯერ **შოუშან ცვენ** (G 32382512), მერე კი **სიაოწინ შაო** (პ/ნ: 01092004214). 2013 წლის 30 დეკემბერს, სააქციო საზოგადოება „Hualing international special economic zone“-ს შეერწყა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: „რუსლანი“ (ს/კ: 206255942) და „მუხრანი“ (პ/ნ: 206255951). შერწყმამდე ორივე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების 100% წილის მფლობელი იყო თავად სს „Hualing international special economic zone“, ხოლო დირექტორი - **ქსინფუ ვანგ** (01092004184).[43] აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც შპს „რუსლანი“, ისე შპს „მუხრანი“ წარმოიშვა შპს „ფენიქსის“ (ს/კ: 200016231) გაყოფის შედეგად.

---

[42] სიაოწინ შაო არის შპს GEORGIAN HUASHUN INTERNATIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD დირექტორი (100%-იანი წილის მფლობელი შპს სინძიანის სავაჭრო-საწარმოო კომპანია ხუაშუნ ლტდ). შპს GEORGIAN HUASHUN INTERNATIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP-ს შეერწყა კომპანია შპს ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება ხუაშუნ ლტდ (ს/ნ: 212921588), რომელთანაც ასევე დაკავშირებული იყო სიაოწინ შაო. https://www.companyinfo.ge/ka/people/33859

[43] ქსინფუ ვანგ სიაოწინ შაოსთან ერთად არის შპს რეალ ისთეით დეველოპმენტ გრუპ (ს/ნ: 400242402) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. https://www.companyinfo.ge/ka/people/94488

სს „ბაზისბანკი“

(ს/კ: 203841833)

დაფუძნებულია:	11/09/1996
კომპანიის დირექტორი:	**დავით ცაავა** პ/ნ: 62001023793

დირექტორები (2023 წლის მონაცემები):

- გენერალური დირექტორი/წევრი: **დავით ცაავა** (პ/ნ: 62001023793)
- წევრი: **დავით კაკაბაძე**, (პ/ნ: 01026009008) (გენერალური დირექტორის მოადგილე)
- წევრი: **ლევან გარდაფხაძე**, (პ/ნ: 01010012737) (გენერალური დირექტორის მოადგილე)
- წევრი: **ლია ასლანიკაშვილი**, (პ/ნ: 01006012330) (გენერალური დირექტორის მოადგილე)
- წევრი: **რატი დვალაძე**, (პ/ნ: 01020004938) (საოპერაციო მიმართულების დირექტორი)
- წევრი: **გიორგი გაბუნია**, (პ/ნ: 01030020654) (კომერციული დირექტორი)
- წევრი: **ხვეი ლი**, G38335210, 01692005600 /ჩინეთი/ (გენერალური დირექტორის მოადგილე)[44]

სამეთვალყურეო საბჭო:

- თავმჯდომარე/წევრი: **ძუნ ჯანგ,** G48711373, 01792005542 /ჩინეთი/
- წევრი: **ზაზა რობაქიძე**, 01024006266
- წევრი: **მია მი**, 565658045 /აშშ/
- წევრი: **ჟუ ნინგი**, 452098387 /აშშ/ (თანათავმჯდომარე)
- წევრი: **ნიკოლოზ ენუქიძე**, 65007000032 /ორმაგი მოქალაქე საქარ-თველო და გაერთიანებული სამეფო/
- წევრი: **ზაიქი მი,** G20517221, 01192005128 /ჩინეთი/

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

- გენერალური დირექტორის მოადგილე - **ლევან გარდაფხაძე**, (პ/ნ: 01010012737), საცალო ბიზნესი
- გენერალური დირექტორის მოადგილე - *დავით კაკაბაძე*, (პ/ნ: 01026009008), რისკების მართვა
- გენერალური დირექტორის მოადგილე - **ხვეი ლი,** G38335210, 01692005600 /ჩინეთი/, დაკრედიტება

---

[44] ხვეი ლი ზაიქი მისთან ერთად არის სს ბბ ლიზინგის (ყოფილი სს ჰუალინგ დაზღვევა) (ს/ნ: 406232214) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. https://www.companyinfo.ge/ka/people/233522

- გენერალური დირექტორის მოადგილე - **ლია ასლანიკაშვილი**, (პ/ნ: 01006012330), ფინანსები
- კომერციული დირექტორი - **გიორგი გაბუნია**, (პ/ნ: 01030020654)
- გენერალური დირექტორი - **დავით ცაავა**, (პ/ნ: 62001023793)
- **რატი დვალაძე**, (პ/ნ: 01020004938)

„ჰუალინგ ჯგუფი“ 2012 წლიდან ბაზისბანკის აქციების 90% -იანი წილის მფლობელია. [45]

სს „ბბ ლიზინგი“

(ს/კ: 406233534)

დაფუძნებულია:	27/12/2017
მმართველობის ორგანო:	**სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერთა კრება**

სამეთვალყურეო საბჭო:

- თავმჯდომარე/წევრი: **ზაიქი მი,** 01192005128 /ჩინეთი/
- თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: **დავით ცაავა,** 62001023793
- თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: **ხვეი ლი,** 01692005600 /ჩინეთი/

სს „ბბ ლიზინგი“ და სს „ბბ დაზღვევა“, სს „ბაზის ბანკის“ შვილობილი კომპანიებია. [46]

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

- გენერალური დირექტორის მოადგილე - **ლია ასლანიკაშვილი,** 01006012330, ფინანსების მიმართულებით
- გენერალური დირექტორის მოადგილე - **მალხაზ ხარჩილავა**, 01003010188, კომერციული მიმართულებით
- გენერალური დირექტორი - **კონსტანტინე სულამანიძე**, 01006008941

შპს „ჯასტინი“

(ს/კ: 406294987)

დაფუძნებულია:	15/11/2019
დირექტორი/ 100% წილის მესაკუთრე:	**ჯიანრუ ლიუ** G54182547, 01391004510

[45] bit.ly/3oHM8zF
გვ. 3
[46] იხ. წინა, გვ. 4.

შპს „ჰუალინგ ვიბრანტი“

(ს/კ: 406274678)

დაფუძნებულია:	15/03/2019
დირექტორი:	**იუბო ჭაო** 01691036345 /ჩინეთი/

მესაკუთრე/100% წილის მფლობელი: **სს „Hualing international special economic zone“**, 404934381

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“

(ს/კ: 406263378)

დაფუძნებულია:	06/11/2018
დირექტორი:	**იფან სუ** 01691025313 /ჩინეთი/

მესაკუთრე/100% წილის მფლობელი: **სს „Hualing international special economic zone“**, 404934381

შპს „ნოვოფილდ ლიმითედ“

(ს/კ: 404439924)

დაფუძნებულია:	18/03/2013
დირექტორი/ 100% წილის მესაკუთრე:	**იფან სუ** **გუანგ ლუ** პ/ნ: 01191026429

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო

(ს/კ: 203853231 საქართველო-ჩინეთი)

კვლევის მეორე ეტაპზე, კომუნიკაციების კომისიის ბაზიდან, რომელშიც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ქართულ მედიაში კვარტალურად 7 ათას ლარზე მეტის გადამხდელების შესახებ, დამატებით დავამუშავეთ 566 კომპანიის მონაცემი.

პირველ მონაცემებთან შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს **„ჰუალინგ-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტს“** ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში ჰქონდა კვარტალურად 7000–დან 50 000 ლარამდე ღირებულების სატელევიზიო განთავსება.

დანართი №1
,,ნეტგაზეთი “[lxvi]

ახალი ამბები ჩინეთის შესახებ უკრაინის ომის კონტექსტში

„ნეტგაზეთის“ მასალები ჩინეთის შესახებ ძირითადად ახალი ამბების სახეს ატარებს და ხშირად საერთაშორისო მედიის პუბლიკაციების მიმოხილვას გვთავაზობს. 2022 წლის 14 მარტის მასალა - „ჩინეთის პირველი კომენტარი რუსეთის მხრიდან შეიარაღების თხოვნის ცნობებზე“ - ამგვარი გაშუქების კარგი მაგალითია.

ვაშინგტონში ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელი ლიუ პენგიუ აცხადებს, რომ არაფერი იცის რუსეთის მხრიდან ჩინეთისთვის იარაღის მიწოდების თაობაზე თხოვნის შესახებ. ამასთან, პენგიუ ამბობს, რომ უკრაინაში მიმდინარე ვითარება შემაშფოთებელია და ჩინეთი მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ამის შესახებ ჩინეთის ელჩმა CNN-თან განაცხადა.

> *“ჩინეთი ღრმად შეშფოთებული და დამწუხრებულია უკრაინაში არსებული ვითარების გამო. ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ სიტუაცია შემსუბუქდება და მშვიდობა დაბრუნდება. ... მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნას გამოყენებული, რომ მიუხედავად ამ რთული მდგომარეობისა, რუსეთისა და უკრაინის მოლაპარაკებები გაგრძელდეს და მშვიდობიანი შედეგი მოჰყვეს. ... ამასთან დაკავშირებით კონსენსუსია საერთაშორისო საზოგადოებაში, მათ შორის, დაინტერესებულ მხარეებში,” – განაცხადა ჩინეთის ელჩმა ვაშინგტონში.*

წუხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა უკრაინაში შეჭრის შემდეგ ჩინეთს სამხედრო აღჭურვილობით დახმარება სთხოვა. Financial Times-ის ცნობით, ამის შესახებ აშშ-ის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს.

> *“ეს ჩვენთვის შეშფოთების მიზეზია და პეკინს ვუთხარით, რომ არცერთ ქვეყანას არ მივცემთ უფლებას, რომ რუსეთს ეკონომიკური სანქციებით დაწესებული ზარალი აუნაზღაუროს“, – განაცხადა სალივანმა.*

ანალოგიური ხასიათისაა მრავალი სხვა მასალა. გასაგები მიზეზ-ების გამო „ნეტგაზეთის“ საინფორმაციო სივრცეში განსაკუთრებული ინტენსივობით ხვდებოდა მასალები, რომელიც უკრაინაში რუსეთის აგრესიას და ჩინეთის პოზიციასა და ინტერესებს შეეხება.

გთავაზობთ მსგავსი საინფორმაციო მასალების ნიმუშებს:

- პესკოვი: უკრაინის მთავარი ქალაქების აღება ჩინეთის დახმარ-ების გარეშე შეგვიძლია[lxvii]
- ჩინეთმა რუსეთის მეცნიერების აკადემიასთან კონტაქტი შეწყვიტა – RIA
- რუსეთი ჩინეთს სთხოვს, სამხედროებისთვის მზა საკვებით დაეხმაროს – CNN[lxviii]
- ოფიციალურმა პირებმა ცალ-ცალკე განუცხადეს CNN-ს, რომ ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი აღშფოთებულია იმით, თუ როგორ აღადგინა ომმა უკრაინაში ნატოს ალიანსი. ორმა ოფიცი-ალურმა პირმა განაცხადა, რომ ჩინეთის სურვილმა, თავიდან აიცილოს ეკონომიკური შედეგები, შესაძლოა შეზღუდოს მისი მადა რუსეთის დასახმარებლად.
- ამერიკული დაზვერვის წარმომადგენლებმა CNN-ს ანონიმურად უთხრეს, რომ რომში ინტენსიური შვიდსაათიანი შეხვედრის დროს აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის თანაშემწემ გააფრთხილა მისი ჩინელი კოლეგა „პოტენციური შედეგების“ შესახებ, რომლის გადახდაც ჩინეთს მოუწევს რუსეთის დახმარების შემდეგ.“

გამოცემა აშუქებდა AUKUS ალიანსის გარშემო მიმდინარე მოვ-ლენებსაც. 2021 წლის 16 სექტემბერს „ნეტგაზეთმა“ გამოაქვეყნა სტატია „AUKUS — ალიანსი ჩინეთის შესაკავებლად“, სადაც დაინ-ტერესებულ მკითხველს პრინციპში სრული წარმოდგენა ექმნება თავად ალიანსის რაობისა და მისი შექმნის მიზეზების შესახებ.

> *"ეს არის ისტორიული შესაძლებლობა სამი სახელმწიფოსთვის, ანალოგიური შეხედულებების მქონე მოკავშირეებთან ერთად, დავიცვათ ჩვენი საერთო ფასეულობები და ხელი შევუწყოთ უსაფრთხოებასა და განვითარებას ინდოეთის და წყნარი ოკეანის რეგიონში,"*[lxix] *- ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის და ავსტრალიის პრემიერ სკოტ მორისონის ერთობლივ განცხადებაში, გვამცნობს „ნეტგაზეთი."*

AUKUS-ის საკითხს გამოცემა კიდევ ერთხელ დაუბრუნდა 2021 წლის მიწურულს წლის მნიშვნელოვანი ამბების შეჯამ-ების დროს[lxx].

„ნეტგაზეთის" მკითხველმა, 2021 წლის 12 დეკემბრის მასალით, ასევე მიიღო ინფორმაცია ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივით *წლის 9-10 დეკემბერს გამართული ვირტუალურ "დემოკრატიის სამიტის" შესახებ, სადაც ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, მოწვეულთა სიაში ვერ მოხვდნენ „რუსეთი, თურქეთი, ჩინეთი, ბელარუსი, უნგრეთი".*[lxxi]

უკრაინის თემატიკაზე სახეზე გვაქვს პოზიტიური გაშუქების მაგალითებიც. მაგალითად, 2022 წლის 17 მარტს „ნეტგაზეთი" აშუქ-ებდა უკრაინაში ჩინეთის ელჩის განცხადებებს:

> *"ჩინეთი უკრაინელი ხალხის მეგობარი ქვეყანაა. როგორც ელჩს, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ჩინეთი ყოველთვის იქნება სასიკეთო ძალა უკრაინისთვის რო-გორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. „ჩინეთი არას-დროს დაესხმება თავს უკრაინას. ჩვენ დაგეხმარებით, განსა-კუთრებით ეკონომიკურად… მდგომარეობაში, რომელიც ახლა გაქვთ, ჩვენ ვიმოქმედებთ პასუხისმგებლობით"*[lxxii]

პოზიტიური ამბების სერიიდან არის ასევე ინფორმაციები ჩინეთის მიერ უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფის შესახებ. „ჩინეთი უკრაინას $1.57-მილიონიან ჰუმანიტარულ დახმარებას გამოუყოფს"[lxxiii] - ვკითხულობთ 2022 წლის 21 მარტის საინფორმაციო მასალაში, სადაც ავტორი გვიყვება ჩინეთის წითელი ჯვრის პროექტებზე უკრაინის დასახმარებლად. *„ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თანახმად, ჩინეთის წითელი ჯვარი უკრაინას დამატებით 10 მილიონ იუანს გამოუყოფს, რაც დაახ-ლოებით 1.57 მილიონი აშშ დოლარია. ... წარსულში მათ გააგზავნეს 5 მილიონი იუანის ღირებულების დახმარება... "*

ექსპორტი, ვაჭრობა, საფინანსო-საბანკო ურთიერთობები

მრავლობითი პუბლიკაციებით ვიგებთ, რომ საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზარი კვლავ ჩინეთია[lxxiv]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორები არიან : ჩინეთი (520.6 მლნ აშშ დოლარი),

რუსეთი (481.8 მლნ აშშ დოლარი) და

აზერბაიჯანი (443.4 მლნ აშშ დოლარი).

„სამივე ქვეყნის შემთხვევაში, 2020 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, წელს ექსპორტიდან მიღებული თანხები გაზრდილია.

ჩინეთის შემთხვევაში ექსპორტიდან მიღებული თანხების ზრდამ 24% შეადგინა, რუსეთში — 37.2%, ხოლო აზერბაიჯანში — 21.6%. საქსტატის თანახმად, 2021 წელს ჩინეთის წილი მთლიან ექსპორტში 15.3% იყო, რუსეთის — 14.2%, ხოლო აზერბაიჯანის — 13.1%. სტატიაში ასევე გვხდება ინფორმაცია კონკრეტული პროდუქტის შესახებ, რომელიც ჩინეთში ექსპორტით გადის საქართველოდან. ესენია: სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები, ხელსაწყოები და მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი მოწყობილობები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, დაუმუშავებელი ალუმინი და სხვა პროდუქცია.[lxxv]

ინტერნეტგამოცემა ასევე გვიყვება ჩინეთის ბანკების საქმიანობის შესახებ განსაკუთრებით უკრაინის ომის გამო დაწესებული სანქციების ფარგლებში. შესაბამისად, Bloomberg-ზე დაყრდნობით მომზადებული სტატიიდან ვიგებთ, რომ ჩინეთის, სულ მცირე, ორი უმსხვილესი სახელმწიფო ბანკი რუსული საქონლის შესყიდვის დაფინანსებას ზღუდავს, მიუხედავად რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შენარჩუნების დაპირებისა. გამოცემის ორი წყარო ამბობს, რომ Industrial & Commercial Bank of China Ltd.-ის ოფშორულმა ერთეულებმა შეაჩერეს აშშ დოლარში დენომინირებული აკრედიტივების გაცემა საექსპორტო რუსული საქონლის შესაძენად. იუანში დენომინირებული აკრედიტივები ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია ზოგიერთი კლიენტისთვის, რაც ხელმძღვანელი პირების ნებართვის შემთხვევაში გაიცემა.

იმავე Bloomberg-ზე დაყრდნობით, ჩინეთის ბანკების გადაწყვეტილება შეიძლება იყოს დროებითი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთის სანქციები აქამდე ზოგავს რუსეთის

ენერგეტიკულ სექტორს. ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს დაბალანსების სირთულეს, რომელსაც აწყდებიან ჩინეთის უდიდესი ფინანსური ინსტიტუტები. ისინი სერიოზულად ეკიდებიან სანქციების დაცვას, რადგან არ სურთ დაკარგონ წვდომა აშშ დოლარში ტრანზაქციებზე."[lxxvi]

ტაივანი–ამერიკა–ჩინეთი

ტაივან-ჩინეთის ურთიერთობებზე მოკვლევითი მასალა

გამოცემა მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ტაივანის თაობაზე ახალი ამბების მიმოხილვას. მათ შორის აშშ-ს პოზიციონირება, განცხადებები, ვიზიტები და პოლიტიკური ხედვა „ნეტგაზეთის" ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

მაგალითად, ვრცელი მასალა გამოქვეყნდა 2022 წლის 23 მაისს აშშ პრეზიდენტის ჯო ბაიდენის განცხადების შემდეგ, რომ აშშ დაიცავს ტაივანს ჩინეთის თავდასხმის შემთხვევაში.[lxxvii] მასალა ამ კონკრეტულ განცხადებას ეხება, თუმცა შემდეგ მკითხველს სთავაზობს კონფლიქტის ისტორიას, უყვება ამერიკის პოზიციების შესახებ ტაივანის საკითხთან დაკავშირებით და ბევრი საინტერესო ისტორიული გარემოების შესახებ. მაგალითად, იმის თაობაზე, რომ 1971 წლამდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადგილი გაეროს უშიშროების საბჭოში ჩინეთის რესპუბლიკას — ანუ ტაივანზე არსებულ ხელისუფლებას ეკუთვნოდა. თუმცა 1979 წელს შეერთებულმა შტატებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღიარა მთელი ქვეყნის „ერთადერთ ლეგიტიმურ მთავრობად".

> *"ერთი ჩინეთის" პოლიტიკის ფარგლებში, ვაშინგტონი ცნობს პეკინის პოზიციას, რომ ის ჩინეთის ერთადერთ მთავრობას წარმოადგენს და გამომდინარე აქედან, აშშ-ს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობები ტაივანთან."*

ათწლეულების მანძილზე აშშ-მიჰყვებოდა ე.წ. სტრატეგიული გაურკვევლობის პოლიტიკას, რაც ნიშნავს იმას, რომ ვაშინგტონი განგებ ტოვებდა ბუნდოვანებას კითხვაზე, ჩაერევა თუ არა პროცესში იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი შეეცდება, სამხედრო ძალის გამოყენებით დაამყაროს კონტროლი ტაივანზე.

ზოგადი ხასიათის ახალი ამბები და სარეკლამო მასალა

ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი“ ასევე გვთავაზობს ზოგადი ხასიათის ახალ ამბებს და როგორც ნაშრომში უკვე ითქვა, სარეკლამო მასალებს. მონიტორინგის პერიოდში ასევე ინტენსიურად შუქდებოდა „კოვიდ-19-თან“ დაკავშირებული ამბები. ბუნებრივია ამგვარი ინფორმაციების სიხშირე ისეთი მაღალი აღარ იყო, როგორც პანდემიის პირველ წელს, მაგრამ მაინც გვაქვს მნიშვნელოვანი პოზიტიური საინფორმაციო ველი ჩინური ვაქცინების გამოყენებისა და „საუკეთესოების“ შესახებ.

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს „ნეტგაზეთიდან“:

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის [NCDC] დირექტორი ამირან გამყრელიძე 2021 წლის 1 ნოემბერს ვაქცინა „ასტრაზენეკას“ 17 ათასამდე დოზის ვადის გასვლაზე საუბრისას გვამცნობდა, რომ „ასტრაზენეკა“, რომელიც საერთაშორისო შეფასებით ითვლება ერთ-ერთ კარგ ვაქცინად, ჩინური და „ფაიზერის“ ვაქცინების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ადმინისტრირებადი ვაქცინაა ბევრ ქვეყანაში“.[lxxviii]

გარდა „კოვიდ-19-ის“ ვირუსისა მედია ინტენსიურად წერდა ევროპისა და აზიის ქვეყნების ნაწილში ფრინველის გრიპის ეპიდაფეთქების შესახებ.

2021 წლის 16 ნოემბერს „ნეტგაზეთი“ წერდა, რომ „ჩინეთმა წელს უკვე დააფიქსირა ადამიანის ფრინველის გრიპით ინფიცირების 21 შემთხვევა, რაც უკვე აღემატება 2020 წლის მონაცემს.“ სტატიაში ასევე მოცემულია ინფორმაცია ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებში ვითარების შესახებ, ხოლო, ამირან გამყრელიძის განცხადებებზე დაყრდნობით საქართველოში არსებული ვაქცინების, დოზებისა და შესაძლებლობების თაობაზე. „2.5 მილიონი დოზა ვაქცინიდან, რომელიც საქართველოშია ხელმისაწვდომი, დაახლოებით 700 000 „ფაიზერის“ წარმოების პრეპარატია, დანარჩენი კი, „სინოვაკისა“ და „სინოფარმის“. .. „ფაიზერს“ ვადა 2022 წლის მარტის ბოლომდე აქვს, ე.წ. ინაქტივირებულ ჩინური წარმოების ვაქცინებს კი, 2023 წლის ივნისამდე.“[lxxix]

2022 წლის 12 მაისს გამოცემა მკითხველს უყვებოდა ჩინეთში, ქალაქ ჩონკინგში, ავიაკატასტროფის შესახებ, როდესაც აფრენისას თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა და ათობით ადამიანი მსუბუქად დაშავდა[lxxx]

სარეკლამო მასალების მაგალითად გამოდგება 2022 წლის 23 მარტის ახალი ამბავი საქართველოს რკინიგზის დელეგაციის მიერ ტაშკენტში ჩინეთი-ევროპის საკონტეინერო გადაზიდვების შესახებ, თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით თურქეთსა და ევროპასთან დამაკავშირებელი კორიდორის ოპერირებისთვის არსებული გამოწვევების თაობაზე შეხვედრები და განხილვები[lxxxi].

ანალოგიური შინაარსის მასალას გვთავაზობს „ნეტგაზეთი“ 2022 წლის 10 მაისის მასალაში, ფინური კომპანია Nurminen Logistics მიერ ჩინეთიდან საქართველოს გავლით ტვირთების გატანის თაობაზე. „Nurminen Logistics-ის თქმით, სარკინიგზო მარშრუტში, რომლის მიზანიც ჩინეთიდან ტვირთების ცენტრალურ ევროპაში გატანაა, ჩართული არიან ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და რუმინეთი. პირველი ტვირთი ახალი მარშრუტის გავლით ჩინეთიდან დღეს, 10 მაისს გამოიგზავნა.“[lxxxii]

დანართი №2
42° პარალელი

„42° პარალელი“ არის საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ანალიტიკური პროგრამა, რომელსაც მკვლევართა გუნდთან ერთად საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი გიორგი გვიმრაძე ხელმძღვანელობს.

გადაცემას საკუთარ მიზნად გაცხადებული აქვს, ,,ტელემაყურებელს დაანახოს საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები სხვადასხვა პერსპექტივითა და განსხვავებული ფორმებით“[lxxxiii]. ,,ვინტერესდებით საერთაშორისო აქტორების ქცევით, მათზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორებით, სავარაუდო შედეგებითა და მოვლენების ისტორიული რაკურსით“ - ვკითხულობთ პროგრამის აღწერაში.

გარე აქტორებს შორის ,,42° პარალელის“ რედაქციისთვის ერთ-ერთი ყურადღების საგანი ჩინეთია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტელემედიებს შორის ეს პროგრამა ერთადერთია, რომელსაც აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოლიტიკა ჩინეთის გაშუქებასთან დაკავშირებით, ეს გაშუქება არის თანმიმდევრულად სიღრმისეული და რაც არსებითად საყურადღებოა, ჩვენი მონიტორინგისთვის მკვეთრად დადებითი.

მაგალითისთვის, დეტალურად გიყვებით რამდენიმე კონკრეტული გადაცემის შესახებ.

42°პარალელი - „ახალი ეპოქა" ჩინეთში

მაგალითები და ამონარიდები „42° პარალელიდან“

როგორ დააღწია თავი ჩინეთმა შოკურ თერაპიას – ინტერვიუ[lxxxiv] იზაბელა ვებერთან

ეს არის 30 წუთიანი ინტერვიუ, „როგორ დააღწია თავი ჩინეთმა შოკურ თერაპიას“ წიგნის ავტორ, პროფესორ იზაბელა ვებერთან. ინტერვიუში ჩინეთის მიმართ ტონი დადებითია და ნაჩვენებია ის გზა, რითაც ჩინეთმა ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწია.

ჟურნალისტის კითხვა დასავლეთს აკნინებს და ჩინეთს დადებითად წარმოაჩენს:

> *“ჩინელი მაღალჩინოსნები გაზრებს საშუალებად განიხილავენ, როდესაც დღეს შეერთებულ შტატებს ან ევროპის გარკვეულ ქვეყნებს, დიდ ბრიტანეთს ვუყურებთ, ვხედავთ, რომ დაურეგულირებელი ბაზარი სოციალურ ან გენდერულ უთანასწორობას, პრობლემებს განათლებაში, მასობრივ სეგრეგაციასა და კლიმატის ცვლილებას იწვევს, როგორც წესი, ჩვენ ვხედავთ, რომ კრიზისის დროს კერძო სექტორის გადარჩენა სახელმწიფოს უწევს. რა შეიძლება დასავლეთმა ჩინეთის გამოცდილებიდან ისწავლოს? შეიძლება თუ არა ჩინური მოდელი განვითარებადმა ქვეყნებმა გადაიღონ?”*

მასალების მომზადებისას გამოყენებულია ჩინური კულტურისთვის დამახასიათებელი კადრები, რაც სილამაზით და ფერთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ასევე მუსიკა, რაც სიუჟეტს უფრო მიმზიდველს ხდის.

42°პარალელი – Quad – აშშ–იაპონია–ავსტრალია–ინდოეთის ახალი ოთხმხრივი უსაფრთხოების პლატფორმა Quad (ქუადი)

გადაცემაში შოთა თხელიძე Quad-ის შექმნის ისტორიას აანალიზებს და მოკლედ მიმოიხილავს თუ როგორ პოზიციონირებდა Quad ამერიკის სხვადასხვა პრეზიდენტის პერიოდში. ასევე რა ეტაპიდან იწყებს თავად ჩინეთი Quad-ისთვის, როგორც უსაფრთხოების პლატფორმისთვის მნიშვნელობის მინიჭებას. ჟურნალისტის თქმით, ბოლო ათწლეულში ჩინეთის ეკონომიკური აღზევების პარალელურად აშშ გლობალურ დომინაციაში ახალი კონკურენტის შესაკავებლად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ინფრასტრუქტურას ამზადებს.

“ზოლო ათწლეულის ჩინეთის ეკონომიკური აღზევება იმდენად თვალსაჩინოა, რომ მისი უგულებელყოფა ვაშინგტონის მიერ უკვე შეუძლებელია”[lxxxv].

“ჩინური საკითხის მოსაგვარებლად ვაშინგტონის არსენალში არსებული სამხედრო და ეკონომიკური ალტერნატივები გამორიცხულია. პირველ შემთხვევაში ჩინეთი მსოფლიოში მეორე სამხედრო ძალაა, რომელიც ულტრათანამედროვე სახმელეთო, საავიაციო და საზღვაო შეიარაღებითაა აღჭურვილი, რაც მასთან ირიბ ან თუნდაც პირდაპირ კონფრონტაციას გამორიცხავს, მეორე შემთხვევაში ჩინეთის ეკონომიკური შეზღუდვა და ბლოკირებაც რთული ამოცანაა, რადგან თანამედროვე გლობალური მიწოდების ჯაჭვში ჩინეთი უფროა ინტეგრირებული, ვიდრე თავად შეერთებული შტატები, შესაბამისად, მისთვის ბაზრების შეზღუდვა ან სრულად წართმევა განსაკუთრებით კი მეორე და მესამე სამყაროს ქვეყნებში, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან შეერთებული შტატები და წყნარი ოკეანის ქვეყნები ჩინურ იაფფასიან საქონელს ამგვარ ბაზრებზე ვერ ჩაანაცვლებენ.”

42°პარალელი – ტაივანის კრიზისი

2021 წლის 26 ოქტომბერს გადაცემა ტაივანის კრიზისზეც მომზადდა[lxxxvi]. სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალიტიკოსი ცდილობდა ნეიტრალური მხარე ყოფილიყო და სხვადასხვა პერსპექტივა შეეთავაზებინა მაყურებლისთვის. გადაცემაში მოვისმინეთ, რომ ტაივანს არ სურს “არანიარი კავშირი ჰქონდეთ კომუნისტურ რეჟიმთან, რომელიც არის ჩინეთში“, და „კუნძული არ აპირებს დაემორჩილოს პეკინის ზეწოლას და მზადაა, გააგრძელოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა“. იმავდროულად, ავტორი გვიყვება ჩინეთის უძლეველი ძალის შესახებ. კერძოდ, “ჩინეთს დიდი წარმატებები აქვს კიბერიარაღის წარმოებაში და სმარტ იარაღის წარმოებაში, ლიდერია უპილოტო თვითმფრინავების წარმოებაში, ბოლო პერიოდში გავიგეთ, რომ ჩინეთი ცდილობს თავისი ბირთვული პოტენციალით დაეწიოს აშშ-ს და რუსეთს “.

42°პარალელი – აშშ–ს ინფრასტრუქტურის აქტი

აშშ-ში ინფრასტრუქტურის აქტის მიღებაზე მომზადებულ მასალაში[lxxxvii] აშშ-სა და ჩინეთის შედარებისას ჟურნალისტის შემდეგ ტექსტს ვისმენთ:

"აშშ-სთვის ნათელია, რომ მომავალ ათწლეულებში ჩინეთთან მოუწევს გლობალური დომინაციისთვის მეტოქეობა, რომელმაც აშშ-ს უკვე გადაასწრო კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯით, ჩინეთი უკვე ასწრებს ახალი ტექნოლოგიების შექმნით, ჩინეთი პირველზეა ინფრასტრუქტურის ხარჯით, რომლის მიხედვითაც აშშ-ს საუკეთესო ოცეულშიც კი ვერ შედის, ცხადია რომ ეს განსხვავება ჩინეთსა და აშშ-ს შორის დროსთან ერთად მხოლოდ და მხოლოდ გაიზრდება (კადრებად მიდის კოსმოსური ხომალდები და მთვარე). "

აღსანიშნავია, რომ მასალის დასაწყისში ჩანს კადრები სადაც ბაიდენი თვითმფრინავის ბორტზე ასვლისას ბორძიკებს და ერთ ერთ შეხვედრაზე თვლემს.

42°პარალელი – ახალი წითელი ცივილიზაცია

"პლენუმის (იგულისხმება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი) დოკუმენტებიდან[lxxxviii] შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამყაროში არსებობენ არამხოლოდ ცივილიზაციის განსხვავებული ტიპები, არამედ, გარკვეული ერთიანი ადამიანთა ცივილიზაციაც, რომლის განვითარებაშიც ჩინეთმა, როგორც უძველესმა და დიადმა ერმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა და 5000-წლიანი ისტორიის მქონე ბრწყინვალე ცივილიზაცია შექმნა... ჩინეთის ხელისუფლება ეუბნება მსოფლიოს, რომ ჩინეთს სხვებისგან არაფრის სწავლება არ სჭირდება, პირიქით, უკვე სხვებს შეუძლიათ ჩინეთისგან ისწავლონ".

42°პარალელი – სრული გადაცემა 25.12.2021

შოთა თხელიძე და რეზი ქოიავა გადაცემის[lxxxix] ბოლო ბლოკში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოებულ პროცესებზე საუბრობენ. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია გლობალური დაპირისპირება გლობალურ ძალებს შორის რომლებიც დღეს არიან ასპარეზზე (იგულისხმება ჩინეთი და აშშ) და რამდენად შესაძლებელია ცივი ომი.

ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ შოთა თხელიძე განმარტავს თუ რატომ არ შეიძლება ჩინეთ-აშშ-ს რეალობას ცივი ომი დაერქვას და ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მიზეზს ასახელებს:

- სამყარო აღარ არის ბანაკებად გაყოფილი - ამის მაგალითად მას ჩინეთი მოჰყავს, რომელიც მისი განმარტებით იმდენად არის შერწყმული გლობალურ კაპიტალიზმთან, რომ ჩინეთის როლის და პოზიციების განდევნა დასავლეთის მხრიდან პრაქტიკულად წარმოუდგენელია.
- ჩინეთის ფაქტორი არ არის იმ დონის საფრთხის შემცველი, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, - ამ შემთხვევაში შოთა თხელიძე მოიაზრებს როგორც იდეოლოგიურ, ისე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს.

გადაცემის მიმდინარეობისას ჟურნალისტი ასევე იყენებს შემდეგ ტერმინს „ხშირად აბრალებენ ჩინეთს, რომ ის ახდენს ე.წ ავტორიტარიზმის ექსპორტს საკუთარი სივრციდან" სიტყვაში "აბრალებენ" ჩანს დამოკიდებულება, რომ ჩინეთი არ ეწევა ავტორიტარიზმის გავრცელებას და ეს ყველაფერი სხვა ქვეყნების მიერ არის მოგონილი.

საინტერესოა ამ კითხვაზე თავად რესპონდენტის, ამ შემთხვევაში რეზი ქოიავას პასუხი. მისი თქმით, ჩინეთის პრეტენზია მხოლოდ აზიის რეგიონით შემოიფარგლება და მას არ აქვს სურვილი ჩინეთს რომელიმე ევროპული ქვეყანა დაემსგავსოს. რეზი ქოიავა აქვე ამბობს იმასაც, რომ ჩინეთი რბილი ძალის ინსტრუმენტებში მოისუსტებს, რადგან "ჩინეთის საზოგადოებრივი მოდელის ექსპორტირება, მისი კულტურული ცხოვრების წესის ექსპორტირება არც ეფექტურია და არც დიდად შესამჩნევი." ქოიავას განმარტებითვე, ჩინეთში კომუნიზმი შემორჩენილია, ძირითადად, „სიმბოლიკაში და დარჩენილია ეკონომიკაში" და ის სახელმწიფოს იდეოლოგია არ არის.

> *"საზოგადოებრივი მობილიზების კუთხით უფრო დიდ როლს კომუნიზმთან შედარებით ახლა თამაშობს ჩინური ნაციონალიზმი, რომელიც საფუძველს იღებს, სწორედ, უძველესი პერიოდიდან, ჯერ კიდევ კონფუციდან და შემდეგ მოჰყვება სხვადასხვა საიმპერატორო დინასტიებს. ჩინური ნაციონალიზმი ახლა უფრო მნიშვნელოვანი იდეოლოგიაა, ამ კუთხით თუ შევხედავთ".*

42°პარალელი – „ახალი ეპოქა" ჩინეთში

ამ პროგრამაში ჟურნალისტი საავტორო ტექსტით ჩინეთს დასავლური ცივილიზაციის ალტერნატივად წარმოგვიდგენს:

“თუ როგორი იქნება ის ზოგად ჩარჩოებში უკვე გასაგებია. პეკინმა დაიწყო ჩაკეტილი სახელმწიფოს მშენებლობა თვითკმარი ეკონომიკით და ფაქტად მიიღო დეგლობალიზაციის და ბიპოლარული მსოფლიოს სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. ეს ბიპოლარულობა იქნება არამხოლოდ სამხედრო - პოლიტიკური და იდეოლოგიური, როგორც პირველი ცივი ომის დროს, არამედ, ტექნოლოგიურიც. რაც მინიმუმ ორი ტექნოლოგიური სტანდარტის დასავლურის და ჩინურის გაჩენას ნიშნავს. მაგრამ, რამდენად წარმატებული იქნება ეს კურსი? თავად ფაქტი, რომ ჩინეთი კომპარტიის ხელმძღვანელობით, თავიდან მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ნაწილი გახდა და დასავლეთის ზეწოლის შედეგად არ დაიშალა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ბედი არ გაიზიარა უკვე დიდი მიღწევაა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მისი მმართველი პარტიის სწრაფი კოლაფსის ნიშნები, რომელზეც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ბევრს საუბრობდნენ არ ჩანს. ჩინეთი მობილიზებული და კონსოლიდირებულია, საუკეთესოდ გაუმკლავდა კორონავირუსის პანდემიას, ხოლო, მისი კონსერვატორული და ნაციონალისტური პოლიტიკა დასავლეთიდან მომავალი ლიბერალური წესრიგისთვის ცივილიზაციურ ალტერნატივად გამოიყენება. და მაინც ეიფორია ჯერ ნაადრევია, რამდენად წარმატებული იქნება ჩინეთი ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე უარის თქმის პირობებში, ჯერაც უცნობია.

შეძლებს პეკინი, ეკონომიკას რაღაც დიდი საამქრო, ხოლო, საზოგადოებას მუდმივი იდეოლოგიური დამუშავება შესთავაზოს? ასევე, ნათელი არ არის, რამდენად ძლიერი იქნება შიდა ელიტური და საზოგადოებრივი წინააღმდეგობა მზარდი ავტორიტარიზმის მიმართ; არავის შეუძლია თქმა, რამდენად დიდხანს შეძლებენ ჩინეთი და შეერთებული შტატები მზარდი დაძაბულობის ფონზე არ გადაკვეთონ წითელი ხაზები. ეს რთული ათწლეული იქნება როგორც ჩინეთისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის, ხოლო პასუხებმა გამოწვევებზე, რომელიც პლანეტის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების ხელმძღვანელების წინაშე დგას, შესაძლოა, ისეთ ანტიუტოპიებამდე მიგვიყვანოს, რომელთან შედარებითაც 1990-2000 წლების სამყარო ოქროს ხანად გამოჩნდება."

ვფიქრობ, ამ ამონარიდების წაკითხვის შემდეგ გადაცემის იდეოლოგიისა და სარედაქციო დამოკიდებულების შესახებ კითხვები აღარ არსებობს.

42°პარალელი – სრული გადაცემა 16.04.2022 – რუსეთ უკრაინის ომი და სანქციები

გადაცემის ერთ-ერთ ნაწილში - **"დოლარი, როგორც იარაღი და ციფრული იუანი, როგორც თავდაცვა**" საუბარია[xc] თუ რატომ არის ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი ციფრული ვალუტის შექმნა, რადგან უკრაინაში მიმდინარე ომმა რუსეთის მაგალითზე აჩვენა, რომ დასავ-ლურ ვალუტაზე დამოკიდებულება საფრთხის შემცველია. ჩამოთ-ვლილია ის მიზეზები, რატომ სურს ჩინეთს ვალუტის შემოღება და დასავლურ ვალუტაზე, რომელსაც "ფაქტობრივად მონოპოლია აქვს" დამყარებული, დამოკიდებულების შემცირება.

42°პარალელი – სრული გადაცემა 25.06.2022 – რუსული ნავთობი და ჩინეთი

,,მაისის თვეში ჩინეთმა რუსული ნავთობის იმპორტი წინა წლის მაისთან შედარებით 55%-ით გაზარდა. ამჟამად რუსული ნავთობის ფასი მსოფლიო ფასზე 30%-ით ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩინეთს ნავთობი უფრო იაფი უჯდება, ვიდრე - დასავლეთს. ეს კი ჩინეთის კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად ზრდის“– თათო მარიდაშვილის სიუჟეტი.[xci]

სიუჟეტი ენტონი ბლინკენის ციტატით იწყება, სადაც ის ამბობს, რომ უკრაინაში რუსეთის ომის გაგრძელების მიუხედავად, ფოკუსი მაინც ჩინეთი იქნება, რადგან ის უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს საერთაშორისო წესრიგს გრძელვადიან პერსპექტივაში. **“ჩინეთი არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შეცვა-ლოს საერთაშორისო წესრიგი და ამასთან აქვს ამის პოტენციალი, რადგან მზარდი ეკონომიკური ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო ძალაა”.**

მასალის ყურებისას ჩინეთის მიმართ უარყოფითი ტონი ამერიკის ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებში მკაფიოდ იგრძნობა, ამის საპირწონედ ჟურნალისტი დაბალანსებას საკუთარი ტექსტით ცდილობს.

[i] იხ. https://mediamonitor.ge/

[ii] Sinomedia.ge: ,,ჩინეთის კომერციის სამინისტრო: ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება აშშ-ს ჩიპების კანონპროექტს". 2022 https://sinomedia.ge/%e1%83%a9%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%97%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%98/

[iii] Sinomedia.ge,,ტაივანის საქმეთა ოფისის სპიკერი გმობს აშშ-ტაივანის სავაჭრო შეთანხმებას" 2022 https://sinomedia.ge/%e1%83%97%e1%83%90%e1%83%98%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%97%e1%83%90-%e1%83%9d%e1%83%a4%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1/

[iv] Sinomedia.ge,, ,,ჩინეთის ელჩი ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტზე" 2022 - https://sinomedia.ge/%e1%83%a9%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%97%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%a9%e1%83%98-%e1%83%97%e1%83%90%e1%83%98%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%9c%e1%83%94/

[v] Sinomedia.ge ,,პეკინში შოთა რუსთაველის ბიუსტის პრეზენტაცია გაიმართა", 2022 https://sinomedia.ge/%e1%83%9e%e1%83%94%e1%83%99%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%97%e1%83%90-%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%a1%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1/

[vi] სინოლოგია, „საერთაშორისო კონფერენცია "სინოლოგია, ერთი სარტყელი ერთი გზა", 2021 https://sinologia.ge/saerthashoriso-konpherentsia-sinologia-erthi-sartqheli-erthi-gza/

[vii] იხილეთ მაგალითად: https://chinesestories.ge/ka/43--.html , ასევე https://chinesestories.ge/ka/ganatleba-chinetshi/28--.html , https://chinesestories.ge/ka/25--.html, https://chinesestories.ge/ka/20--15-.html

[viii] იხ. მაგალითად სტატია ჩინეთში ისლამის ისტორიის შესახებ https://chinesestories.ge/ka/32--.html

[ix] იხ. ნეტგაზეთი, „საქართველოს რკინიგზის დელეგაციამ ტაშკენტში ჩინეთი-ევროპის საკონტეინერო გადაზიდვები განიხილა", 2022, იხილეთ https://netgazeti.ge/news/601461/

[x] იხ. ნეტგაზეთის თემატური მასალები, ქრონოლოგია და ამონარიდები იხილეთ დანართში #1.

[xi]იხ. https://sputnik-georgia.com/20220503/chinetis-saelcho-kaligrafiisa-da-perweris-konkurss-atarebs-266382131.html

[xii] იხ. https://sputnik-georgia.com/20211208/diplomatiur-boikots-sxva-qveynebic-uertdebian-262686103.html

[xiii] იხ. https://sputnik-georgia.com/20211220/amerikastan-konfrontaciis-semtxvevasi-cineti-gamarjvebamde-ibrzoolebs-262986877.html
[xiv] იხ. https://sputnik-georgia.com/20220707/fbi--mi5-cinuri-safrtxe-268272729.html
[xv] იხ. https://sputnik-georgia.com/20220701/natos-strategia-268079702.html
[xvi] იხ. https://sputnik-georgia.com/20210916/rusetma-da-cinetma-azia-secvales-259663144.html
[xvii] იხ. https://sputnik-georgia.com/20211103/putins-tundtra-ewvis-baidenma-rusetisadacinetis-liderebi-gaakritika-261744852.html
[xviii] იხ. *https://sputnik-georgia.com/20211213/surt-tu-ara-amerikelebs-rusettan-omi-262820036.html*
[xix] იხ. „ბაიდენი ევროპაში ბევრის უფლებას აძლევს თავს“ https://sputnik-georgia.com/20211129/baidenma-sabolood-gaafuwa-haeri-evropasi-262458407.html
[xx] იხ. https://sputnik-georgia.com/20220321/amerika-tavis-momavals-akvirdeba-265384965.html
[xxi] იხ. https://sputnik-georgia.com/20220404/iqceva-tu-ara-iuani-mtavar-nsofio-valutad-265731743.html
[xxii] იხ. ვიქტორია ნიკიფოროვა 13.12.2021-ს, Sputnik საქართველო. https://sputnik-georgia.com/20211213/surt-tu-ara-amerikelebs-rusettan-omi-262820036.html
[xxiii] იხ. https://sputnik-georgia.com/20211129/baidenma-sabolood-gaafuwa-haeri-evropasi-262458407.html
[xxiv] იხ. https://sputnik-georgia.com/20220606/chinetis-premieri-qartvel-xalxs-diurtiertobebis-damyarebis-iubiles-ulocavs-267172375.html
[xxv] იხ. https://sputnik-georgia.com/20211024/qutaissi-eleqtromobilebis-qarxnis-msenebloba-mtavroba-molaparakebebs-aaxlebs-261438200.html
https://sputnik-georgia.com/20220413/tbilisshi-damatebit-23-eleqtrodamteni-damontajdeba-265959640.html
https://sputnik-georgia.com/20220430/gaixsneba-tu-ara-saqartvelosi-eleqtromobilebis-qarxana-axali-warmoebis-perspeqtivebi-266343045.html
[xxvi] იხ. https://sputnik-georgia.com/20220430/gaixsneba-tu-ara-saqartvelosi-eleqtromobilebis-qarxana-axali-warmoebis-perspeqtivebi-266343045.html
[xxvii] იხ. https://sputnik-georgia.com/20220224/saqartvelosi-sesazloa-eleqtromobilebis-qarxana-asendes-264729774.html
[xxviii] იხ. https://sputnik-georgia.com/20220430/gaixsneba-tu-ara-saqartvelosi-eleqtromobilebis-qarxana-axali-warmoebis-perspeqtivebi-266343045.html
[xxix] იხ. https://mtavari.tv/news/88684-kobtan-gvirabis-samsheneblo-samushaoebis-dros
[xxx] იხ. https://mtavari.tv/news/94537-vgmobt-chinetis-cinaaghmdeg-mimartul-nebismier
[xxxi] იხ. https://mtavari.tv/news/83677-chven-vtavazobt-chinets-rom-ukrainis
[xxxii] იხ. https://imedinews.ge/ge/msoflio/216624/chinetshi-telearkhebs-arasakmarisad-maskulinuri-garegnobis-mqone-katsebis-chveneba-aukrdzales

[xxxiii] იხ. https://imedinews.ge/ge/tabloidi/250293/55-tslis-chineli-40-tselia-ertsa-da-imave-universitetshi-charitskhvas-tsdilobs
[xxxiv] იხ. https://imedinews.ge/ge/teqnologiebi/219061/chinetshi-bavshvebs-tiktokis-analogit-sargeblobis-dgiuri-limiti-dautseses
[xxxv] იხ. https://imedinews.ge/ge/ekonomika/219735/chinetshi-kriptovalutit-pinansuri-operatsiebi-aikrdzala
[xxxvi] იხ. https://imedinews.ge/ge/covid19/225221/shankhais-disneilendshi-chaketes-33-863-adamiani-mas-shemdeg-rats-ertert-stumars-koronavirusi-daudasturda
[xxxvii] იხ. https://imedinews.ge/ge/msoflio/229969/chinetshi-ojakhma-14-tslis-tsin-gatatsebuli-shvili-ipova
[xxxviii] იხ. https://imedinews.ge/ge/politika/250331/levan-nikoleishvili-giorgi-khojevanishvilze-dauparavad-odnavi-sitamamit-chaerto-natsebis-kampaniashi--ogond-otsnebis-khelisuplebas-ar-mistsen-kandidatis-statusi-da-kvelaperi-tskalsats-tsaugia
[xxxix] იხ. https://imedinews.ge/ge/politika/237423/levan-nikoleishvili-qemoklidzeze-es-chinuri-gakharia-partiis-mtavari-klouni-apravebs-16-adamianit-sakrebulos-skhdomis-chatarebas-mashin-rodesats-kvorums-17-khma-schirdeba
[xl] იხ. https://imedinews.ge/ge/msoflio/244989/chineti-ashshs-rusetistvis-datsesebuli-sanqtsiebis-mokhsnisken-moutsodebs
[xli] იხ. https://imedinews.ge/ge/msoflio/244989/chineti-ashshs-rusetistvis-datsesebuli-sanqtsiebis-mokhsnisken-moutsodebs
[xlii] იხილეთ განცხადება სრულად, https://imedinews.ge/ge/msoflio/242887/chinetis-sagareo-saqmeta-moadgile-istoriam-araertkhel-achvena-rom-sanqtsiebis-datsesebasheshit-tsetskhlis-chaqrobas-hgavs-da-problemis-gadachris-natsvlad-vitarebas-auaresebs?fbclid=IwAR3RwhiPWiWJkVZhCTYyesbi8xuJ3whersIthfew_X-ERqLi6kKAbfOKvUo
[xliii] იხ. https://imedinews.ge/ge/msoflio/244989/chineti-ashshs-rusetistvis-datsesebuli-sanqtsiebis-mokhsnisken-moutsodebs
[xliv] იხ. https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilma-chinetis-elchtan-li-iantan-gamosamshvidobebeli-shekhvedra-gamarta/
[xlv] იხ. https://1tv.ge/news/ilia-darchiashvilsa-da-chinetis-sagareo-uwyebis-khelmdzghvanels-shoris-satelefono-saubari-gaimarta/
[xlvi] იხ. https://1tv.ge/news/chinetis-sakhelmwifo-sabchos-premieri-saqartvelos-mtavrobas-damoukideblobis-dghes-ulocavs-chinetisa-da-saqartvelos-urtiertobebis-ganvitarebis-dinamika-dadebitia/
[xlvii] იხ. https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-chinetis-akhal-elchs-chou-ciens-shekhvda/
[xlviii] იხ. https://1tv.ge/news/saqstati-2021-wlis-ianvar-agvistoshi-saqartvelostvis-umskhvilesi-saeqsporto-qveyana-chineti-iyo-yvelaze-didi-importiori-ki-turqeti/
[xlix] https://1tv.ge/news/chinet-saqartvelos-shoris-diplomatiuri-urtiertobebis-30-e-wlistavis-aghsanishnavad-kaligrafiasa-da-ferwerashi-konkursi-tardeba/

[l] https://1tv.ge/news/chinetis-khelovnurma-mzem-plazmis-sintezis-msoflio-rekordi-mokhsna-1tvmecniereba/
[li] https://1tv.ge/news/akhalma-chkvianma-kontaqturma-linzam-sheidzleba-sibrmavis-gamomwvevi-ert-erti-mtavari-mizezi-gankurnos-1tvmecniereba/
[lii] იხ. https://1tv.ge/news/lietuvis-tavdacvis-saministro-moqalaqeebs-mouwodebs-chinuri-smartfonebis-shedzenisgan-tavi-sheikavon/
[liii] იხ. https://1tv.ge/news/socialuri-qseli-linkedini-chinetshi-aghar-imushavebs/
[liv] იხ. https://1tv.ge/news/israelis-media-chinetis-saelchos-mier-israelis-ministrebistvis-gagzavnil-sachuqrebshi-saechvo-jashushuri-mowyobilobebi-aghmoachines/
[lv] იხ. https://1tv.ge/news/donald-trampi-chinetis-prezidenti-mkvlelia-pekinma-koronavirusis-warmoshobistvis-reparaciebi-unda-gadaikhados/
[lvi] იხ. https://1tv.ge/news/didi-slemis-turnirebis-18-gzis-chempioni-mrckhvenia-rusetsa-da-chinetshi-olimpiadebis-gamo-1tvsport/
[lvii] იხ. https://1tv.ge/news/saqartveloshi-chinetis-sakhalkho-respublikis-elchi-msoflioshi-mkholod-erti-chineti-arsebobs-da-taivani-misi-teritoriis-ganuyofeli-nawilia/
[lviii] იხ. https://1tv.ge/news/briuselshi-sagangebo-samitze-aliansis-wevrebma-komunike-miighes/
[lix] იხ. https://1tv.ge/news/iens-stoltenbergi-velodebi-rom-liderebi-khval-mkhars-daucheren-nato-s-poziciis-gadzlierebas-yvela-mimartulebit-rac-guliskhmobs-dzalebis-gazrdas-aliansis-aghmosavletshi-khmeletze-haersa-da-z/
[lx] იხ. https://1tv.ge/news/chinetisa-da-ukrainis-sagareo-saqmeta-ministrebs-shoris-satelefono-saubari-shedga/
[lxi] იხ. https://1tv.ge/news/sharl-misheli-movuwodet-chinets-dagvekhmaros-ukrainashi-omis-dasrulebashi-rusetis-mier-saertashoriso-samartlis-sastik-darghvevaze-tvali-ar-unda-dakhuchos/
[lxii] იხ. https://1tv.ge/video/qartuli-ghvinis-saeqsporto-fasi-isev-dabalia/
[lxiii] იხ. „ბიზნესპარტნიორი“ - პირველი დეკემბერი, 2021 #LIVE- 01.12.2021 https://1tv.ge/video/biznespartniori-pirveli-dekemberi-2021/ ასევე, „ბიზნესპარტნიორი“ - 6 დეკემბერი, 2021 #LIVE- 06.12.2021 https://1tv.ge/video/biznespartniori-6-dekemberi-2021-live/
[lxiv] იხ. https://1tv.ge/video/biznespartniori-15-noemberi-2021-live/
[lxv] იხ. https://1tv.ge/video/biznespartniori-26-noemberi-2021-live/

დანართ №1-ში მითითებული NETGAZETI-ს მასალები

[lxvi] https://netgazeti.ge/news/597727/
https://netgazeti.ge/news/599377/
https://netgazeti.ge/news/605749/
https://netgazeti.ge/news/599702/
https://netgazeti.ge/news/578946/
https://netgazeti.ge/news/583237/
[lxvii] https://netgazeti.ge/news/599558/
[lxviii] https://edition.cnn.com/2022/03/14/politics/us-china-russia-ukraine/index.html
[lxix] https://netgazeti.ge/news/563575/
[lxx] https://netgazeti.ge/life/584739/
[lxxi] https://netgazeti.ge/news/581475/
[lxxii] https://netgazeti.ge/news/612288/
[lxxiii] https://netgazeti.ge/news/600969/
[lxxiv] https://netgazeti.ge/news/576986/
[lxxv] https://netgazeti.ge/news/576986/
[lxxvi] https://netgazeti.ge/news/594346/
[lxxvii] https://netgazeti.ge/news/611937/
[lxxviii] https://netgazeti.ge/news/573211/
[lxxix] https://netgazeti.ge/news/576216/
[lxxx] https://netgazeti.ge/news/610136/
[lxxxi] https://netgazeti.ge/news/601461/
[lxxxii] https://netgazeti.ge/news/609813/

დანართ №2-ში მითითებული 42°პარალელი-ს მასალები

[lxxxiii] იხ. https://1tv.ge/show/42-paraleli/

[lxxxiv] იხ. https://1tv.ge/video/42paraleli-rogor-daaghwia-tavi-chinetma-shokur-terapias-interviu-izabela-vebertan/

[lxxxv] იხ. https://1tv.ge/video/42paraleli-quad/

[lxxxvi] იხ. https://1tv.ge/video/42paraleli-taivanis-krizisi/

[lxxxvii] იხ. https://1tv.ge/video/sruli-gadacema-13-11-2021/

[lxxxviii] იხ. *https://www.youtube.com/watch?v=KRt6VCUgIvo*

[lxxxix] იხ. https://www.youtube.com/watch?v=aPsKHsnGRAk

[xc] იხ. https://1tv.ge/video/42paraleli-sruli-gadacema-16-04-2022-2/

[xci] იხ. *https://1tv.ge/video/42paraleli-sruli-gadacema-25-06-2022/*

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- Ana Krstinovska. ,,FOREIGN INFLUENCE OPERATIONS: ANALYSIS OF THE COVID-19 PANDEMIC IN NORTH MACEDONIA" ESTIMA – Association for strategy creation, research, education and promotion of international values. October 2020
- Freedom House: ,,China: Despite Restrictions, Citizens Conducted Hundreds of Protests Across China in Recent Months" 2022. https://freedomhouse.org/article/china-despite-restrictions-citizens-conducted-hundreds-protests-across-china-recent-months
- RSF. Reporters Without Borders: China. 2023. https://rsf.org/en/country/china
- chinafile.com: Document 9: A ChinaFile Translation. ,,How Much Is a Hardline Party Directive Shaping China's Current Political Climate?" 2013. https://www.chinafile.com/document-9-chinafile-translation
- ამერიკის ხმა: ,,ნატოს სამიტზე პირველად: ჩინეთი სტრატეგიული გამოწვევაა" 2019. https://www.amerikiskhma.com/a/nato-summit-china/5225673.html
- NATO 2022 STRATEGIC CONCEPT Adopted by Heads of State and Government at the NATO Summit in Madrid 29 June 2022. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf
- A ChinaFile Conversation.,,How to Read China's New Press Restrictions" 2014 - https://www.chinafile.com/conversation/how-read-chinas-new-press-restrictions
- F.S Sibert, T. Peterse, W. Schramm, Four Teories of Press 1956
- დენიელ ჰელინი, პაოლო მანჩინი. ,,მედიასისტემების შედარება. მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015
- საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. 2023 წლის კონსოლიდირებული რედაქცია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=64
- A.Strohl. Vilem Flusser. 2002. writings. University of Minnesota Press Minneapolis / London
- Antonius C. G. M. Robben and Jeffrey A. Sluka. Ethnographic Fieldwork An Anthropological Reader. 2007 by Blackwell Publishing Ltd
- Bernard E. Harcourt, The Last Refuge of Scoundrels: The Problem of Truth in a Time of Lying, COLUMBIA PUBLIC LAW RESEARCH PAPER NO. 14-628 (2019).
- Bill Kovach and Tom Rosenstiel 2001. ,,The Elements of Journalism ,,What Newspeople Should Know and the Public Should Expect"
- Dimitri Uznadze 1886-1950 Phycology of Set. Saba 2021
- Daniel Kahneman. 2011. ,,Thinking, Fast and Slow" Doubleday Canada.
- Francesca Granelli. 2018. ,What does it mean for a communication to be trasted?" The official journal of the NATO Strategic Communications Centre of Excellence ,,Defence Strategic Communications " Volume 5 | Autumn 2018

- F.S. Sibert, T. Peterse, W. Schramm, (1984). Four Theories of the Press: The Authoritarian, Libertarian, Social Responsibility, and Soviet Communist Concepts of What the Press Should Be and Do. University of Illinois Press. https://doi.org/10.5406/j.ctv1nhr0v
- James P. Farwell. 2012. Persuasion and Power. The art of strategic Communication. Georgetown University Press Washington, DC
- Luhmann, N. (1982). The Differentiation of Society. New York Chichester, West Sussex: Columbia University Press. https://doi.org/10.7312/luhm90862
- Peter Pomerantsev. 2022. This Is Not Propaganda: Adventures in the War Against Reality. Translated by Tamar Geldiashvili. Tbilis
- Peter Pomerantsev 2015 ,,Nothing is True and Everything Is Possible: The Surreal Heart of the New Russia
- George Orwell. 2011. 1984. Translated by David Akriani. Tbilisi. Publishing house Palitra L
- Harvard University Press. 2004. Past Continuous Shared Memory
- James P. Farwell. 2012. Persuasion and Power. The art of strategic Communication. Georgetown University Press Washington, DC
- Jewish Virtual Library - https://www.jewishvirtuallibrary.org/denazification-2
- Neville Bolt (2011) Strategic Communications in Crisis, The RUSI Journal, 156:4, 44-53, DOI: 10.1080/03071847.2011.606649
- Paul Ricoeur. 2003. The Rule of Metaphor The creation of meaning in language". Translated by Robert Czerny with Kathleen McLaughlin and John Costello, SJ London and New York.
- Ruth Wodak 2012. Politics as usual. Investigating political discourse in action. Taylor & Francis Group
- Siebert, F. S., Peterson, T., & Schramm, W. (1956).Four theories of the press: Theauthoritarian, libertarian, social responsibility, and Soviet Communist concepts of whatthe press should be and do
- შ. ჩხაიძე: გერმანიის იმპერია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა: ისტორიული პარალელი თუ უბრალო პარანოია? Sinologia.ge 2022 https://sinologia.ge/germaniis-imperia-da-chinethis-sakhalkho-respublika-istoriuli-paraleli-thu-ubralo-paranoia/\\
- შ. ჩხაიძე: ქართველები ჩინეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში Sinologia.ge 2021 https://sinologia.ge/kharthvelebi-chinethshi-xx-saukunis-pirvel-nakhevarshi/
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია - https://www.comcom.ge/ge/
- საქართველოს სამეწარმეო რეესტრი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index

ავტორები:

ნათია კუპრაშვილი,

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC)თავმჯდომარე

ნინა ხელაძე,

ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC)მედიაპროგრამების ხელმძღვანელი

ნატალი ნემსაძე,

ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC)უფროსი მკვლევარი

ირმა ჭარაქაშვილი,

ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC)მონაცემთა ანალიტიკოსი

ქეთევან გელაშვილი,

სამოქალაქო იდეას სტაჟიორი

თინათინ ხიდაშელი,

სამოქალაქო იდეას თავმჯდომარე

ანი კინწურაშვილი

სამოქალაქო იდეას უფროსი მკვლევარი